ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 19 დეკემბერი 2000 №244 (1266) | ფასი 50 თეთრი


1990 28 დეკემბერი

სარბიელის 10 წელი

2000 28 დეკემბერი

# ფიგუ

## ევროპის პირველი საუკუნის ბოლოს

კაცი ისედაც 56 მილიონი ღირდა და „ოქროს ბურთით“ ხომ მთლად ფასდაუდებელი გახდა...

ინფორმაციამ გაჟონა, დამალვას აზრი აღარ ჰქონდა და „ფრანს ფუტბოლმაც“, 2000 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა დღეს რომ უნდა დაესახელებინა, გუშინ საღამოს ოფიციალურად გამოაცხადა — „ოქროს ბურთი“ ფიგუსია.

პორტუგალიელი, ვინც ახლახან გულშემატკივართა გამოკითხვაშიც იმარჯვა, ევროპულმა სპორტულმა გამოცემებმა, მათ შორის „სარბიელმაც“, მიიჩნიეს უძლიერესად. ჯამში მსოფლიოს უძვირესმა ფეხბურთელმა 197 ქულა დააგროვა და 16 ქულით გაუსწრო ფიფას ვერსიით საუკეთესო ზინედინ ზიდანს. მესამეზე, 85 ქულით, უკრაინელი ანდრეი შევჩენკო გავიდა.

გასული წლის „ოქროს ბიჭი“ რივალდო ამჯერად მეხუთე ადგილს დასჯერდა და სამ საუკეთესოსთან ერთად ტიერი ანრისაც ჩამორჩა.











2 მე ვხედავ გატუზოს



ალექსანდრე რეხვიაშვილის ანკონური გაკვეთილი: კლასი კოჭებში მორტყმაშიც ჩანს

13 სტეფანია ჯორჯიაში დაბრუნდა

ამ უქმეებზე „ნიუ ჯერსის“ ქართველმა ცენტრმა სამს ოთხი მიუმატა

14 მოკლე წყლის დიდი ამბავი



როსოლინომ სალნიკოვი გააუმჯობესა

# ცეცხლთაყვანისმცემელი ალექსანდრე რეხვიაშვილი: მე ვხედავ გატუზოს

## კაპიტანი კაპიტანს გაუგებს

*ოქტომბერში, საქართველოს ნაკრების ლიტვასა და იტალიაში ჩატარებული შესარჩევი მატჩებიდან კაცი ვინმეს თუ გამოარჩევდა, პირველ ყოვლისა, ალბათ ჩვენი გუნდის საყრდენ ნახევარმცველს, რიგის „სკონტოს" კაპიტან ალექსანდრე რეხვიაშვილს. ჯანიანმა და დაუზარელმა, ოთხი წლის წინ ლატვიაში გადაბარგებულმა ამ ბიჭმა ქომაგიც უმალ აალაპარაკა. იქამდე კი ქართველ გულშემატკივარს ალეკო რეხვიაშვილის სამი მატჩი ეხსომება ეროვნულ გუნდის მაისურით — ორჯერ თბილისში, ნორვეგიისა და ესტონეთის წინააღმდეგ ითამაშა, ერთხელაც სომხეთში. მერე დაიკარგა, უფრო სწორად, ნაკრებში აღარ იძახებდნენ და მოულოდნელიც კი გახლდათ, რევაზ ძოძუაშვილმა და დავით ყიფიანმა ალეკო ოქტომბერში, ოფიციალური მატჩებისთვის რომ იხმეს. უფრო მოულოდნელი მისი ძირითად შემადგენლობაში თამაში იყო, თანაც როგორი თამაში... დღეს კი ალეკო რეხვიაშვილი თბილისშია. მონატრებულ ქალაქში ლატვიელ მეუღლესთან და პატარა სოფიკოსთან ერთად ჩამოვიდა და შვებულებას აქ, ცივ და ჩაბნელებულ მშობლიურ თბილისში ატარებს.*


ალექსანდრე რეხვიაშვილი პატარა სოფიკოსთან ერთად

— მშობლებს ჩემი მეუღლე არ ენახათ. წელიწადზე მეტია, ლატვიაში დავქორწინდი, ბავშვიც შეგვეძინა და აბა, ისე როგორ იქნებოდა, ცოლ-შვილთან ერთად არ ჩამოვსულიყავი — გვითხრა ალეკომ, როცა შინ ვესტუმრეთ — თანაც სიონში სოფიკო მოვნათლეთ. რაც ჩამოვედი, სულ ზემოთ-ქვემოთ დავდივარ, მეუღლეს ქალაქს ვათვალიერებინებ, მცხეთაშიც მყავდა და... ბაზრობაზეც.

**— ბაზრობაზე რაღა გინდოდათ?**

— რა ვიცი, თბილისში ყველას ბაზრობა აკერია პირზე და ცოლმაც მთხოვა, ერთხელ წამიყვანეო. წავიყვანე და წუთშივე უკან მოვბრუნდით. მეორედ იქ მიმსვლელი აღარ ვარო, მითხრა.

**— თბილისში როდემდე დარჩები?**

— 21-მდე. მერე „სკონტოში" მოსამზადებელი პერიოდი გვეწყება. ესენგეს თასზეც უნდა ვითამაშოთ.

**— და თავი არ უნდა შეირცხვინოთ...**

— კი, ეგრეა. შარშანდელი შედეგი უნდა გავაუმჯობესოთ. ჩვენთვის ამ ტურნირს დიდი მნიშვნელობა აქვს. სეზონის ბოლოს შედეგებს რომ აჯამებენ, კლუბის ხელმძღვანელები იმასაც ითვალისწინებენ, ესენგეზე როგორც ვითამაშეთ.

**— აბა, წინა სეზონი წარმატებულად ჩაგეთვლებოდათ.**

— უკმაყოფილონი ნამდვილად არ დარჩენილან — სულ ორჯერ წავაგეთ. ერთხელ ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე და მეორედ, ჩემპიონატში, „ვენტსპილთან", თუმცა ამას „სკონტოს" გაჩემპიონებისთვის ხელი არ შეუშლია.

**— ისე, ადრე „ბარსელონასთან", „ჩელსისთან", „ინტერთან" ღირსეულად კი ითამაშეთ და „შამქირთან" როგორ დამარცხდით?**

— ბადრი კვარაცხელიამ მარტომ მოგვიგო. თანაც აზერბაიჯანში საშინელი სიცხე იყო და ბალტიისპირელებზე ამან ძალიან იმოქმედა, თანაც საპასუხო მატჩში ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა. მეც არ მითამაშია, ტვინის შერყევა მქონდა.

**— „სკონტოს" დატოვებას არ აპირებ? თითქოს კიევის „დინამო" გეპატიჟებაო, მართალია?**

— შარშანდელი ესენგეს ტურნირის შემდეგ, როგორც გავიგე, კიეველებს მართლაც გასჩენიათ სურვილი, თუმცა ამის თაობაზე ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. ისე, კიევის „დინამო" ფეხბურთელს დიდხანს უყურებს, აკვირდება და შემდეგ წყვეტს, გამოადგება თუ არა იგი.

**— სხვა კლუბებიდან არ გეპატიჟებიან?**

— არ ვიცი. მე „სკონტოს" ხელმძღვანელებს ვენდობი და დარწმუნებული ვარ, რომელიმე კლუბი თუ არის ჩემით დაინტერესებული, ისინი არ დამიმალავენ.

**— გსურს „სკონტოს" დატოვება?**

— რატომაც არა. ლატვიაში რაც მოსაგები იყო, ყველაფერი მოვიგე. თანაც 26 წლის ვარ და ლატვიაში, როგორც ფეხბურთელი, არა მგონია, კიდევ გავიზარდო. „სოკნტოში" ველარ მოვუმატებ.

**— უცხოურ კლუბში ქართველის კაპიტნობა ცოტა არ იყოს, გასაკვირიცაა. ამას დამსახურება უნდა.**

— ეტყობა, დავიმსახურე. თავიდან მეც გამიკვირდა, კლუბში ფარული კენჭისყრის შემდეგ „სკონტოს" კაპიტნად რომ ამირჩიეს. ოთხი წელიწადია, გუნდში ვარ და, ალბათ, ჩემში თანაგუნდელებმა კარგი ადამიანური თვისებები დაინახეს. მე კი დიდი პასუხისმგებლობა ვიგრძენი, თავს კიდევ უფრო მეტი მოვთხოვე.

**— პროგრესიც აშკარაა. ნაკრებშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყავი.**

— ვფიქრობ, მართლაც მოვუმატე. ჯანი ბავშვობიდანვე მომდევდა, ფიზიკურად ყოველთვის ძლიერი ვიყავი. ახლა კი დავღვინდი, გამოცდილებაც შემემატა. „სკონტოში" ყველა პირობაა იმისთვის, რომ კაცმა ნორმალურად ივარჯიშო, ფუნქციონალურად მოემზადო. მეც არაფერს ვიკლებ, მონდომებით ვვარჯიშობ. ჩემი მთავარი საქმე მოედანზე შავი სამუშაოა და ამას არასდროს ვთაკილობ. კვირაში სამჯერ ტრენაჟორებზე დავდივარ, მერე აღდგენითი პროცესი. ერთი სიტყვით, თქვენი, ჟურნალისტებისა და სპეციალისტების შესაფასებელია, დღეს როგორ ვთამაშობ. მე კი აშკარად ვგრძნობ, რომ საფეხბურთო ჭკუა მომემატა.

**— შენი კოზირი რა არის?**

— ჟინიანი ვარ. აი, „მილანის" ნახევარმცველ გატუზოს თამაშს რომ ვუყურებ, ჩემი თავი წარმომიდგენია. მოედანზე არავის არაფერს ვუთმობ, ბოლომდე ვიბრძვი და ვცდილობ, თანაგუნდელებიც ასევე განვაწყო, ცეცხლი დავანთო, სხვებს მაგალითი მივცე, მწვრთნელის დავალება პირნათლად შევასრულო.

**— ნაკლი?**

— ოო, თავს ძალიან კრიტიკულად ვუყურებ. არ არსებობს, ჩემი თამაში მომეწონოს. ნაკლი კი ის მაქვს, რომ მოედანზე ძალიან ემოციური ვარ. ამის გამო ერთხელ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციაც მომცეს. მეტოქემ მუხლი შემთხვევით სახეში მომარტყა, მე კი ველარ მოვითმინე და ბურთი ვესროლე. ისე, სწორედ იმ მომენტისას მივიღე ტვინის შერყევა. თანაც ისეთი ამპლუა მაქვს, თითქმის ყველგან მიწევს თამაში, წინ, უკან, ფლანგებზე, საყრდენი ნახევარმცველი ხომ რგოლების შემკავშირებელია.

**— მოდი, ახლა ნაკრებზე ვთქვათ. ბოლო ორი ამხანაგური მატჩისთვის, ირანსა და ფრაიბურგში, მწვრთნელებმა ნაკრებში არ გამოგიძახეს. ელოდი, რომ ლიტვა-იტალიისთვის გიხმობდნენ?**

— არ ველოდი, არადა, ძალიან კი მინდოდა, ნაკრებში მეთამაშა. თითქმის შეგუებული ვიყავი აზრს, რომ სანაკრებოდ მზად არ ვიყავი. ნორვეგიასთან თბილისში წაგებული მატჩისა და იმ კოშმარის შემდეგ ესტონელებთან და სომხეთთან მომიწია თამაშმა და მწრთნელების გადასაწყვეტი იყო, ოფიციალური მატჩებისთვის თუ გამომიძახებდნენ. ვფიქრობდი, ირანში და ფრაიბურგში სათამაშოდ რაკი არ გამომიძახეს, ესე იგი ჩემი ადგილი არც ლიტვისა და იტალიის გუნდებთან შეხვედრებში იქნება-მეთქი. მერე კი ძალიან გავიხარე, „სკონტოში" ჩემს სახელზე მოწვევა რომ მოვიდა.

**— იმას თუ ელოდი, რომ ძირითად შემადგენლობაში გათამაშებდნენ?**

— არც ამას ველოდი, მაგრამ მწვრთნელებმა ასე გადაწყვიტეს. ეტყობა, ლიტვაში მატჩამდელ ვარჯიშებზე, ორმხრივი თამაშებისას შემატყვეს, რომ ნორმალურ ფორმაში ვიყავი, კარგად მომზადებული.

**— ნორვეგიასთან მატჩის მერე საკმაო ხანი გავიდა, სომხეთთან კი ნაკრებს ძირითადი შემადგენლობით არ უთამაშია. როგორ მიგიღეს გუნდში, არ გაგჭირვებია?**

— მადლობელი ვარ თანაგუნდელების. მათ ზედმეტი არაფერი უგრძნობინებიათ. მაგალითად, ნემსაძე აიღეთ, როგორც მეგობარი და კაპიტანი სულ მამხნევებდა, მამშვიდებდა, სანერვიულო არაფერი გაქვსო, მეუბნებოდა. მეც მეტი რა მინდოდა.

**— ფიქრობდი, რომ ლიტვაში ნაკრები 4:0-ს მოიგებდა?**

— [illegible] ეს გოლი და დამარცხდნენ. ერთი სკონტოელი, ბუიტკუსი, ლიტველია და მატჩამდე არ ვიცი, რას აღარ მეუბნებოდა, მემუქრებოდა, გაგანადგურებთო. ლიტვაც ბალტიისპირეთის ქვეყნებში ყველაზე ძლიერ გუნდად ითვლებოდა და მეც, რაღა თქმა უნდა, ვფიქრობდი, კაუნასში ძალიან გაგვიჭირდებოდა. კარგია, რომ ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა, ასეთი ანგარიშით გავიმარჯვეთ. ნამატჩევს კი ბეიტკუსს მადლობა გადავუხადე, მაგარი ნაკრები გყოლიათ-მეთქი, გავეხუმრე. ხმა არ ამოუღია და „სკონტოში" დაბრუნებულს მითხრა, იტალიასთან ერთად ჯგუფის ფავორიტები ხართ, რუმინეთი თქვენი მოქმები არ არისო.

**— რის ხარჯზე დაამარცხეთ ლიტვა ასეთი ანგარიშით?**

— მწვრთნელებმა სწორი ტაქტიკა აირჩიეს. კონტრშეტევებზე ვითამაშეთ და გაამართლა კიდეც.

**— იტალიასთან მატჩზე რას იტყვი?**

— იცით, პირადად მე ლიტვასთან უფრო ვნერვიულობდი, ვიდრე იტალიასთან. სასიამოვნო იყო ნესტას, კანავაროს, ტოტის, დელ პიეროსა და მათ სხვა თანაგუნდელთა წინააღმდეგ. ლიტველები მაინც ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ, კოჭებშიც ხშირ-ხშირად მირტყამდნენ და გამიჭირდა. იტალიასთან კი... ფეხბურთელისთვის ბევრს ნიშნავს, როცა მაღალი კლასის მეტოქესთან თამაშობ. იტალიასთან მატჩი კი ყველამ ნახა და მეც რაღა მაქვს სათქმელი? არ გაგვიმართლა, თორემ ქულას ნაღდად ვიმსახურებდით. ლიტვაში მოგების შემდეგ მწვრთნელებმა გვითხრეს, ცაში ნუ აფრინდებით, გახსოვდეთ, წინ იტალია გველისო. ჩვენც გაათკეცებული ენერგიით, მოვემზადეთ. მეც უფრო მჯეროდა, რომ ძირითადში ვითამაშებდი. ვიცოდი, მწვრთნელები მოგებულ შემადგენლობას არ ცვლიან — ხოლმე. ასე იყო იტალიაშიც, მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა კაუნასური მატჩის შემდეგ.

**— ლიტველები კოჭებში მირტყამდნენ, თქვი. ისე, არც იტალიელ ტოტის დაუკლია.**

— ტოტისაც და დელ პიეროსაც, მაგრამ ისინი ჭკვიანურად ჯარიმდებოდნენ, არ უხეშობდნენ. კლასი კლასია, ამ ჯარიმებით ისინი კონტრშეტევებს გვიშლიდნენ, დროს იგებდნენ და დაცვას ამაგრებდნენ.

**— პირველ პენალტზე არ გკითხო, არ იქნება. გაიხსენებ იმ ეპიზოდს, ტოტი რომ საჯარიმოში წაიქცა თუ წააქციე?**

— ტოტიმ ბურთი რომ მიიღო, ისე მოტრიალდა, საყრდენი ფეხის გაწევა ველარ მოვასწარი, მან კი იგრძნო თუ არა ჩემი ფეხი, უმალ წაიქცა. ასე მხოლოდ დიდი კლასისა და გამოცდილ ფეხბურთელებს შეუძლიათ. მე ფეხი არ გამინძრევია, მან კი ისე გააკეთა, თითქოს მოვცელე. მსაჯსაც შეეძლო, პენალტი არ დაენიშნა, მაგრამ... ისე იყო, ორმოცდაათი-ორმოცდაათზეო, რომ იტყვიან. მეორე პენალტზე ლაპარაკიც არ ღირს. მსაჯმა საიდან, რატომ მოიგონა დღესაც ვერ გამიგია. არადა, 0:1-ზე ანგარიშის გათანაბრების შანსი კი გვქონდა.

**— დაბოლოს, ალეკო, მართალია, რიგაში სამუდამოდ აპირებს დასახლებასო?**

— ამას დრო გვიჩვენებს, ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. ისე, თუ საქართველოში ცხოვრება ასე გაგრძელდა, დავრჩები რიგაში, აბა, რას ვიზამ? აქ უკეთესობა არ იგრძნობა, არსებობისთვის ელემენტარული პირობები არ არის, მე კი მეუღლე ლატვიელი მყავს.

**კობა ინასარიძე**


იტალია — საქართველო 2:0.
ალექსანდრე რეხვიაშვილი ფრანჩესკო ტოტის (№10) მეურვეობა

## თბილისი 6 წლით კოკაიასია

**გუშინ** თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მეორე ყრილობა ჩატარდა. საანგარიშო მოხსენების, წესდებაში ცვლილებებისა და სხვა საკითხთა გარდა, ყველაზე მნიშვნელოვანი, ცხადია, პრეზიდენტის არჩევა გახლდათ. უკვე გაუწყეთ, რომ კანდიდატი ერთი იყო და ყრილობამ ყოველივე ოფიციალურად გააფორმა.

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე ექვსი წლის ვადით არჩეულმა ავთანდილ კოკაიამ შეცვალა. ყრილობას 60 დელეგატი უნდა დასწრებოდა, მაგრამ არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა 50 კაცი იყო. ერთი ბიულეტენი ბათილად ცნეს, დანარჩენი 49 ხმა წარსულში ცნობილმა მსაჯმა, ბოლო ხანს კი თფფ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ავთანდილ კოკაიამ მიიღო. გენერალური მდივნის პოსტზე სპორტკლუბ „მერანის" თავკაცი გენადი ქიქავა დამტკიცდა, ვიცე-პრეზიდენტი ყოფილი ფეხბურთელი ვასილ მიქაშავიძე იქნება.

**დავით თავართქილაძე**

### ინგლისი

პრემიერლიგა. XVIII ტური

ტოტენჰემი 1:1 არსენალი

1:0 რებროვი (37), 1:1 ვიეირა (89)

### იტალია

სერია B. XVI ტური

ვენეცია 2:2 სამპდორია

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XVIII ტური

ალემანია 0:1 ვალდჰოფი

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
საშემოდგომო ეტაპი

# №5 კოლხეთი

# საგაზაფხულოდ წინ გასაჭრელად

**ადრეც** გვითქვამს, „კოლხეთი“ ის გუნდი არ არის, მცირედით დაკმაყოფილდეს (შინაურ სარბიელს ვგულისხმობთ) და ოდენ სხვათა ზეობას უცქიროს. ფოთელებს ძველთაგან მოჰყვებათ ამბიციურობა, მეტად ეამაყებათ წარსული, ძალიან აღარდებთ აწმყომომავალი. ფოთელებს ფეხბურთში ყოველთვის პირველ როლებზე ყოფნა სურთ. ამაში ცუდი არაფერია. ეგ არის, ერთია გსურდეს და მეორე — შეგეძლოს.

„კოლხეთი“ წინა სეზონში მეხუთე ადგილზე გავიდა, რის გამოც ბოლო ხუთ წელიწადში პირველად დარჩა უევროსაგზუროდ. წესით და რიგით, ახალ სეზონს ფოთელები გაძლიერებული უნდა შეხვედროდნენ. მოხდა კი პირიქით. გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. მეკარე ზურაბ ქვაჩახიამ და მცველმა მიხეილ ქობულაძემ „ბათუმში“ წასვლა ამჯობინეს. მცველი გიორგი დავითნიძე რუსულ „ურალანს“ გადაბარგდა, ნახევარმცველი გოჩა ტრაპაიძე უკრაინულმა „ტავრიამ“ მოიწონა. კიდევ ერთი ნახევარმცველი ჯონი შალამბერიძე ქუთაისის „ტორპედომ“ გადაიბირა — იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდასთან“ ჩემპიონთა ლიგის წინასწარი ეტაპის მეტჩებისთვის კოლხთაგან ნანათხოვარი მოთამაშე ქუთაისელებმა საბოლოოდაც დაიტოვეს.

წუხდა მეთორმეტე ეროვნულის დაწყებამდე „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი გია ტყებუჩავა. „გულდასაწყვეტია მათი წასვლა, ნამდვილად კარგი გუნდი მყავდა. ისინი რომ შეგვენარჩუნებინა, ვინ იცის, იქნებ ჩემპიონობისთვისაც გვებრძოლა. ახლა კი მთავარი მიზანი საუკეთესო ექვსეულში მოხვედრაა“ — განუცხადა შუა აგვისტოში „სარბიელს“ კოლხთა დამრიგებელმა. სხვათა შორის, ამ პერიოდისთვის არ იყო გადაწყვეტილი გუნდში კოლხთა მთავარი მეგოლის ელდარ გვასალიას დარჩენის საკითხი. ელდარმა მხოლოდ მეოთხე ტურიდან დაიწყო თამაში. უფრო მეტი, ხუთი ტური გამოტოვა მეკარე მამუკა გვასალიამ, რომელიც ზედ სასტარტო მატჩის წინ ერთ-ერთ ვარჯიშზე დაშავდა. გუნდიდან წასულთა სანაცვლოდ ტყებუჩავამ ოთხი მოიწვია — მცველები ირაკლი მაღლაკელიძე („ტორპედოდან“) და შალვა ფრანგიშვილი („სამგურალიდან“), აგრეთვე რეგიონულლიგელი ნახევარმცველები ბექა ჩიტაია („ცხინვალი“) და გიორგი ჭანტურიძე („ცხუმი“). ამათ გარდა, „კოლხეთმა“ თავისსავე ფარმკლუბიდანაც იხმო რამდენიმე მოთამაშე.



კოლხი რომან ახალკაცი (მარცხნივ) და ვიტელი ჯაბა მუჯირი

პირველ ხუთ ტურში „კოლხეთმა“ მხოლოდ ერთხელ იმარჯვა, ისიც დაბეჩავებულ „იბერიასთან“, თანაც, დიდი გაჭირვებით. ყოველ შემთხვევაში, მასპინძლებმა სამტრედიელებს თამაშით ნამდვილად ვერ აჯობეს. „მერანი“, „გორდა“, თსუ, „ტორპედო“. აი, ვისთან წააგეს სასტარტო მატჩები ზღვისპირელებმა. ყველაზე სამარცხვინო თსუ-სთან მარცხი გახლდათ. სტუდენტებმა პირწმინდად დაჯაბნეს (თანაც, „ფაზისზე“!) ფოთელები. მაშინ თენგიზ კაციას შეგირდებმა ტყებუჩავასას კარგი გაკვეთილი ჩაუტარეს და დაუმტკიცეს, რომ მარტო სირბილით მოედანზე ვერაფერს გახდები. გია ტყებუჩავას ბედიც ამ მატჩის შემდეგ გადაწყდა. მართალია, მომდევნო თამაშზე „ტორპედოსთან“ გუნდი ისევ მან გაიყვანა, მაგრამ კლუბის მესვეურთ ტყებუჩავას შემცვლელი უკვე შერჩეული ჰყავდათ — „კოლხეთის“ მესაჭეობა მრავალნაცად სოსო ფილიას დაეკისრა, იმ ფილიას, რომელიც შარშან იანვარს იგივე ხალხმა ამავე თანამდებობიდან დაითხოვა და რომელსაც წელიწადნახევარი ოდენ „კოლხეთის“ ფარმკლუბთან უხდებოდა მუშაობა. ახალმა მთავარმა მწვრთნელმა წინამორბედის თხოვნა გაითვალისწინა და ტყებუჩავას „კოლხეთში“ გუნდის უფროსის თანამდებობა ჩაბარდა.

ფილიამ თავისი „დებიუტი“ გამარჯვებით აღნიშნა. კოლხებმა შინ მძიმე ბრძოლაში „სიონს“ აართვეს სამი ქულა. მომდევნო სამ ტურში ფოთელებს „დინამო“, „ბათუმი“ და „ლოკომოტივი“ ჰყავდა მეტოქეებად. არ გაუმართლათ დედაქალაქში ფილიას შეგირდებს. მათ ორივე შეხვედრა დათმეს, არადა თავიდან ორივეს იგებდნენ და ორჯერვე ზაველ ღაღანიძის მიერ გატანილით. ნებისყოფა, გამძლეობა არ ეყოთ ამ თამაშებში ფოთელებს, თორემ ხელმოცარულნიც არ დარჩებოდნენ. აშკარად დაეტყო „კოლხეთს“ ახალი მწვრთნელის ხელი. ფილიამ გუნდი დაალაგა, სათამაშო დისციპლინა განამტკიცა, ბიჭები საკუთარ ძალებში დაარწმუნა და... მეათე ტურიდან მოყოლებული „კოლხეთს“ თამაში აღარ წაუგია. 5 მოგება, 3 ფრე, 9 გატანილი და ერთი გაშვებული — ასეთი გახლდათ გუნდის მონაგარი 25 ოქტომბრიდან ჩემპიონატის სეშემოდგომო ეტაპის ფინიშამდე.

ამ პერიოდში გუნდმა სამ შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაღწია. ვიცე ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ სტუმრად დასცა ბეჭებზე, ჩემპიონ „ტორპედოს“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა „ფაზისზე“, თამაშის ყველა კომპონენტში დაჯაბნა და მასაც ალალად მოუგო, ბოლოს იყო და, ბოლნისში 4:0. როგორია?! ისე, კოლხები „მერანთანაც“ და „გორდასთანაც“ იმსახურებდნენ სამ ქულას. განსაკუთრებით „მერანთან“. ჩვენი აზრით, ავჭალელებთან მატჩი ფილიას გუნდისთვის საუკეთესო იყო ჩემპიონატის განვლილ ეტაპზე. მასპინძლებმა გასაოცარი შემართებით, ლაღად, ტაქტიკურად გამართულად ითამაშეს. მეტოქე საკუთარ საჯარიმოს იყო მიჯაჭვული, ოღონდ იმ დღეს მათ ფორტუნამ აქცია ზურგი. აკაკი დევაძეც აულებელი ციხე-სიმაგრესავით იდგა. სასწაულებს ახდენდა სტუმართა მეკარე.

ისე, გასაკვირად ცოტა, 17 თამაშში სულ 19 ბურთი გაიტანეს კოლხებმა. ამასაც აქვს ახსნა. არ ჰყავს დღესდღეობით „კოლხეთს“ გამოკვეთილი თავდამსხმელები. ვითომ გიორგი კრასოვსკი, მაგრამ ეს ბიჭი მხოლოდ შემცვლელად გვევლინება და თავის შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ ამჟღავნებს. ელდარ გვასალია უფრო შემტევი ნახევარმცველია, ვიდრე ფორვარდი. გატანა კი ეხერხება, შანსიც ხშირად ეძლევა, მაგრამ ბევრსაც სცოდავს. იგივე შეიძლება ითქვას დავით ხუჭუაზე, რომელმაც საკუთარ შესაძლებლობებზე სუსტად ითამაშა.

„კოლხეთის“ მთავარი კოზირი მაინც მობილური ნახევარდაცვაა. თამაზ კიკლიაშვილი, ზაველ ღაღანიძე, გიორგი გოგიაშვილი მართლა დიდი ძალაა ცენტრში. სათამაშოდ გასულები, ესენი თავს არ ზოგავდნენ. ფლანგებიდან გელა ფანჩულიძეს, რომან ახალკაცს, ლევან შავგულიძეს, დავით კვირკველიას ნებისმიერ დროს შეეძლოთ მეტოქისთვის საფრთხის შექმნა, საჭიროების შემთხვევაში ესენი დაცვასაც ეხმარებოდნენ. ფანჩულიძემ, ჩვეულად სტაბილურად ითამაშა. იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო კოლხთა რიგებში. რამდენიმე მატჩში მოსაწონად გაისარჯნენ ახალგაზრდები — ახალკაცი და კვირკველია. თამაში, თანაც კარგად, ორივეს შეუძლია, ოღონდ მეტი მუშაობა მართებთ საკუთარ თავზე.

გუნდს დაცვაში ჰქონდა გართულებები. ხარვეზებმა განსაკურებით თსუ-თან საშინაო შეხვედრაში იჩინა თავი. მცველები დაზღვევაზე აგვიანებდნენ, ხელოვნურ ოფსაიდსაც უხეიროდ ჰქმნიდნენ. არადა, ვალერი ტორჩინავას, კახაბერ გოროზიას, გოგიტა ქუნთელიას, ირაკლი მაღლაკელიძეს გამოცდილება არ აკლიათ. ამ უკანასკნელისადმი პრეტენზია ნაკლებად მისაღებია. ფილიას ხელში ექს ტორპედოელი იშვიათად ხვდებოდა ძირითადში. ვერ მოგახსენებთ, რა მიზეზით, იმის თქმა კი შეგვიძლია, ირაკლი სხვებზე უკეთესად გაისარჯა ყოფილი თანაკლუბელების წინააღმდეგ და მაშინ ფილიასგან ქებაც დაიმსახურა. ელგუჯა პაპავას ამ სეზონში უფრო ხშირად უწევდა ძირითადში თამაში. მისი სახით გუნდში საიმედო უკანახაზელი უნდა იზრდებოდეს.

მეკარეებზეც მოგახსენებთ. როგორც ვთქვით, გუნდის ვეტერანი მამუკა გვასალია ჩემპიონატის დაწყებამდე ვარჯიშისას დაშავდა. ხუთ მატჩში ახალგაზრდა ბიძინა ჩემია იდგა — არცთუ ურიგოდ. ნიჭიერი ბიჭი ჩანს, მაგრამ ძირითად მეკარესთან ჯერ ვერ მივა. გამოჯანმრთელებული მამუკა გვასალია უფრო გაბედულად, უშიშრად იცავდა კარს.

დანარჩენ კოლხებზეც შეიძლებოდა ერთი-ორი სიტყვის თქმა. ოღონდ ამათ ცოტა ითამაშეს და, ალბათ, გიორგი ჭანტურიძის გამოკლებით, თავიც ვერაფრით დაგვამახსოვრეს.

სოსო ფილიას „კოლხეთმა“ მეხუთე ადგილზე დაასრულა მეთორმეტე ეროვნულის საშემოდგომო ეტაპი. ფოთელები ექვსი ქულით უსწრებენ მეშვიდე ადგილზე მყოფ „ბათუმს“ და, არა გვგონია ექვსეულში მოხვედრა გაუჭირდეთ, პირიქით, ვფიქრობთ, „კოლხეთი“ ამ ზამთარს წინ გასაჭრელად მოემზადება. გაზაფხულზე გუნდი ყოველთვის უკეთესად თამაშობს. მანამდე „კოლხეთში“ ბევრ ცვლილებას უნდა ველოდოთ.

ჰო, მართლა. არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას კოლხებმა. თასის ახალ გათამაშებას მეოთხედფინალიდან ჩამოსცილდნენ. ორი შეხვედრის ჯამში მათ „ტორპედომ“ 1:1, 1:0 აჯობა.

**იუზა ძაძიტაძე**

## კოლხეთი-2000-01

| ტურის № მეტოქე | ანგარიში | სად | მეგოლე |
|---|---|---|---|
| 1 მერანი | 0:1 | ს | |
| 2 იბერია | 2:0 | შ | ფანჩულიძე<br>შავგულიძე |
| 3 გორდა | 0:1 | ს | |
| 4 თსუ | 2:4 | შ | ფანჩულიძე<br>შავგულიძე |
| 5 ტორპედო | 1:2 | ს | ფანჩულიძე |
| 6 სიონი | 1:0 | შ | შავგულიძე |
| 7 დინამო | 2:3 | ს | ღაღანიძე<br>ხუჭუა |
| 8 ბათუმი | 1:0 | შ | ქუნთელია |
| 9 ლოკომოტივი | 1:2 | ს | ღაღანიძე |
| 10 ვიტ ჯორჯია | 1:0 | ს | ქუნთელია |
| 11 დილა | 1:0 | შ | ფანჩულიძე |
| 12 მერანი | 0:0 | შ | |
| 13 იბერია | 2:1 | ს | ე. გვასალია 2 |
| 14 გორდა | 0:0 | შ | |
| 15 თსუ | 0:0 | ს | |
| 16 ტორპედო | 1:0 | შ | კვირკველია |
| 17 სიონი | 4:0 | ს | ე. გვასალია 2<br>გოგიაშვილი<br>ჭანტურიძე |

| სახელი გვარი | თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| ზაველ ღაღანიძე | 17 | 2 | 2 | 0 | 4 |
| ვალერი ტორჩინავა | 16 | 0 | 3 | 0 | 1 |
| გელა ფანჩულიძე | 15 | 4 | 5 | 0 | 3 |
| დავით ხუჭუა | 15 | 1 | 5 | 0 | 1 |
| კახაბერ გოროზია | 14 | 0 | 6 | 1 | 0 |
| რომან ახალკაცი | 13 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ელდარ გვასალია | 13 | 4 | 2 | 0 | 2 |
| დავით კვირკველია | 13 | 1 | 0 | 0 | 1 |
| თამაზ კიკლიაშვილი | 13 | 0 | 1 | 0 | 1 |
| გიორგი კრასოვსკი | 13 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გოგიტა ქუნთელია | 13 | 2 | 1 | 0 | 1 |
| ლევან შავგულიძე | 12 | 3 | 0 | 0 | 0 |
| მამუკა გვასალია | 12 | -6 | 1 | 0 | 1 |
| ელგუჯა პაპავა | 10 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ირაკლი მაღლაკელიძე | 9 | 0 | 0 | 0 | 1 |
| გიორგი გოგიაშვილი | 6 | 1 | 1 | 0 | 0 |
| შალვა ფრანგიშვილი | 4 | 0 | 1 | 0 | 1 |
| გიორგი ჩიტაია | 4 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ჭანტურიძე | 3 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ამირან კედელაშვილი | 5 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ბიძინა ჩემია | 5 | -8 | 0 | 0 | 0 |
| დავით თედეევი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბექა ჩიტაია | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ლევან აკობია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |

## საუკეთესო მოთამაშე

### ზაველ ღაღანიძე

17.05.72

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1990 | კოლხეთი 2 | C | 39 | 11 |
| 1991 | კოლხეთი | A | 5 | 0 |
| 91-92 | კოლხეთი | A | 28 | 1 |
| 92-93 | კოლხეთი | A | 17 | 0 |
| 93-94 | კოლხეთი | A | 2 | 0 |
| 94-95 | კოლხეთი | A | 23 | 1 |
| 95-96 | კოლხეთი | A | 28 | 3 |
| 96-97 | კოლხეთი | A | 28 | 2 |
| 97-98 | კოლხეთი | A | 29 | 7 |
| 98-99 | კოლხეთი | A | 27 | 6 |
| 99-00 | კოლხეთი | A | 25 | 8 |
| 00-01 | კოლხეთი | A | 17 | 2 |






| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 17 | 14 | 1 | 2 | 32:7 | 25 | 43 | 8 | 7 | 0 | 1 | 19:3 | 16 | 21 | 9 | 7 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 22 |
| 2 ტორპედო | 17 | 12 | 3 | 2 | 28:6 | 22 | 39 | 9 | 6 | 2 | 1 | 15:4 | 11 | 20 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:2 | 11 | 19 |
| 3 დინამო | 17 | 12 | 1 | 4 | 43:17 | 26 | 37 | 9 | 7 | 0 | 2 | 28:7 | 21 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:10 | 5 | 16 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 26:12 | 14 | 32 | 8 | 6 | 0 | 2 | 11:2 | 9 | 18 | 9 | 3 | 5 | 1 | 15:10 | 5 | 14 |
| 5 კოლხეთი | 17 | 8 | 3 | 6 | 19:14 | 5 | 27 | 8 | 5 | 2 | 1 | 8:4 | 4 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 11:10 | 1 | 10 |
| 6 მერანი | 17 | 6 | 6 | 5 | 17:17 | 0 | 24 | 8 | 4 | 4 | 0 | 10:4 | 6 | 16 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | -6 | 8 |
| 7 ბათუმი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:24 | -2 | 21 | 9 | 5 | 1 | 3 | 17:12 | 5 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:12 | -7 | 5 |
| 8 სიონი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:27 | -15 | 16 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:15 | -11 | 7 |
| 9 გორდა | 17 | 3 | 7 | 7 | 13:22 | -9 | 16 | 9 | 3 | 4 | 2 | 11:7 | 4 | 13 | 8 | 0 | 3 | 5 | 2:15 | -13 | 3 |
| 10 დილა | 17 | 4 | 3 | 10 | 13:32 | -19 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 9 | 1 | 1 | 7 | 2:20 | -18 | 4 |
| 11 თსუ | 17 | 4 | 2 | 11 | 17:32 | -15 | 14 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:15 | -8 | 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | -7 | 7 |
| 12 იბერია | 17 | 0 | 2 | 15 | 3:35 | -32 | 2 | 8 | 0 | 1 | 7 | 1:17 | -16 | 1 | 9 | 0 | 1 | 8 | 2:18 | -16 | 1 |

*...მას ჰქონდა ნიჭი და უყვარდა შრომა. შანსი მიეცა და გამოიყენა კიდეც. მოყეთე და გულშემატკივარი არ მოჰკლებია, თითქმის ყველაფერი ჰქონდა, რასაც მოისურვებდა. არ გათამამებულა, ცხვირი არასდროს აუწევია, არც თავში ავარდნია. იგი დღესაც ისეთივეა, როგორიც წლების წინ გვახსოვს — თავმდაბალი, მორიდებული და ზრდილობიანი, მუდამ თავდაუზოგავად მოვარჯიშე. დღეს ვინმეზე თუ გვეთქმის, ნამდვილად პროფესიონალი ქართველი ფეხბურთელიაო, პირველ რიგში ალექსანდრე იაშვილზე. მან თავად შექმნა თავისი კარიერა. მისთვის უცხო არ ყოფილა ტრავმა, ფსიქოლოგიური სტრესი, მაგრამ როგორც პროფესიონალი ჩავარდნას მალევე აღწევდა თავს.*



ალექსანდრე იაშვილი

# პროფესიონალი საბავშვო ბაღიდან

გერმანული „ფრაიბურგის“ ქართველი თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილი გუნდის და ქომაგის ერთ-ერთი უძვირფასესი მოთამაშეა. გახარებულია მწვრთნელი ფოლკერ ფინკეც. ქართველი ფორვარდი ისევ ჩვეულად ათამაშდა, გუნდიც აღმავლობის გზაზეა.

ერთ კვირაში გერმანულ ბუნდესლიგაში შესვენება გამოცხადდება. „ფრაიბურგს“ ერთი სათასო მატჩიღა დარჩენია. ახლა ჩემპიონატის პირველი ნახევრის ანალიზიც ადვილი საქმეა და იაშვილიც რამდენიმე კითხვაზე დაუზარებლად პასუხობს...

აღმავლობამდე იყო დიდი ჩავარდნა. „ფრაიბურგი“ ერთობ მიუახლოვდა გათამაშების ცხრილის ფსკერს, მაგრამ გუნდმა პრობლემას სძლია. ჩვენებურის აზრით, მიზეზი მხოლოდ ერთია:

— ჩვენი გუნდი ყველაზე ახალგაზრდულია ბუნდესლიგაში. მოთამაშეთა საშუალო ასაკი 23-24 წელიწადია. გერმანიაში „ფრაიბურგს“ „საბავშვო ბაღს“ ეძახიან. არასტაბილური თამაშის უმთავრესი მიზეზიც ესაა. სიმართლე გითხრათ, ბუნდესლიგაში ჩავარდნა მარტო ჩვენ კი არა, გაცილებით გამოცდილ და ძლიერ კლუბებს ახასიათებთ.

ბოლო დრომდე იაშვილი იშვიათად ჩნდებოდა „ფრაიბურგის“ ძირითად შემადგენლობაში, ბევრმა ახსნა სხვადასხვაგვარად მიზეზი, თუმც ის სულ ორი იყო. ერთი ძალიან პირადული, მეორე კი ფეხბურთს, უფრო სწორად საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შეეხებოდა.

ზუსტად ვერც ვიხსენებთ, ბოლოს როდის იყო იაშვილი ნაკრების მაისურით მოედანზე. მას თითქოს ყველა მატჩისწინა შეკრებაზე იწვევდნენ, მაგრამ თამაში არ უწევდა. პირველი ფსიქოლოგიური ზეგავლენა, ჩვენი აზრით, სწორედ ამან გამოიწვია.

არადა, ცოტა არ იყოს, გასაკვირიც კია, ფეხბურთელი გერმანიაში ვარგა, ნაკრების სათამაშო სტილს კი თურმე ვერ ერგება.

ფაქტია, გულგატეხილობა დაეტყო, მაგრამ არაფერი უთქვამს, ჯავრს გულშივე იკლავდა. დღესაც თავის შანსს მოელის, რომელიც არ შეიძლება, არ გამოჩნდეს.

წერილის თავში მოკეთე და გულშემატკივარი ვახსენეთ, მაგრამ ამათგან უპირველესი მამამისი, მამული იაშვილი იყო...

— ჩემი თამაშით წლეულს კმაყოფილი ვერ ვიქნები. მხოლოდ 4 გოლის გატანა მოვახერხე და ექვსი საგოლე პასი მივითვალე. მართალია, გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი მაინც მე მაქვს, მაგრამ გაცილებით მეტის მიღწევა შემეძლო.

მიზეზებზე ხშირად მეკითხებიან — რა თქმა უნდა, ხელისშემშლელი ბევრი რამ იყო და ყველაფერს გავუმკლავდი ერთის გარდა.

მამა გარდამეცვალა. შოკში ჩავვარდი. ვიმეორებ, ყველაფერს მოველოდი, ოღონდ ამას არა. თბილისში ვიყავი, იქიდან დაბრუნებულს ვარჯიშის ხსენებაც ცუდად მხდიდა. ზოგჯერ ყველაფერი სიზმარი მგონია, თუმც ნათქვამია, დრო მკურნალიაო.

„ფრაიბურგმა“ სტანდარტული მდგომარეობების მახვილგონივრული გათამაშებების შემდეგ არაერთხელ იხეირა. რუსი ვლადიმირ ბუტი და ჩვენებური ლევან კობიაშვილი შეთანხმებულად მოქმედებენ...

მწვრთნელი დიდ ყურადღებას უთმობს სტანდარტულებს და შედეგიც სახეზეა. ადრე ყველა ჯარიმა და კუთხური კობიაშვილის შესასრულებელი იყო. ამას დიდი ენერგია მიჰქონდა. ახლა ბუტიც შეეშველა და...

ლევანი ტრავმას გადაურჩა. „ბოხუმთან“ მატჩის შემდეგ საავადმყოფოშიც კი გააქანეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და, ალბათ, კობიაშვილი „ფრაიბურგს“ სათასო მატჩში დაეხმარება.

ფოლკერ ფინკეს განკარგულებაში ახლა ოთხი ქართველია, სამი თამაშობს, მეოთხე, გიორგი კიკნაძე, ალბათ, მალე ათამაშდება.

— გიორგიმ კლუბთან კონტრაქტი უკვე გააფორმა. ძირითად შემადგენლობასთან ვარჯიშობს, ხოლო სათამაშო პრაქტიკას ჯერჯერობით „ფრაიბურგის“ ფარმ-კლუბში მიიღებს. დარწმუნებული ვარ, კიკნაძეს „ფრაიბურგში“ ყველაფერი გამოუვა. ის ჩინებული ფეხბურთელია.

იაშვილმა გერმანიაში სახელი უკვე დაიგდო, მაგრამ ქართველებს მისი წინსვლა გვწადია. ამბობენ, მისით რამდენიმე გერმანული და იტალიური კლუბია დაინტერესებულიო...

— „ფრაიბურგთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ვადა ერთი წლის შემდეგ იწურება. სხვა კლუბებისგან სერიოზული წინადადებით არავის მოუმართავს. სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით წასვლასაც არსად ვაპირებ. „ფრაიბურგში“ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, მომავალში კი ვნახოთ, რა იქნება.

ერთი მატჩიც და არდადეგებიც დაიწყება. ახალი წელი, ახალი საუკუნეც კარს შეუმჩნევლად მოგვადგა. როგორ გაატარებს არდადეგებს იაშვილი, სად შეხვდება ახალ წელს...

— რა თქმა უნდა, თბილისში ჩამოვალ. მამის საფლავს მოვინახულებ... ახალ წელს კი აქამდე სულ ოჯახთან ერთად ვხვდებოდი და ტრადიციას არც ახლა დავარღვევ. თბილისში არიან დედაჩემი, ძმა და კიდევ უამრავი ახლობელი და მეგობარი.

მან იცის, რა უნდა და რას აკეთებს. ფეხბურთი უყვარს, სულით სპორტსმენია და პროფესიადაც ფეხბურთი აირჩია. არადა, შთამომავლობით ექიმების ოჯახიდანაა. მის გზაზე, ალბათ, კიდევ იქნება წინაალმდეგობები, მაგრამ პროფესიონალია მოწოდებით და პრობლემებსაც იოლად დაძლევს.

**გამუძა ძგანტალიანი**



ალექსანდრე იაშვილი და ლევან კობიაშვილი

# ფეხბურთი მეშვიდეა

## სამთავრობო სხდომის დღის წესრიგში საფეხბურთო თამაში შესაძლოა თამაშგარეთ აღმოჩნდეს

**როგორც** იქნა, მოლოდინმა გაუმართლა სადისციპლინო კომიტეტის და ფეხბურთის პრობლემებზე შექმნილი სახელმწიფო კომისიის წევრ გოგი დემეტრაძეს.

— ნეტავ, სახელმწიფო ჩინოვნიკების და ხელისუფლების წინაშე დამაყენა და მისხალ-მისხალ ვილაპარაკებ ქართულ ფეხბურთში არსებულ სიბინძურეზე და ხელოვნურად შექმნილ პრობლემებზე, ბევრს პირში მივახლი სიმართლეს — აი, წინადადება, რომელსაც დემეტრაძე პერმანენტულად იმეორებდა სახელმწიფო კომისიის სამთვიანი მუშაობის შეფასებისას.

და აი, სამთავრობო სხდომის სახვალიო მუშაობის დღის წესრიგში მეშვიდე საკითხად საფეხბურთო პრობლმებია შეტანილი. როგორც იქნა, მთავრობამ მოიცალა და გადაწყვიტა, საბოლოო დასკვნა მოაყოლოს ეროვნული სტადიონის და „დინამოს“ პრობლემების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მოკვლევას.

მთავრობის სხდომაზე ხვალ სახელმწიფო კომისიის უკლებლივ ყველა წევრია მიწვეული. მთავრობას მოკვლევას კომისიის თავმჯდომარე თედო ისაკაძე გააცნობს. როგორც იცით, ფეხბურთზე სამთავრობო სხდომას ჯერ კიდევ გასულ ოთხშაბათს უნდა ესაუბრა, მაგრამ მაშინ თედო ისაკაძე მოუცლელი გახლდათ, ხვალ კი, ალბათ, სახელმწიფო კომისიის წევრები სრული შემადგენლობით შეიკრიბებიან. მაგრამ აქვე იმასაც გეტყვით, რომ შესაძლებელია, სამთავრობო სხდომაზე საერთოდ არაფერი ითქვას „დინამო“ — „ეროვნულის“ პრობლემებზე. მიზეზი ის გახლავთ, რომ, როგორც გითხარით, საფეხბურთო ამბები დღის წესრიგში მეშვიდეა და ეგებ ვერც მოესწროს (ალბათ, ასეც იქნება) მისი განხილვა, ასეთ შემთხვევაში ეს საკითხი ავტომატურად მომავალ ოთხშაბათს განიხილება.

— ჩვენი დიდი სურვილი იყო, აღნიშნული პრობლემები სამთავრობო სხდომაზე გადაწყვეტილიყო. ამისათვის ყველაფერი გავაკეთეთ და ერთ-ორ ზედმეტ კვირას მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, მთავარია, ამ პრობლემებით სახელმწიფო დაინტერესდა და ყოველივე სამთავრობო სხდომაზე განიხილება — ასეთია დღეს „დინამოსა“ და ეროვნული სტადიონის პრობლემებზე მომუშავე სახელმწიფო კომისიის წევრთა აზრი.

**ბაატა ძგანტალიანი**



გოგი დემეტრაძეს მთავრობისთვის ბევრი აქვს სათქმელი

# გორდა გარკვევას იწყებს

**ხვალ**, ორკვირიანი არდადეგების შემდეგ რუსთავის „გორდა“ კვლავ შეიკრიბება. მწვრთნელ-ფეხბურთელები და გუნდის ხელმძღვანელები „ფოლადზე“ შეხვდებიან ერთამენთს და კლუბის მომავალზე იმსჯელებენ. ამას წინათ გუნდს პატრონი კი გამოუჩნდა, მაგრამ მხოლოდ თემურ ბუილიშვილის გარჯა საკმარისი არ არის. თბილისელი ბიზნესმენი ცდას არ აკლებს, მაგრამ ხარჯებს ბოლომდე ვერ სწვდება. ამის დასტურია, თუნდაც ის, რომ ფეხბურთელებს ბოლო თვის ხელფასი ჯერაც არ აუღიათ, ის კი არა, საშუასეზონოდ გასვლითი შეკრების ბედიც გაურკვეველია. ამის შესახებ გუშინ თავად ბუილიშვილი გვესაუბრა: — შეკრებას ფული სჭირდება. ფული კი ჯერაც მოსაძიებელია. მარტო ჩემი ძალისხმევა საქმეს არ შველის. ჩემი სიტყვები ისე არ გაიგოთ, თითქოს უკან დახევას ვაპირებდე, რადგან „გორდას“ ხელი მოვკიდე, საქმეს ბოლომდეც მივიყვან, მაგრამ საამისოდ პარტნიორებზეც არ ვიტყოდით უარს — გვითხრა ბუილიშვილმა.

ასე რომ, ხვალინდელ შეკრებაზე და მერეც ბევრი რამ არის გასარკვევი რუსთავულ კლუბში, გარკვეული მხოლოდ ალეკო გელაძის საკითხია. „გორდასა“ და ამ ფეხბურთელის თითქმის ორთვიანი მოლოდინი დასრულდა, გელაძე თავისუფალი აგენტია და გაზაფხულიდან რუსთავულ კლუბში თამაში შეუძლია.

ჯერჯერობით ახალი არაფერია ვარლამ და გიორგი კილასონიებთან დაკავშირებით. ძმები ნებისმიერი ქართული გუნდისთვის დიდი ფუფუნებაა და ძნელი სათქმელია, რუსთაველებმა სხვებთან ჭიდილში იმარჯვონ. მიუხედავად ამისა, ბუილიშვილი იმედს არ კარგავს და გაზაფხულიდან კილასონიების „ფოლადზე“ გადმობირებას აპირებს.

**ბაატა ძგანტალიანი**



თემურ ბუილიშვილი

## ინგლისი

### XVIII ტური

### მიდლსბრო 1:0 ჩელსი

1:0 გორდონი (71)
მიდლსბრო: შვარცერი, ვიკერსი, ფესტა, კარამბიუ, მასტრო, ინსი, ონილი, ოკონი (გორდონი 67), კუპერი, ველანი, დინი
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
ჩელსი: დე გუა, დესაი, ტერი, მელხიოტი, უაიზი, ჯ. მორისი, დალა ბონა, პოიეტი, ჰარლი (ლებეფი 46), გუდიონსენი, ძოლა (ალექსიძე 79)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: მორისი, ლებეფი, დესაი
29 422 მაყურებელი

### მანჩესტერი 0:1 ლივერპული

0:1 მერფი (43)
მანჩესტერი: ბარტეზი, ირვინი (ჩედვიკი 80), გ. ნევილი, უ. ბრაუნი, სილვესტრი, ბექჰემი, ბატი (გრინინგი 71), კინი, სქოულზი, გიგზი, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, ჰიიპია, ენჩოსი, კარაგერი, მერფი (მაკალისტერი 89), ჯერარდი, ბისკანი, ბარმბი, ჰესკი, ოუენი (ზმიცერი 75)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: სილვესტრი
გაძევება: ჩედვიკი (89)
67 533 მაყურებელი

### ასტონ ვილა 2:2 მანჩესტერ სიტი

0:1 ჰაალანდი (65), 1:1 დაბლინი (71), 1:2 ვანჩოპე (73), 2:2 ჟინოლა (86)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. რაიტი, საუთგეიტი, ბერი (დილანი 62), ალფაი, ს. სტოუნი, ჟინოლა, ბოატენგი, ლ. ჰენდრი, დაბლინი, მერსონი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
მანჩესტერ სიტი: ვივერი, ტიატო, შარვე, ჰაუი, დანი, უიტლი, ჰორლოკი (ვიკენსი 71), ჰაალანდი, რაიტ-ფილიპსი, ვანჩოპე, გოტერი (კენედი 59)
მწვრთნელი: ჯო როილი
გაფრთხილება: ჟინოლა, სტოუნი, ვანჩოპე
გაძევება: ჰენდრი (78)
29 281 მაყურებელი

### დერბი ქაუნთი 1:0 ქოვენთრი

1:0 კრისტი (9)
დერბი ქაუნთი: პოომი, დელაპი, ვესტი, კარბონარი, მარტინი (დ. ბარტონი 60), რიგოტი, დ. პაუელი, ბარლი, ს. ჯონსონი, ერანიო (მიურეი 78), კრისტი (ლ. მორისი 90)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
ქოვენთრი: ჰედმანი, ბრინი, ბ. ქუინი, პ. უილიამსი (ჩიპო 80), კონჯიჩი, ტომპსონი (ოსტიჩი 84), ტელფერი, კარსლი, ჰაჯი, ალოიზი (რუსელი 60), ბელამი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: კრისტი, ქუინი, უილიამსი, კარსლი
27 869 მაყურებელი

### ევერტონი 1:1 ვესტ ჰემი

1:0 კადამარტერი (75), 1:1 კანო (83)
ევერტონი: ჟერარი (სიმონსენი 90), უოტსონი, ვეირი, ს. ჰიუზი, ჰემბრიჯი, ბოლი, ნეისმიტი, გრავესენი (ალექსანდერსონი 86), ჯემილი, კადამარტერი, კ. კემბელი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ს. პირსი, სონგი, ი. პირსი, ტ. სინკლერი, ლომასი, უინტერბერნი, ლამპარდი, კარიკი, დი კანიო, კანო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: კადამარტერი, კანო, ლომასი
31 260 მაყურებელი

### იფსვიჩი 3:1 საუთჰემპტონი

0:1 ბიტი (3), 1:1 შოუკროფტი (48), 2:1, 3:1 არმსტრონგი (51, 90)
იფსვიჩი: რ. რაიტი, კროფტი, კლაპამი, მაკგრილი, ვენუსი, ჰრეიდარსონი, ჰოლანდი, მეჯილტონი, შოუკროფტი (რიიზერი 90), მ. სტიუარტი, ჯ. რაიტი (ნ. არმსტრონგი 46)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი (როსლერი 79), ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ოკლი (დრეიპერი 30), დევისი (კაჩლული 69), ბიტი, პახარსი, ბრიჯი, ტესემი, ელ ხალეჯი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: ვენუსი, დევისი, დოდი
22 228 მაყურებელი

### ლიდსი 2:0 სანდერლენდი

1:0 ბოიერი (23), 2:0 ვიდუკა (78)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, მატეო, ვუდგეიტი, რ. ფერდინანდი, ბოიერი, ბაკე, დაკური (ბეტი 79), კიუელი, ვიდუკა (ჰაკერბი 87), ა. სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
სანდერლენდი: სორენსენი, დ. უილიამსი, კრადოკი, ტომე, გრეი, არკა, რაე, მაკკენი, კილბეინი, ნ. ქუინი (დიჩიო 82), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ბაკე, ვიდუკა, ვუდგეიტი, ტომე, კრადოკი, ფილიპსი
40 053 მაყურებელი

### ლესტერი 3:1 ჩარლტონი

0:1 იოჰანსონი (6), 1:1 აკინბი (35), 2:1 ელიოტი (79), 3:1 გუნლაუგსონი (90)
ლესტერი: ფლაუერსი, იმპი, გაპი (ბენჯამინი 63), როუეტი, მ. ელიოტი, ტაგარტი, სევიჯი, დ. ჯონსი, დევიდსონი (ოუქსი 75), აკინბი (გუნლაუგსონი 68), იდი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
ჩარლტონი: კილი, კ. პაუელი, ფიში, ტაილერი (ბრინგლი 83), კიშიშევი, ს. ბრაუნი, კინსელა, იენსენი, იოჰანსონი, სვენსონი (სალაკო 83), გ. სტიუარტი (ჯ. რობინსონი 33)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: იდი, სვენსონი, იოჰანსონი
19 371 მაყურებელი

### ნიუკასლი 2:1 ბრედფორდი

1:0 სპიდი (14), 2:0 დაიერი (70), 2:1 მოლენაარი (83)
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, მარსელინიო, ლი, დაიერი, ბასედასი (აკუნიA 81), სპიდი, გრიფინი, სოლანო, ა. ჰიუზი, შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ბრედფორდი: გ. უოლში, ნოლანი, მაკკოლი, ბლეიქი (ბიგრი 69), კარბონე (მიერსი 87), მოლენაარი, ობრაიენი, უონდალი, აზერტონი, პეტრესკუ (სონდერსი 74), მაკკინლი
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
გაფრთხილება: მაკკოლი, კარბონე
50 470 მაყურებელი

### ტოტენჰემი — არსენალი

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

# ესეც ასე!

ესეც „ოლდ ტრეფორდი“, ვიშაია ტოჩკა ევროპიი...

ჟერარ ულიე ონავარი ბიჭივით ხარობდა, დენი მერფი სტუმარ ფანთა ტრიბუნისაკენ იწევდა, ეს უკანასკნელნი კი „ლივერპულის“ სადიდებელ ლექსებს ამბობდნენ და შემართულ მუშტებს ულერებდნენ სტადიონის სამ მეოთხედს. ასე მოუგო „ლივერპულმა“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ „ოლდ ტრეფორდზე“.

ზუსტად მეორე წელიწადი სრულდებოდა, „მანჩესტერს“ შინ თამაში არ წაეგო. ასე რომ, ხმაური და სენსაცია, მაგრამ თამაშისათვის რომ გეცქირა, სტუმართა გამარჯვება მოულოდნელი სულაც არ გამოჩნდებოდა. მერფიმ პირველი ტაიმის მიწურულს მოხდენილი საჯარიმოდან გაიტანა შეხვედრის ერთადერთი გოლი, ჯარიმა კი იმიტომ დაინიშნა, რომ გარი ნევილმა საფრენბურთო ილეთით მიიღო ბურთი.

ალექს ფერგიუსონის გუნდს შემადგენლობა არცთუ ხარისხოვანი ჰყავდა: თავდასხმაში ერთი კინკილა სოლსკიაერი დაურბოდა, შეტევის ფლანგები დენის ირვინსა და მაიკლ სილვესტრს ებარათ, ბექჰემი სადღაც შუაში დარბოდა, თამაშის ბოლოს შემოსული ლუკ ჩედვიკი კი მალევე გააძევეს ბოლო იმედის ჯარიმისათვის. სამიზნეაცდენილი მაიკლ ოუენი მაინც ქმნიდა ხიფათს, ემილ ჰესკიმ ყველა ბურთი მოუგო მასპინძლებს, ვესტერფელდის კარს კი ხეირიანად ხიფათი არც მიდგომია. „ლივერპული“ საუცხოოდ იცავდა თავს, „მანჩესტერი“ კი უგერგილოდ უტევდა — თავდასხმას სიმწვავე არ გააჩნდა. შედეგიც სამართლიანი იყო. „იუნაიტედის“ ყველაზე უხარისხო თამაში წლევანდელ პრემიერლიგაში ტრავმების ეპიდემიასაც შეიძლება გადაბრალდეს, თუმცა „ლივერპულსაც“ აკლდა ძირითადი მოთამაშენი.

ეს თამაში კვირას იყო, შაბათს კი პაოლო დი კანიომ „ვესტ ჰემის“ საგოლე შეტევა ჩაშალა ლივერპულის „გუდისონ პარკზე“. მძიმე დღეში ჩავარდნილი „ევერტონი“ ლონდონელებს უძალიანდებოდა. ანგარიში 1:1 იყო და შეხვედრის დასასრულამდეც წუთი რჩებოდა, როცა საჯარიმოში შეჭრილ ფრედერიკ კანოს მასპინძელთა მეკარე პოლ ჟერარი ჩაუვარდა ფეხებში, ბურთი მარჯვენა ფლანგზე გადაგორდა და იქიდან ტრევორ სინკლერმა დაუკიდა პენალტის ნიშნულის მიდამოებში მარტოდ მდგომ დი კანიოს — იტალიელმა ხელში დაიჭირა ბურთი. გიჟმაჟი პაოლოს ამგვარი ქცევა ფეირ-პლეის საუკეთესო ტრადიციათა გამოვლენა გამოდგა, რახან თავდამსხმელმა კარიდან ოც იარდში დავარდნილი, როგორც შემდგომში გაირკვა, მუხლამოვარდნილი მეკარე პირველმა შენიშნა.

ჟერარი შეცვალეს, „ვესტ ჰემმა“ ორი ქულა დაკარგა, კაპიტანმა სტივ ლომასმა კი თქვა: „როგორც კაპიტანმა, პაოლოს ვკითხე, რა ჩაიდინე-მეთქი. მან მითხრა, რომ რაც თავში მოუვიდა, ის ჩაიდინა. ხელები ამიწევია — მას თავში ჯენტლმენობა მოუვიდა“...

უკვე მეორე შაბათია და „მიდლსბროს“ საჭესთან რუხ ლაბადაში გამოხვეული ტერი ვენებლზი დგას. დგას და საქმეც ნელ-ნელა ეწყობა. „არა მგონია, უკეთ იმიტომ ვთამაშობდეთ, რომ ფეხბურთელებს ჩემი უფრო სჯერათ, ვიდრე ბრაიან რობსონისა — ამბობს ვენეიბლზი — უბრალოდ, მე უფრო მკაცრი ვარ. თანაც, როცა გუნდში მხოლოდ ორი-სამი ტექნიკური ფეხბურთელი გყავს, სხვაგვარად უნდა ითამაშო“. ამ სხვაგვარად თამაშმა კი „მიდლსბროს“ პირველი საშინაო გამარჯვება მოუტანა, „ჩელსი“ კი დამარცხდა. დინ გორდონის გოლმა რივერსაიდელებს გაახსენა, რომ შინაც შეიძლება მოიგო — ასეთი რამ ტისსაიდში მარტის თვის შემდეგ არ მომხდარა. „ჩელსიში“ კი კვლავ გამოჩნდა რატი ალექსიძე, რომელმაც ძოლა შეცვალა.

ერთი დრამატული ამბავიც „ვილა პარკზე“ გაიშალა, სადაც „მანჩესტერ სიტი“ ორჯერ უგებდა მასპინძლებს და ორჯერვე დავიდ ჟინოლას მეცადინეობამ ქულა მოუტანა კაცნაკლულ „ვილას“! მაგრამ ოთხივე გოლი თამაშის ბოლო ოცდახუთ წუთში გავიდა, მანამდე კი, თუკი რამ იყო ღირსახსოვარი ამ შეხვედრაში, მხოლოდ პოლ მერსონის გარღვევა, რომელიც დასტეხა ... ძელს მოხვედრილი გოლი. მასპინძლებმა პაულო ვანჩოპე ... დაკარგეს, სტუმრებმა კი, როგორც აღვნიშნეთ, ჟინოლა. „სიტის“ კაპიტან ალფ ჰაალანდის გოლი ჟინოლას გამოზომილ კროსზე დიონ დაბლინის ოსტატურმა თავურმა გაქვითა, ვანჩოპეს გატანილს კი იმავე ჟინოლამ ვერაგი შორეულით უპასუხა — ბურთი წინ აუხტა სიტელთა მეკარე ვივერს და კარში ისე შევარდა. ეს იყო ჟინოლას პირველი გოლი „ვილას“ შემადგენლობაში. ფრანგმა ისე გაიხარა, რომ მაისურა ყვითელი ბარათის მოშველიებით ჩააცვეს.

ცხრილში კი თითქმის არაფერი შეცვლილა — „ლესტერმაც“ იმარჯვა და „იფსვიჩმაც“.

**ირაკლი გამყრელიძე**



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ლივერპული 0:1. მარკუს ბაბელმა (მარჯვნივ) რაიან გიგზს და მის თანაგუნდელებს ფეხი არ გაანძრევინა

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მანჩესტერი | 18 | 12 | 4 | 2 | 44:14 | 30 | 40 | 9 | 7 | 1 | 1 | 26:5 | 21 | 22 | 9 | 5 | 3 | 1 | 18:9 | 9 | 18 |
| 2 არსენალი | 17 | 10 | 4 | 3 | 29:13 | 16 | 34 | 9 | 8 | 1 | 0 | 22:4 | 18 | 25 | 8 | 2 | 3 | 3 | 7:9 | -2 | 9 |
| 3 იფსვიჩი | 18 | 10 | 3 | 5 | 27:18 | 9 | 33 | 9 | 4 | 3 | 2 | 12:8 | 4 | 15 | 9 | 6 | 0 | 3 | 15:10 | 5 | 18 |
| 4 ლესტერი | 18 | 9 | 5 | 4 | 20:14 | 6 | 32 | 9 | 5 | 3 | 1 | 13:9 | 4 | 18 | 9 | 4 | 2 | 3 | 7:5 | 2 | 14 |
| 5 ლივერპული | 18 | 9 | 3 | 6 | 33:24 | 9 | 30 | 9 | 7 | 1 | 1 | 19:7 | 12 | 22 | 9 | 2 | 2 | 5 | 14:17 | -3 | 8 |
| 6 სანდერლენდი | 18 | 8 | 5 | 5 | 18:18 | 0 | 29 | 9 | 6 | 3 | 0 | 11:4 | 7 | 21 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:14 | -7 | 8 |
| 7 ნიუკასლი | 18 | 8 | 3 | 7 | 20:22 | -2 | 27 | 9 | 5 | 1 | 3 | 12:9 | 3 | 16 | 9 | 3 | 2 | 4 | 8:13 | -5 | 11 |
| 8 ვესტ ჰემი | 18 | 6 | 8 | 4 | 24:19 | 5 | 26 | 9 | 3 | 4 | 2 | 12:9 | 3 | 13 | 9 | 3 | 4 | 2 | 12:10 | 2 | 13 |
| 9 ასტონ ვილა | 17 | 6 | 8 | 3 | 21:16 | 5 | 26 | 8 | 4 | 4 | 0 | 14:6 | 8 | 16 | 9 | 2 | 4 | 3 | 7:10 | -3 | 10 |
| 10 ლიდსი | 17 | 7 | 4 | 6 | 24:23 | 1 | 25 | 9 | 6 | 0 | 3 | 18:12 | 6 | 18 | 8 | 1 | 4 | 3 | 6:11 | -5 | 7 |
| 11 ტოტენჰემი | 17 | 7 | 3 | 7 | 25:26 | -1 | 24 | 8 | 7 | 1 | 0 | 17:6 | 11 | 22 | 9 | 0 | 2 | 7 | 8:20 | -12 | 2 |
| 12 ჩელსი | 18 | 6 | 5 | 7 | 32:25 | 7 | 23 | 9 | 6 | 2 | 1 | 25:10 | 15 | 20 | 9 | 0 | 3 | 6 | 7:15 | -8 | 3 |
| 13 ჩარლტონი | 18 | 6 | 4 | 8 | 25:30 | -5 | 22 | 9 | 5 | 3 | 1 | 16:7 | 9 | 18 | 9 | 1 | 1 | 7 | 9:23 | -14 | 4 |
| 14 ევერტონი | 18 | 6 | 4 | 8 | 20:29 | -9 | 22 | 9 | 3 | 3 | 3 | 12:12 | 0 | 12 | 9 | 3 | 1 | 5 | 8:17 | -9 | 10 |
| 15 საუთჰემპტონი | 18 | 5 | 5 | 8 | 23:31 | -8 | 20 | 9 | 4 | 1 | 4 | 15:15 | 0 | 13 | 9 | 1 | 4 | 4 | 8:16 | -8 | 7 |
| 16 სიტი | 18 | 5 | 3 | 10 | 25:32 | -7 | 18 | 9 | 3 | 1 | 5 | 15:11 | 4 | 10 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:21 | -11 | 8 |
| 17 დერბი ქაუნთი | 18 | 3 | 7 | 8 | 21:35 | -14 | 16 | 9 | 2 | 5 | 2 | 11:15 | -4 | 11 | 9 | 1 | 2 | 6 | 10:20 | -10 | 5 |
| 18 ქოვენთრი | 18 | 4 | 3 | 11 | 16:33 | -17 | 15 | 9 | 2 | 2 | 5 | 6:13 | -7 | 8 | 9 | 2 | 1 | 6 | 10:20 | -10 | 7 |
| 19 მიდლსბრო | 18 | 3 | 5 | 10 | 20:28 | -8 | 14 | 9 | 1 | 3 | 5 | 8:15 | -7 | 6 | 9 | 2 | 2 | 5 | 12:13 | -1 | 8 |
| 20 ბრედფორდი | 18 | 2 | 6 | 10 | 13:30 | -17 | 12 | 9 | 2 | 4 | 3 | 9:10 | -1 | 10 | 9 | 0 | 2 | 7 | 4:20 | -16 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიდუკა (ლიდსი) | 12 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 11 |
| შერინგემი (მანჩესტერი) | 11 |
| ჰესკი (ლივერპული) | 10 |
| ანრი (არსენალი) | 10 |
| მ. სტიუარტი (იფსვიჩი) | 10 |

### XIX ტური

22 დეკემბერი
ქოვენთრი — საუთჰემპტონი
23 დეკემბერი
ჩარლტონი — ევერტონი
ჩელსი — ბრედფორდი
დერბი ქაუნთი — ნიუკასლი
ლიდსი — ასტონ ვილა
ლესტერი — ვესტ ჰემი
ლივერპული — არსენალი
მანჩესტერი — იფსვიჩი
სანდერლენდი — სიტი
ტოტენჰემი — მიდლსბრო

## პირველი დივიზიონი

### XXIII ტური

### ვულვერჰემპტონი 0:1 ბირმინგემი

0:1 ადებოლა (32)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, რობინსონი, პოლეტი, ემბლენი, ბაზელი (კამარა 54), ნდა, რ. ტეილორი, ლესკოტი, დინინგი (ძიგბაია 30)
მწვრთნელი: კოლინ ლი
19 938 მაყურებელი

### ბარნლი 0:2 ბლექბერნი

0:1 მაკატირი (45), 0:2 ბენტი (90)

### ქრიუ 1:1 კრისტალ პალასი

1:0 ლითლი (41), 1:1 ფრიდმანი (80)

### ფულემი 3:1 ტრანმერი

0:1 კუმასი (7), 1:1 კლარკი (21), 2:1, 3:1 ბოა მორტე (28, 50)

### ჯილინგემი 4:0 პრესტონი

1:0, 2:0 ასაბა (27, 34), 3:0 ეშბი (73), 4:0 კინგი (87)

### გრიმსბი 2:0 ნორვიჩი

1:0 ფლემინგი (23ს.კ.), 2:0 ნილსენი (90)

### პორტსმუთი 1:1 ჰადერსფილდი

0:1 დისონი (40), 1:1 კლარიჯი (77)

### ქუინზ პარკი 1:0 ნოტინგემი

1:0 კრუში (41)

### შეფილდ იუნ. 1:1 შეფილდ უენსდი

1:0 ფორდი (56პ), 1:1 ბენდონი (64)

### სტოკპორტი 2:0 ბარნსლი

1:0 ვისი (49), 2:0 ვუდთორპი (60)

### უოტფორდი 3:3 ვესტ ბრომვიჩი

1:0 ბატლერი (2ს.კ.), 2:0 მუნი (27), 2:1 ჰიუზი (48), 2:2 ბაარდსენი (58ს.კ.), 2:3 რობერტსი (63), 3:3 მუნი (82)

### უიმბლდონი 0:1 ბოლტონი

0:1 ჰოლდსუორთი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 22 | 17 | 4 | 1 | 53:16 | 55 |
| ბოლტონი | 23 | 13 | 6 | 4 | 38:22 | 45 |
| ბირმინგემი | 22 | 13 | 4 | 5 | 33:21 | 43 |
| ვესტ ბრომვიჩი | 23 | 12 | 5 | 6 | 32:27 | 41 |
| უოტფორდი | 21 | 12 | 4 | 5 | 41:25 | 40 |
| ბლექბერნი | 22 | 11 | 6 | 5 | 33:22 | 39 |
| ნოტინგემი | 23 | 12 | 3 | 8 | 34:26 | 39 |
| პრესტონი | 22 | 11 | 5 | 6 | 28:26 | 38 |
| შეფილდ იუნ. | 23 | 10 | 6 | 7 | 25:23 | 36 |
| ბარნლი | 21 | 10 | 5 | 6 | 24:24 | 35 |
| უიმბლდონი | 23 | 8 | 7 | 8 | 32:26 | 31 |
| ბარნსლი | 24 | 8 | 5 | 11 | 27:34 | 29 |
| კრ. პალასი | 23 | 7 | 6 | 10 | 32:34 | 27 |
| პორტსმუთი | 23 | 6 | 9 | 8 | 25:29 | 27 |
| ჯილინგემი | 23 | 6 | 7 | 10 | 29:34 | 25 |
| ვულვზი | 23 | 5 | 8 | 10 | 22:27 | 23 |
| ტრანმერი | 23 | 6 | 5 | 12 | 27:36 | 23 |
| ნორვიჩი | 22 | 6 | 5 | 11 | 19:29 | 23 |
| სტოკპორტი | 23 | 5 | 7 | 11 | 30:41 | 22 |
| გრიმსბი | 22 | 6 | 4 | 12 | 20:32 | 22 |
| უენსდი | 23 | 6 | 4 | 13 | 29:43 | 22 |
| ქრიუ | 23 | 6 | 4 | 13 | 18:32 | 22 |
| ქუინზ პარკი | 22 | 3 | 11 | 8 | 24:35 | 20 |
| ჰადერსფილდი | 23 | 4 | 6 | 13 | 22:33 | 18 |

## მეორე დივიზიონი

21-ე ტური: ბორნმუთი — სუონსი 2:0; როვერსი — სტოკი 0:3; ბერი — ოლდემი 1:1; ლუთონი — კოლჩესტერი 0:3; მილუოლი — უოლსოლი 2:0; ნოტსი — რედინგი 3:2; ოქსფორდი — ნორთჰემპტონი 3:1; პორტვეილი — ბრისტოლი 1:2; სუინდონი — როტერჰემი 2:1; უიგანი — უიკომბი 2:1; რექსჰემი — ბრენტფორდი 2:1; კემბრიჯი — პიტერბრო 0:0

## მესამე დივიზიონი

21-ე ტური: ბარნეტი — სკანთორპი 4:2; ბლექპული — ექსეტერი 3:0; კარდიფი — ჩელტენემი 3:1; ჰალიფაქსი — ჰარტლპული 0:1; ჰალი — ტორკი 1:2; ლეიტონი — დარლინგტონი 1:0; ლინკოლნი — როჩდეილი 1:1; მაკლსფილდი — კარლაილი 1:0; მენსფილდი — ბრაიტონი 2:0; პლიმუთი — იორკი 1:0; საუთენდი — ჩესტერფილდი 3:2. შრიუსბერი — კიდერმინსტერი გადაიდო

# რომას იმპერია




ლაციო — რომა 0:1. „მასპინძელი“ ნეგროს გოლმა „სტუმრები“ გაახარა

## იტალია

### XI ტური

**ლაციო 0:1 რომა**

0:1 ნეგრო (70ს.კ.)
ლაციო: პერუცი, პანკარო, ნესტა (მიხაილოვიჩი 78), ნეგრო, ფავალი, სტანკოვიჩი, დ. ბაჯო, ლომბარდო (სალასი 61), სიმეონე, ნედველი, კრესპო (ს. ინძაგი 78)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
რომა: ლუპატელი, ალდაირი, სამუელი, ძაგო, კაფუ, კანდელა, კ. ძანეტი, ტომაზი, ტოტი, ბატისტუტა, დელვეკიო (ნაკატა 87)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ფავალი, სამუელი, ძანეტი, სტანკოვიჩი
82 900 მაყურებელი

**ლეჩე 1:4 იუვენტუსი**

0:1 ინძაგი (12), 0:2 ტრეზეგე (27), 1:2 ჯორჯეტი (70), 1:3 კოვაჩევიჩი (86), 1:4 ძამბროტა (90)
ლეჩე: კიმენტი, ჟუარესი, ბალერი, სავინო, კონტიკიო, ტონეტო (კონანი 80), პიანჯერელი, ვიალი, ჯორჯეტი, ბედინი (მალუსკი 46), ვუგრინეცი (ოსორიო 59)
მწვრთნელი: ალბერტო კავასინი
იუვენტუსი: ვან დერ სარი, პარამატი, ფერარა, ტუდორი, კონტე, ტაკინარდი, დავიდსი (ბაკინი 88), პესოტო, ზიდანი, ფ. ინძაგი (ძამბროტა 85), ტრეზეგე (კოვაჩევიჩი 80)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კონტიკიო, ტუდორი, ტონეტო, დავიდსი
გაძევება: ბალერი (38)
26 942 მაყურებელი

**ინტერი 0:0 ბრეშა**

ინტერი: ფრეი, ჩირილო, ბლანი, კორდობა, ხ. ძანეტი, იუგოვიჩი, დი ბიაჯო, გრეშკო (ჰაქან შუქური 67), ზეედორფი (ბროკი 58), რეკობა, ვიერი
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
ბრეშა: სრნიჩეკი, პეტრუცი, კალორი, ფ. გალი, მასიმილიანო ესპოზიტო, ა. ფილიპინი, ბიზოლი, ე. ფილიპინი (მერო 72), კოზმინსკი, უბნერი (მარინო 88), რ. ბაჯო
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: კორდობა, ძანეტი, დი ბიაჯო
40 000 მაყურებელი

**ბოლონია 0:1 ატალანტა**

0:1 განცი (84)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია, კასტელინი, ვომე, ოლივე, მარესკა (პიაჩენტინი 70), ნერვო (ბრიოსკი 82), ლოკატელი, ბინოტო (სინიორი 70), ხულიო კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ატალანტა: პელიცოლი, სივილია, პაგანინი, კარერა, კ. ძენონი, ზაური, დ. ძენონი, დონატი, დონი, ვენტოლა (ნაპი 64), განცი (ლორენცი 89)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: კასტელინი, დონატი, პალიუკა, დ. ძენონი, მარესკა, დონი
25 000 მაყურებელი

**ნაპოლი 6:2 რეჯინა**

1:0 ბაჩინი (5), 2:0 მაგონი (19), 3:0 ამორუზო (33პ), 4:0 ბელუჩი (56), 4:1 კოცა (67), 5:1 ტროიზე (73), 6:1 იანკულოვსკი (83), 6:2 მოცარტი (86)
ნაპოლი: მანჩინი, ბალდინი, კიროგა, ტროიზე, ბაჩინი, მაგონი, პინედა, მატუზალემი (იანკულოვსკი 75), პეკია (ჯუზეპე ტედესკო 61), ნ. ამორუზო, ბელუჩი (სესა 61)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
რეჯინა: ტაიბი, ოშადოგანი, სტოვინი, მეცანო, მორაბიტო (ბოგდანი 61), კოცა, მამედე (მოცარტი 46), ბრევი, მარაზინა (კანეირა 52), რეგი, პოსანცინი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: მეცანო, მორაბიტო
35 000 მაყურებელი

**პერუჯა 4:1 ბარი**

1:0, 2:0 ტედესკო (45პ, 68), 3:0 საუდატი (69), 3:1 მაცარელი (79), 4:1 ტატი (88)
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა, მატერაცი, დი ლორეტო, ზე მარია, პიერი, ჯოვანი ტედესკო, ლივერანი (სოლიანო 87), ბაიოკო, ვრიზასი (ბლაზი 71), საუდატი (ტატი 81)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ბარი: ჟილე, დე როსა (საიდი 71), მაცარელი, ნექროიზი, ბელავისტა, პეროტა, დ. ანდერსონი, მ. მარკოლინი (ცნინაია 58), ანაკლერიო (კოლაუტო 46), ოსმანოვსკი, კასანო
მწვრთნელი: ეუჯენიო ფასკეტი
გაფრთხილება: მატერაცი, ანაკლერიო, მაცარელი, ნექროიზი
გაძევება: მატერაცი (31)
16 000 მაყურებელი

**უდინეზე 1:3 ფიორენტინა**

1:0 იორგენსენი (9), 1:1 კიეზა (38), 1:2 სოტილი (64ს.კ.), 1:3 რუი კოშტა (67)
უდინეზე: ტურჩი, გარგო, სოტილი, ბერტოტო, დიასი (მარჯოტა 82), პინცი (ვალემი 65), ფიორე, იორგენსენი (იაკინტა 72), ელგერა, მუცი, სოსა
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
ფიორენტინა: ტოლდო, ტორიჩელი, რეპკა, პიერინი, დი ლივიო, ბრეშანი, როსიტო, კ. ამორუზო (ვირიკანო 61), რუი კოშტა, კიეზა (მორფეო 86), ნუნუ გომეში (მიატოვიჩი 80)
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
გაფრთხილება: პინცი, ტორიჩელი, პიერინი, დი ლივიო
18 000 მაყურებელი

**პარმა 0:2 ვიჩენცა**

0:1, 0:2 ტონი (46, 63)
პარმა: ბუფონი, ტურამი, ტორიზი, ფ. კანავარო, ფალსინი (ჟუნიორი 20), ბოგოსიანი, ლამუში, აპია (მბომა 63), მიკუ, ამოროზო (სენსინი 77), დი ვაიო
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
ვიჩენცა: სტერკელე, კომოტო, ტომასი, მარკო ბურელიო, მაჯიო, დალ კანტო, ბერნარდინი, კროვარი, ლუიზო (ფირმანი 61), ძაული, ტონი (ლონგო 70)
მწვრთნელი: ედუარდო რეია
გაფრთხილება: ამოროზო, კომოტო, მარკო ბურელიო, კროვარი, ლამუში
17 000 მაყურებელი

**ვერონა 1:1 მილანი**

1:0 ბონაცოლი (4), 1:1 ამბროზინი (23)
ვერონა: ფერონი, ოდო, ლაურსენი, აპოლონი, ცვიტანოვიჩი, კოლუჩი (სალვეტი 86), იტალიანო (გონელა 90), ადაილტონი, მელისი, ბონაცოლი, ჯილარდინო
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
მილანი: აბიატი, სალა, როკე ჟუნიორი, მალდინი, ჰელვეგი, კოკო, გატუზო (ჯუნტი 86), ამბროზინი, ლეონარდო (ბობანი 80), შევჩენკო, ხოსე მარი (ბირშოფი 90)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: კოლუჩი, გატუზო, ამბროზინი, ჯილარდინო, აპოლონი, ჰელვეგი
გაძევება: აპოლონი (89)
15 000 მაყურებელი

„ლაციოს“ შვედ მწვრთნელს სვენ გორან ერიკსონს გულით უნდა ცხოვრების რომაული ეტაპი კარგად დაავგვირგვინოს, მაგრამ რაც ინგლისის ნაკრების მომავალ მწვრთნელად დანიშნეს, ფიქრით, ეტყობა, ლონდონშია. წესითა და რიგით, ერიკსონი კუნძულზე ივლისში უნდა გადაბარგდეს, მაგრამ კონტინენტზე ხმები დაირხა, ვინძლო ჩემოდნის ჩალაგება მანამდე მოუხდესო. ასეთი ხმების დარხევა მოსალოდნელიც იყო — ჩახედეთ ცხრილს: კვირას დერბიში დამარცხების შემდეგ „რომას“ უკვე ათი ქულით ჩამორჩება.

„დიახ, „რომა“ 10 ქულით გვისწრებს, მაგრამ სეზონის დამთავრებამდე ჯერ 23 ტურია. თუ სულის სიმტკიცეს გამოვიჩენთ, მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება. სინამდვილეში გაცილებით ძლიერი ვართ, ვიდრე ვჩანვართ — გულს არ იტეხს ერიკსონი — ტყუილად ფიქრობთ, რომ ინგლისის ნაკრებსა და „ლაციოზე“ ერთდროულად ფიქრი არ შემიძლია. ინგლისში ჩემი ერთი ასისტენტი გავაგზავნე. იქ დასახლდა და ფეხბურთელებს აკვირდება. რაც შეეხება „ლაციოს“ ცუდ შედეგებს, ვიცი, უიღბლობაზე ლაპარაკი კარგ ტონად არ ჩამეთვლება, მაგრამ „რომასთან“ აშკარად ამ მიზეზით წავაგეთ. ასე დამარცხება სირცხვილია, თუმცა არ მგონია, რომ მეტოქემ ჩვენზე უკეთ ითამაშა“.

შეხვედრაში, რომელშიც ერიკსონის აზრით „ლაციომ“ „რომაზე“ ცუდად სულაც არ ითამაშა და მაინც წააგო, ერთადერთი გოლი 70-ე წუთზე გავიდა. ეს პაოლო ნეგროს ავტოგოლი გახლდათ.

გამარჯვებულთა თავკაცმა, ცნობილმა ფაბიო კაპელომ მატჩი ასე შეაფასა: „მეტოქემ პირველ ტაიმში მართლაც კარგად ითამაშა, მეორე ნახევარში კი ჩვენ ვაჯობეთ. რთული მატჩი გამოდგა, სანახავად უინტერესო, მაგრამ ჩემმა ფეხბურთელებმა ბოლო წამამდე იყოჩაღეს. ერთი-ორჯერ ვიფიქრე, „ლაციო“ ახლა გაგვითანაბრებს-მეთქი, მაგრამ საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. ძალიან მიხარია, რომ დღეს საკუთარ ძალებში დარწმუნებული ვართ. პატივს ყველას ვცემთ, ოღონდ არავისი გვეშინია“.

„რომას“, რომელიც პატივს ყველას სცემს, ოღონდ არავისი ეშინია, კვალში „იუვენტუსი“ და „ატალანტა“ უდგანან. მათ ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ, გატანილ-გაშვებულთა სხვაობა კი ტურინელებს აქვთ უკეთესი.

„იუვენტუსმა“ ლეჩეში გაიმარჯვა 4:1. ანგარიში დაშავებული ალექსანდრო დელ პიეროს ნაცვლად მოთამაშე ფილიპო ინძაგიმ გახსნა ზინედინ ზიდანის გამოზომილი პასის შემდეგ, მეორე კი დავიდ ტრეზეგემ შეაგდო. აღსანიშნავია, რომ ტრეზეგე ჩინებულ ფორმაშია და „ლეჩეს“ კარში ახლოდან თავით გატანილი ეს გოლი სეზონში მისთვის უკვე მეექვსეა.

39-ე წუთზე უკვე ორი გოლით ჩამორჩენილ მასპინძლებს მდგომარეობა მცველის დავიდ ბალერის გაძევებამ დაუმძიმა, მაგრამ შესვენების შემდეგ ისინი მაინც დიდად გაუძალიანდნენ მოწინააღმდეგეს და 70-ე წუთზე როდოლფო ჯორჯეტის ძლიერი დარტყმით სხვაობა შეამცირეს კიდეც.

მაგრამ დარკო კოვაჩევიჩმა და ჯანლუკა ძამბროტამ თამაშის მიწურულს თითო გოლიც გაუტანეს ლეჩელებს და „იუვენტუსის“ შთამბეჭდავი გამარჯვება გამოჭედეს. ამ და ასე გამარჯვებას მნიშვნელობა სამი ქულის გარდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ჰქონდა — პარასკევს ხომ ტურინელებს ძალიან სერიოზული შეხვედრა ელით „რომასთან“. რატომ პარასკევს?

იმიტომ, რომ კვირას შობისწინა დღეა და ფეხბურთელებს რაღაც [illegible]ნებს, მოედანზე ყოფნა შინ ყოფნას უჯობთ.

„ატალანტას“ კი „ბოლონიამ“ უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. ისე, ვინ იფიქრებდა რომ სერია B-დან სერია A-ში ამ ზაფხულს ასული გუნდი შობას ლიდერთა შორის შეხვდებოდა?

საერთოდ, „ატალანტამ“ ახალგაზრდა მოთამაშეების წარმოჩენით მოიპოვა ხალხის სიმპატია, მაგრამ ბოლონიაში სამი ქულა „ბებრულად“ მოიპოვა: მარკო ნაპის ჩაწოდებულს მაურიციო განცმა მიუჩინა ადგილი მასპინძელთა კარში.

განცის ყოფილმა გუნდმა „მილანმა“ კი ვერონაში 1:1 ითამაშა. ერთი მხრივ, ძლიერ მილანელთათვის ვერონაში ფრედ თამაში დიდი წარმატება არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი სულაც აგებდნენ, შესაძლოა საკითხს სხვაგვარადაც შევხედოთ.

„ინტერმა“ რობერტო ბაჯოს „ბრეშასთან“ ითამაშა უგოლო ფრე. „ბრეშა“ მეთექვსმეტე ადგილზეა და სახელოვანი გუნდისთვის მასთან შინ დაზავება ცუდი შედეგია. თუმცა, მოდით, აქაც სხვა კუთხით შევხედოთ საკითხს — სახელი სახელად და როგორი გუნდია დღეს „ინტერი“? ამაზე მოკლე პასუხი ცხრილში ჩახედვით გავცეთ: „ინტერი“ ის გუნდია, „პერუჯასა“ და „ვერონას“ შორის, მე-11 ადგილზე რომაა.

რობერტო ბაჯოს კი ორჯერ შეეძლო თავისი ყოფილი გუნდის კარში გოლის გატანა.

„პარმამ“ რატომღაც შინ წააგო „ვიჩენცასთან“ 0:2 და მე-8 ადგილზე ჩაცურდა, „ფიორენტინამ“ კი უდინეში 3:1 გაიმარჯვა.

**ბაჩუნა ძიძია**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 რომა | 11 | 9 | 1 | 1 | 23:8 | 15 | 28 | 5 | 5 | 0 | 0 | 10:3 | 7 | 15 | 6 | 4 | 1 | 1 | 13:5 | 8 | 13 |
| 2 იუვენტუსი | 11 | 6 | 4 | 1 | 19:10 | 9 | 22 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 10 | 6 | 3 | 3 | 0 | 12:6 | 6 | 12 |
| 3 ატალანტა | 11 | 6 | 4 | 1 | 16:8 | 8 | 22 | 5 | 3 | 2 | 0 | 8:2 | 6 | 11 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 2 | 11 |
| 4 მილანი | 11 | 5 | 4 | 2 | 19:13 | 6 | 19 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:6 | 6 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 8 |
| 5 ლაციო | 11 | 5 | 3 | 3 | 17:11 | 6 | 18 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 13 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 5 |
| 6 ფიორენტინა | 11 | 4 | 5 | 2 | 20:16 | 4 | 17 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:9 | 3 | 10 | 6 | 1 | 4 | 1 | 8:7 | 1 | 7 |
| 7 ბოლონია | 11 | 5 | 2 | 4 | 16:13 | 3 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 3 | 11 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 0 | 6 |
| 8 პარმა | 11 | 5 | 2 | 4 | 13:10 | 3 | 17 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 13 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | -3 | 4 |
| 9 უდინეზე | 11 | 5 | 1 | 5 | 18:14 | 4 | 16 | 6 | 4 | 0 | 2 | 13:6 | 7 | 12 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | -3 | 4 |
| 10 პერუჯა | 11 | 3 | 4 | 4 | 15:16 | -1 | 13 | 6 | 2 | 3 | 1 | 10:7 | 3 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 |
| 11 ინტერი | 11 | 3 | 4 | 4 | 12:14 | -2 | 13 | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 11 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | -6 | 2 |
| 12 ვერონა | 11 | 2 | 6 | 3 | 14:18 | -4 | 12 | 6 | 2 | 3 | 1 | 9:9 | 0 | 9 | 5 | 0 | 3 | 2 | 5:9 | -4 | 3 |
| 13 ვიჩენცა | 11 | 3 | 3 | 5 | 13:18 | -5 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | -3 | 5 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | -2 | 7 |
| 14 ლეჩე | 11 | 3 | 3 | 5 | 9:18 | -9 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:10 | -5 | 5 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 7 |
| 15 ნაპოლი | 11 | 2 | 4 | 5 | 14:18 | -4 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 10:11 | -1 | 7 | 5 | 0 | 3 | 2 | 4:7 | -3 | 3 |
| 16 ბრეშა | 11 | 1 | 5 | 5 | 11:16 | -5 | 8 | 5 | 0 | 4 | 1 | 4:6 | -2 | 4 | 6 | 1 | 1 | 4 | 7:10 | -3 | 4 |
| 17 ბარი | 11 | 2 | 2 | 7 | 9:19 | -10 | 8 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | -8 | 1 |
| 18 რეჯინა | 11 | 1 | 1 | 9 | 7:25 | -18 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 4 | 6 | 0 | 0 | 6 | 4:17 | -13 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (რომა) | 10 |
| შევჩენკო (მილანი) | 10 |
| სოსა (უდინეზე) | 7 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 6 |
| ტოტი (რომა) | 6 |

**XII ტური**

22 დეკემბერი
რომა — იუვენტუსი
ბარი — ლაციო
23 დეკემბერი
ატალანტა — ინტერი
ბრეშა — ლეჩე
ფიორენტინა — ვერონა
მილანი — პერუჯა
ნაპოლი — პარმა
რეჯინა — ვიჩენცა
უდინეზე — ბოლონია

## სერია B

### XVI ტური

**პიაჩენცა 1:0 კიევო**

1:0 კაჩა (58)

**ანკონა 1:1 კალიარი**

0:1 ლუჩენტი (37), 1:1 პარენტე (85)

**კოზენცა 0:0 ტერნანა**

**ჯენოა 3:1 ჩიტადელა**

1:0 გრიეკო (10), 2:0 კარპარელი (23), 3:0 გრიეკო (54), 3:1 დე გასპერი (66)

**მონცა 0:1 რავენა**

0:1 დელ ანო (56)

**პესკარა 0:3 ტრევიზო**

0:1 ფანეზი (6), 0:2 ბორტოლოცი (17), 0:3 მურჯიტა (71)

**სალერნიტანა 0:1 კროტონე**

0:1 დეფლორიო (32)

**სიენა 1:0 პისტოიეზე**

1:0 კამპოლონი (19)

**ტორინო 1:0 ემპოლი**

1:0 შვოკი (38)

**ვენეცია — სამპდორია**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 16 | 8 | 4 | 4 | 22:14 | 28 |
| ვენეცია | 15 | 7 | 7 | 1 | 23:16 | 28 |
| კოზენცა | 16 | 8 | 4 | 4 | 20:14 | 28 |
| კალიარი | 16 | 7 | 6 | 3 | 28:16 | 27 |
| ტერნანა | 16 | 7 | 5 | 4 | 23:18 | 26 |
| ანკონა | 16 | 7 | 5 | 4 | 21:16 | 26 |
| სამპდორია | 15 | 6 | 7 | 2 | 19:13 | 25 |
| პიაჩენცა | 16 | 7 | 4 | 5 | 19:14 | 25 |
| სიენა | 16 | 6 | 6 | 4 | 25:21 | 24 |
| კროტონე | 16 | 7 | 3 | 6 | 20:21 | 24 |
| ტორინო | 16 | 6 | 4 | 6 | 18:21 | 22 |
| ემპოლი | 16 | 6 | 3 | 7 | 15:19 | 21 |
| სალერნიტანა | 16 | 5 | 4 | 7 | 17:17 | 19 |
| ჩიტადელა | 16 | 4 | 7 | 5 | 20:23 | 19 |
| ჯენოა | 16 | 4 | 6 | 6 | 19:20 | 18 |
| ტრევიზო | 16 | 4 | 6 | 6 | 17:20 | 18 |
| პისტოიეზე | 16 | 4 | 4 | 8 | 18:22 | 16 |
| რავენა | 16 | 1 | 8 | 7 | 14:27 | 11 |
| მონცა | 16 | 3 | 2 | 11 | 15:30 | 11 |
| პესკარა | 16 | 1 | 7 | 8 | 13:24 | 10 |

## სერია C1/A

მე-15 ტური: ალბინოლეფე — კომო 0:0; ალესანდრია — მოდენა 0:1; ალძანო — რეჯანა 2:2; ბრეშელო — სპალ 3:3; ჩეზენა — ლივორნო 1:1; ლეკო — არეცო 1:0; ლუმეცანე — ვარეზე 0:2; პიზა — კარარეზე 0:3; სპეცია — ლუკეზე წუხელ გვიან გაიმართა

## სერია C1/B

მე-15 ტური: ასკოლი — სავოია 3:0; ატლეტიკო — ლოდიჯანი 2:0; დი სანგრო — ფერმანა 1:1; ფ. ანდრია — პალერმო 1:0; ჯულიანოვა — აველინო 1:4; მესინა — აკილა 1:0; ნოჩერინა — კატანია 1:1; პეზარო — ტორესი 2:1; ვიტერბეზე — ბენევენტო 1:1

## გერმანია

### XVIII ტური

**შტუტგარტი 0:0 ფრაიბურგი**

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მაისნერი (ლისტე-ში 65), სოლდო, ბორდონი, პინტუ (ჯორჯე-ვიჩი 46), ტიამი, ბალაკოვი, კაუფი, გერბერი (ზაიცი 72), განია, დანდი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, კელი, დიარა, რამდანე, ა. ცაიერი, ვაისჰაუპტი (კულიბალი 87), ვ. ბუტი (ცანდი 80), ცქიტიშვილი, იაშვილი (დორნი 71), სელიმი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ტიამი, კაუფი, რამდანე, კელი, ვაისჰაუპტი
22 000 მაყურებელი

**კიოლნი 2:2 შალკე**

0:1 ბიომე (12), 0:2 ასამოა (34), 1:2 დონკოვი (72), 2:2 კულმანი (75)
კიოლნი: პრიოლი, სიჩონე, ჩიკონი, კელერი, კულმანი, ვოიგტი, ლოტნერი, შპრინგერი (ა. არველაძე 54), შერცი, კურტი (დონკოვი 68), ტიმი (კროიცი 90)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, ლატალი, ვან ჰუგდალემი (ბიუსკენსი 72), მიოლერი, ნემეცი, ბიომე, სანდი, ასამოა (მპენზა 65)
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
გაფრთხილება: ჩიკონი, კულმანი, სიჩონე, ასამოა, ბიუსკენსი
გაძევება: ვოიგტი (78)
41 000 მაყურებელი

**უნტერჰახინგი 2:0 აინტრახტი**

1:0 ჰირში (20), 2:0 ბრაიტენრაიტერი (86)
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ჰ. ჰერცოგი, ზაიფერტი, ჰაბერი, ციმერმანი, ჰირში (ბუხერი 89), შვარცი, შტრაუბე, რაკლი (კიოგლი 85), ზდრილიჩი (ბრაიტენრაიტერი 76)
მწვრთნელი: გიუნტერ ლორანც კიოსტნერი
აინტრახტი: შ. შმიდტი, მალიკოვიჩი, ლიოში (გუუემინი 69), კრახტი, რასიეჟსკი (სობოტზიკი 45), შური (კრიჟალოვიჩი 46), ჰელდტი, ბრანკო, ხუბჩევი, გებჰარდტი, ფიორტოფტი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ზდრილიჩი, ჰერცოგი, ლიოში, ფიორტოფტი, ბრანკო, კრახტი
6 000 მაყურებელი

**ჰანზა 1:2 დორტმუნდი**

0:1 რეინა (7), 0:2 ადო (47), 1:2 რიდლევიჩი (57პ)
ჰანზა: პიკენჰაგენი, შრიოდერი, იაკობსონი, იასერი, რიდლევიჩი, ვიბრანი (ბრაიტკროიცი 81), ბრანდი (მაიაკი 72), ისერი, არვიდსონი, აგალი, ბაუმგარტი (ემარა 81)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, ნიიჰაუსი, ოლისე ევანილსონი, ჰაინრიხი, ნერლინგერი, ადო, რიკენი, ბობიჩი, რეინა
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ლანცი, რიდლევიჩი, რიკენი
14 000 მაყურებელი

**მიუნხენი 2:1 ჰამბურგი**

1:0 ბაიროფკა (23), 2:0 აგოსტინო (63), 2:1 ბარბარესი (74)
მიუნხენი: იენჩი, ზელიჩი, ელერსი, კურცი, ჩერნი (ჰიურკი 57), შტრანცლი, ჰესლერი (რიდლი 88), რისეტი, ბაიროფკა, მაქსი, აგოსტინო (ტაისი 79)
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი (შობერი 13), ჰერჩი, ჰოოგმა, ჰანადიჩი (დოლი 71), მაჰდავიკია, სანდმანი, ტოფტინგი, იუყფალუში, კეტელაერი (ილმაზი 29), ჰაინცი, ბარბარესი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: ჰოოგმა
გაძევება: ბარბარესი (84)
19 700 მაყურებელი

**ბოხუმი 0:1 კაიზერსლაუტერნი**

0:1 კლოსე (37)
ბოხუმი: ვან დუინოვენი, დიკჰაუტი (ფრაერი 82), რაისი, მილინოვიჩი, ბემბენი (რიტჰიჩი 46), შინდცილორცი, ფარენჰორსტი, მანდრეკო, ბასტურკი, დრინჩიჩი (ბალუშინსკი 65), მ. მარიჩი
მწვრთნელი: რალფ ცუმდიკი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, იაკონი, ჰ. კოხი, შიონბერგი, ბასლერი (აჯიჩი 65), ხრისტოვი, რამზი, დომინგუში (მარშალი 72), შტრასერი, ჯორკაეფი, კლოსე (რაიხი 90)
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: ბასტურკი, ფრაერი, რიტჰიჩი, ხრისტოვი, დომინგუში, ჰ. კოხი, შიონბერგი, გ. კოხი



ჰერტა — ბაიერნი 1:3. ბერლინელი მარკო რემერი მიუნხენელ ალექსანდრ ციკლერს ეუხეშება

REUTERS

გაძევება: მილინოვიჩი (80)
15 832 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 2:0 ლევერკუზენი**

1:0 მიულერი (55), 2:0 ნოვაკი (87)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილისკოვი, ჰენგენი, გრაინერი, მიულერი, ნოვაკი, დ. მუნტიანუ (ვოსი 77), აკონორი, ვაისერი, ტ. მარიჩი (შნური 84), იუსკოვიაკი (რიშე 79)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ლევერკუზენი: მატიშეკი, რ. კოვაჩი, ნოვოტნი, ტ. ჰოფმანი (ვრანიეში 63), ჟივკოვიჩი, თ. შნაიდერი (დაუნი 83), რამელო, ნოიენდორფი (ბაბიჩი 68), ოჯიგვე, კირსტენი, ნოივილი
მწვრთნელი: ბერტი ფოგთსი
გაფრთხილება: მარიჩი, იუსკოვიაკი, ვოსი, ნოიენდორფი, შნაიდერი
12 955 მაყურებელი

**ჰერტა 1:3 ბაიერნი**

0:1 სანტა კრუზი (16), 1:1 პრეეცი (25), 1:2 ეფენბერგი (33პ), 1:3 ციკლერი (60)
ჰერტა: კირალი, რემერი, ვან ბურიკი, სვერისონი, ჰარტმანი, დარდაი, ბაინლიხი (დაეი 66), ტრეჩოკი, ვოში (სანე 66), ალვეში, პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
ბაიერნი: კანი, ლინკე, სფორცა, კუფური, იერემისი, ფინკი, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი, სანტა კრუზი (პაულო სერჯიო 89), ელბერი (შოლი 80), ციკლერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ვან ბურიკი, იერემისი, სფორცა
57 169 მაყურებელი

**კოტბუსი 3:1 ვერდერი**

1:0 კობილანსკი (4), 1:1 აილტონი (38პ), 2:1 ჰელბიგი (44), 3:1 მატიუში (69)
კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, ჰუჯუროვიჩი (მატიუში 68), ვატა, ტიელმანი, რეგეკამპფი (სკერბე 60), აკპაროვიჩი, მირიუტა, კობილანსკი, ჰელბიგი, ფრანკლინი (ლაბაკი 78)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
ვერდერი: როსტი, ფრინგსი, სკრიპნიკი, აილტსი, ვიდნერი, ფ. ერნსტი (მაქსიმოვი 63), ა. ჰერცოგი (დაბროვსკი 76), ვიკი, სტალტერი (პიზარო 60), ბოდე, აილტონი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ჰუჯუროვიჩი, შებოკი, აილტონი, ვიდნერი, ბოდე, პიზარო
12 738 მაყურებელი

# ორმოცი ბუნდესლიგაში

„სიმართლე გითხრათ, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ 18 ტურის შემდეგ პირველ ადგილზე ვიქნებოდით. ლიდერებში ყოფნას ვგეგმავდით, მაგრამ პირველობის ნაკლებად მჯეროდა. ახლა, ჩემი გუნდის თამაშს რომ ვუყურებ, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემპიონობა ძალიან რეალურია, ჩვენ ეს ხელგვეწიფება და სეზონის განახლების მერე ამისთვის ვიბრძოლებთ" — თქვა „შალკეს" ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ჰუუბ სტევენსმა.

„შალკემ" უახლესი მდევრები — მიუნხენის „ბაიერნი" და „დორტმუნდი" ერთი ქულით ჩამოიშორა, თუმცა „კიოლნთან" მატჩის ბოლო ოც წუთში ორბურთიანი უპირატესობა რომ არ გაეფლანგა, ახლა სხვაობა სამი ქულა იქნებოდა.

კიოლნის სტადიონი შაბათს ისეთი სანახავი იყო, ქართულ მოედნებსაც კი არ შეშურდებოდათ. მინდორი წვიმას სულ აეტალახებინა და თეთრ ფორმაში გამოწყობილ კიოლნელებს რა ფერის მაისურები ეცვათ, მატჩის ბოლოს ვერც გაიგებდი. ასეთ ამინდში „შალკემ" თავიდანვე შეუტია მასპინძლებს და შედეგიც მოიმკო — მე-14 წუთზე ბიომემ ბურთი კუთხურის ალამთან მიიღო, საჯარიმოში შევიდა და პრიოლს მოჭრილი დარტყმით გაუტანა. 34-ე წუთზე კი ასამოამაც იხეირა. ამ გოლებს შორის პრიოლმა ჰაიტოს და სანდს აუღო რთული ბურთები. ერთი სიტყვით, მინდორზე „შემოდგომის ჩემპიონი" მეფობდა.

მეორე ნახევრის დასაწყისიც „შალკეს" ცუდს არაფერს უქადდა. მერე ევალდ ლინენმა შეცვლებს მიმართა და თავისი გუნდის ინერტულობის შემხედვარემ მინდორზე ორი თავდამსხმელი გაიყვანა: ჯერ არველაძე, მერე დონკოვი. განსაკუთრებით დონკოვის გამოსვლა დაეტყოთ მასპინძლებს, მათ უფრო მწვავედ შეუტიეს, სტუმრებიც მოეშვნენ და... ანგარიში გათანაბრდა: 72-ე წუთზე დონკოვმა იმარჯვა, სამ წუთში კი კულმანმა ლოტნერის ჩაწოდებულს თავი შეაგება და 2:2 გახადა. კიდევ სამ წუთში „კიოლნი" რიცხვნაკლული დარჩა, რადგან ვოიგტმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. თუმცა ამ ამბავს თამაშზე გავლენა აღარ მოუხდენია — „შალკემ" რიცხობრივი უპირატესობით ვერ ისარგებლა.

ამ ფრემ არჩილ არველაძის გუნდი ერთი საფეხურით დააქვეითა — კიოლნელებმა მერვეზე ჩაინაცვლეს და მეორე ქართული კლუბის „ფრაიბურგის" მეზობლები არიან.

ფრაიბურგელები შაბათს „შტუტგარტს" ეწვივნენ და დაუმარცხებელ მატჩთა სერია შვიდამდე გაზარდეს. თამაში უგოლოდ მორჩა, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ კი სტუმართა მეკარე გოლცი აღიარეს. მხოლოდ იმასლა დავამატებთ, რომ იაშვილმა ერთხელ სელიმის კარგი მომენტი შეუქმნა და ამით გამოირჩა, „კიკერმაც" „4,5" დაუწერა. ცქიტიშვილმა „3" მიიღო, თუმცა მე-16 წუთზე მეტოქის კარის დალაშქვრის კარგი შანსი რომ გამოეყენებინა, უკეთეს შეფასებას დაიმსახურებდა. კობიაშვილმა ტრავმის გამო ვერ ითამაშა.

„ფრაიბურგი" მეცხრეზეა და თითქოს სამშვიდობოს უნდა გრძნობდეს თავს, მაგრამ არც ასეა საქმე. ცხრილის ქვედა ნაწილში დიდი სიმჭიდროვეა, თუმცა არც ლიდერთა ხუთეულშია ნაკლები ამბავი. „შალკეს" მდევარ „ბაიერნსა" და „დორტმუნდს" თანაბარი ქულები აქვთ. ამ უქმეებზე ორივემ მოიგო, თანაც ორივემ სტუმრად.

მიუნხენელებმა უშუალო კონკურენტ ბერლინის „ჰერტას" ზედიზედ მეორე საშინაო მარცხი აგემეს. წინა ტურში „კაიზერსლაუტერთან" შერცხვენილმა ბერლინელებმა „ბაიერნი" დიდი ოპტიმიზმით იწვიეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ამაში მთავარი დამნაშავე შტეფან ეფენბერგი გახლავთ, რომელმაც მძიმე ტრავმისაგან განკურნების მერე საუკეთესოდ ითამაშა.

„ბაიერნი" მინდორზე სამი გამოკვეთილი ფორვარდით გავიდა: სანტა კრუზი, ელბერი და ციკლერი. ელბერ-პაულო სერჟიოს მიერ დაჩრდილულმა პარაგვაელმა სანტა კრუზმა თავი არ დაზოგა და პირველი გოლიც მის თავდადებას მოჰყვა — მე-16 წუთი მიმდინარეობდა, როცა საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ნახტომში თავური მოაყოლა, კირალიმ საოცარი რეაქციით ფეხით მოიგერია, სანტა კრუზმა კი უფრო სწრაფი რეაქცია გამოავლინა და წაქცეულმა ზუსტად დაამატა — დიდებული გოლი იყო. „ჰერტა" გაშვებულ გოლს არ შეურიგდა, შეუტია და პრეეცმა გაათანაბრა კიდეც. რა აზრი ჰქონდა — რვა წუთში ეფენბერგმა საეჭვო პენალტით სტუმრები ისევ დააწინაურა, „ბაიერნის" უპირატესობა კი მეორე ტაიმში ციკლერმა განამტკიცა.

„ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ 2000 წელი ასე კარგად ჩავამთავრეთ"— აღნიშნა „ბაიერნის" მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა ნამატჩევს.

იმავე თქმა „დორტმუნდის" თავკაც მათიას ზამერსაც შეეძლო. მისმა გუნდმა როსტოკში „ჰანზას" [illegible] რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ძალიან კარგად ითამაშა. სტუმრებმა [illegible] აჯობეს მასპინძლებს, თუმცა [illegible] ინც სათუოდ გაიხადეს, როცა 57-ე წუთზე რიდლევიჩმა ერთი საპასუხო ბურთი გაუტანა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. მანამდე „ჰანზა" რეინამ და ადომ დაამწუხრეს. განსაკუთრებით კარგი ადოს გოლი იყო, რომელიც ვიორნსის ბრწყინვალე თამაშს მოჰყვა — მან ჯერ მეტოქის შეტევა ჩაშალა, მერე ძალიან გრძელი და ზუსტი პასით ადო მეკარეს შეატოვა.

„ვოლფსბურგს" შინ ზუსტად ერთი წელი არ წაუგია. ეს შთამბეჭდავი სერია წინა ტურში დასრულდა, როცა „ფრაიბურგმა" სტუმრად 2:1 დაამარცხა მეტოქე. ჰოდა, ვოლფსბურგელები თურმე ამ სერიის თავიდან დაწყებას აპირებენ. მათ გეგმას პირველი „ლევერკუზენი" ემსხვერპლა, რომელიც 55-ე წუთამდე გაუმკლავდა მასპინძლებს, მერე კი წინააღმდეგობა შეწყვიტა და 0:2 წააგო. სწორედ ამიტომ „ლევერკუზენი" მეოთხეა. რომ მოეგო, „შალკესთან" ერთად „შემოდგომის ჩემპიონი" ისიც იქნებოდა.

„მიუნხენ 1860"-ს კი გვიან გაეხსნა მადა. ვერნერ ლორანტის შეგირდები მთელი ორთვენახევარი ვერ იგებდნენ, ახლა კი ზედიზედ სამ მატჩში იმარჯვეს. ამჯერად მათ „ჰამბურგს" სძლიეს — 2:1.

„კაიზერსლაუტერნმა" სტუმრად „ბოხუმს" პირველად 37-ე წუთზე შეუტია და გოლიც გაიტანა — მცველთა შეცდომით მიროსლავ კლოსემ ისარგებლა და ანგარიში გახსნა. ამის მერე ბოხუმელები სულ მთლად იერიშებზე გადავიდნენ და დაცვა მოაშიშვლეს. ამით ვერც თვითონ ისარგებლეს და არც კონტრშეტევაზე ჩასაფრებული „ლაუტერნი" ახეირეს. საბოლოოდ 0:1.

ახლა ბუნდესლიგაში ორმოცდღიანი შესვენება გამოცხადდა. ჩემპიონატი 26 იანვარს განახლდება და იმედია, მასში გიორგი კიკნაძის ჩათვლით უკვე ხუთი ქართველი ითამაშებს. მანამდე კი, ხვალ, მე-15 ტურის გამოტოვებული მატჩია: „უნტერჰახინგი" — „ვერდერი".

**განო ოქრობირიძე**

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 შალკე | 18 | 10 | 4 | 4 | 37:19 | 18 | 34 | 8 | 6 | 2 | 0 | 17:6 | 11 | 20 | 10 | 4 | 2 | 4 | 20:13 | 7 | 14 |
| 2 ბაიერნი | 18 | 10 | 3 | 5 | 37:20 | 17 | 33 | 9 | 7 | 0 | 2 | 24:10 | 14 | 21 | 9 | 3 | 3 | 3 | 13:10 | 3 | 12 |
| 3 დორტმუნდი | 18 | 10 | 3 | 5 | 29:25 | 4 | 33 | 8 | 5 | 0 | 3 | 12:10 | 2 | 15 | 10 | 5 | 3 | 2 | 18:14 | 4 | 18 |
| 4 ლევერკუზენი | 18 | 9 | 4 | 5 | 28:21 | 7 | 31 | 8 | 6 | 1 | 1 | 15:4 | 11 | 19 | 10 | 3 | 3 | 4 | 13:17 | -4 | 12 |
| 5 ლაუტერნი | 18 | 9 | 3 | 6 | 26:23 | 3 | 30 | 9 | 5 | 2 | 2 | 12:8 | 4 | 17 | 9 | 4 | 1 | 4 | 14:15 | -1 | 13 |
| 6 ჰერტა | 18 | 9 | 1 | 8 | 37:34 | 3 | 28 | 10 | 6 | 1 | 3 | 26:17 | 9 | 19 | 8 | 3 | 0 | 5 | 11:17 | -6 | 9 |
| 7 ვოლფსბურგი | 18 | 7 | 6 | 5 | 36:24 | 12 | 27 | 10 | 5 | 4 | 1 | 25:11 | 14 | 19 | 8 | 2 | 2 | 4 | 11:13 | -2 | 8 |
| 8 კიოლნი | 18 | 7 | 5 | 6 | 33:29 | 4 | 26 | 10 | 6 | 3 | 1 | 26:12 | 14 | 21 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:17 | -10 | 5 |
| 9 ფრაიბურგი | 18 | 6 | 6 | 6 | 25:21 | 4 | 24 | 8 | 4 | 2 | 2 | 17:5 | 12 | 14 | 10 | 2 | 4 | 4 | 8:16 | -8 | 10 |
| 10 მიუნხენი | 18 | 6 | 6 | 6 | 24:31 | -7 | 24 | 9 | 4 | 2 | 3 | 12:14 | -2 | 14 | 9 | 2 | 4 | 3 | 12:17 | -5 | 10 |
| 11 ჰამბურგი | 18 | 6 | 3 | 9 | 35:34 | 1 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 18:10 | 8 | 16 | 10 | 1 | 2 | 7 | 17:24 | -7 | 5 |
| 12 ჰანზა | 18 | 6 | 3 | 9 | 19:29 | -10 | 21 | 9 | 3 | 3 | 3 | 11:13 | -2 | 12 | 9 | 3 | 0 | 6 | 8:16 | -8 | 9 |
| 13 ვერდერი | 17 | 5 | 5 | 7 | 23:29 | -6 | 20 | 8 | 4 | 3 | 1 | 14:9 | 5 | 15 | 9 | 1 | 2 | 6 | 9:20 | -11 | 5 |
| 14 უნტერჰახინგი | 17 | 5 | 5 | 7 | 19:27 | -8 | 20 | 9 | 4 | 3 | 2 | 12:10 | 2 | 15 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:18 | -11 | 5 |
| 15 აინტრახტი | 18 | 6 | 2 | 10 | 22:31 | -9 | 20 | 8 | 5 | 1 | 2 | 16:8 | 8 | 16 | 10 | 1 | 1 | 8 | 6:23 | -17 | 4 |
| 16 კოტბუსი | 18 | 6 | 2 | 10 | 22:32 | -10 | 20 | 10 | 6 | 0 | 4 | 15:13 | 2 | 18 | 8 | 0 | 2 | 6 | 7:19 | -12 | 2 |
| 17 შტუტგარტი | 18 | 4 | 6 | 8 | 25:30 | -5 | 18 | 10 | 4 | 5 | 1 | 19:13 | 6 | 17 | 8 | 0 | 1 | 7 | 6:17 | -11 | 1 |
| 18 ბოხუმი | 18 | 5 | 3 | 10 | 16:34 | -18 | 18 | 10 | 4 | 2 | 4 | 13:16 | -3 | 14 | 8 | 1 | 1 | 6 | 3:18 | -15 | 4 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე) | 13 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 12 |
| აგოსტინო (მიუნხენ 1860) | 11 |
| ნოვაკი (ლევერკუზენი) | 9 |
| ელბერი (ბაიერნი) | 9 |
| პრეეცი (ჰერტა) | 9 |

**XIX ტური**

2001 წლის 26-28 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| შალკე | — | ჰანზა |
| ვერდერი | — | მიუნხენი |
| აინტრახტი | — | კიოლნი |
| ფრაიბურგი | — | უნტერჰახინგი |
| ლევერკუზენი | — | შტუტგარტი |
| ლაუტერნი | — | ვოლფსბურგი |
| ბაიერნი | — | ბოხუმი |
| ჰამბურგი | — | ჰერტა |
| დორტმუნდი | — | კოტბუსი |

## მეორე ბუნდესლიგა

### XVIII ტური

**მაინცი 1:1 როიტლინგენი**

0:1 ლაპაჩინსკი (68), 1:1 უაკილი (90)
როიტლინგენი: ჰერმანუცი, ჰოფაკერი, ადუბე, მალხოვი, ტრაუბე, ბეკერი, აგუ, დრესლერი (იანიჩი 46), ლაპაჩინსკი, ფრომერი (ვიდმანი 54), დიაპა (ჰოფმანი 84)

**ზანქტ პაული 3:2 ალენი**

1:0 რატი (15), 1:1 ფაინბერი (30), 2:1 რატი (67), 2:2 სოპიჩი (71), 3:2 რატი (78)

**ზაარბრიუკენი 0:4 გლადბახი**

0:1 ვან ლენტი (45), 0:2 ოშტჰოფი (66), 0:3 ჰაუსვაილერი (74), 0:4 აიდო (90)

**ულმი 1:3 დუისბურგი**

1:0 როსლერი (19), 1:1 უსიოლდი (24ს.კ.), 1:2 პოლიკელა (33), 1:3 ებერსი (86)

**ნიურნბერგი 4:2 ჰანოვერი**

0:1 ლინკე (22), 1:1 გომსი (24), 2:1 ნიკლი (45), 2:2 ლინკე (75), 3:2 დრილერი (81), 4:2 კრჟინოვეკი (83)

**ქემნიცი 0:2 ფიურტი**

0:1 რუისი (18), 0:2 ვალტერი (86პ)

**ობერჰაუზენი 1:3 კიკერსი**

0:1 ვაინზერლი (14პ), 1:1 ობადი (34), 1:2 სილვინო (50), 1:3 ფაელი (75)

**ოსნაბრუკი 1:0 არმინია**

1:0 შუტე (59)

**ალემანია — ვალდჰოფი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 18 | 13 | 3 | 2 | 39:16 | 42 |
| ზანქტ პაული | 18 | 9 | 6 | 3 | 42:29 | 33 |
| გლადბახი | 18 | 8 | 7 | 3 | 34:19 | 31 |
| ჰანოვერი | 18 | 8 | 5 | 5 | 32:21 | 29 |
| დუისბურგი | 18 | 8 | 5 | 5 | 29:21 | 29 |
| ფიურტი | 18 | 8 | 5 | 5 | 28:20 | 29 |
| როიტლინგენი | 18 | 8 | 5 | 5 | 39:32 | 29 |
| ვალდჰოფი | 17 | 7 | 5 | 5 | 26:22 | 26 |
| ობერჰაუზენი | 18 | 8 | 2 | 8 | 25:27 | 26 |
| ზაარბრიუკენი | 18 | 7 | 4 | 7 | 26:36 | 25 |
| ალემანია | 17 | 6 | 5 | 6 | 27:33 | 23 |
| ალენი | 18 | 5 | 6 | 7 | 27:33 | 21 |
| არმინია | 18 | 5 | 4 | 9 | 24:24 | 19 |
| ულმი | 18 | 5 | 4 | 9 | 22:27 | 19 |
| კიკერსი | 18 | 4 | 7 | 7 | 17:23 | 19 |
| მაინცი | 18 | 4 | 6 | 8 | 18:24 | 18 |
| ოსნაბრუკი | 18 | 3 | 4 | 11 | 15:32 | 13 |
| ქემნიცი | 18 | 2 | 3 | 13 | 14:45 | 9 |

# მადრიდიდან ბარსელონაში და პირიქით

## ესპანეთი

### XV ტური

**რაიო ვალეკანო 2:2 ბარსელონა**

1:0 ბოლიჩი (4), 1:1 ხერარდი (7), 1:2 დე ბური (65), 2:2 პაბლო სანსი (72)
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, ბალესტეროსი, მინგო, ურბანო (ბარტელტი 46), ალკასარი, კუედო, სეტვალსი (მაურო 90), პელდერი (ივან იგლესიასი 65), პაბლო სანსი, მიჩელი, ბოლიჩი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ბარსელონა: რეინა, ფ. დე ბური, სერხი, პეტი, ოვერმარსი, ხერარდი, გაბრი, ლუის ენრიკე, გვარდიოლა, სიმაო, კლუივერტი (ალფონსო 83)
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: პაბლო სანსი, პეტი, დე ბური, ალფონსო
12 000 მაყურებელი

**ვალენსია 2:0 მალაგა**

1:0 კარეუ (41), 2:0 ბარახა (72)
ვალენსია: კანისარესი, აიალა, ალბელდა, ანგლომა, კარბონი, ჟუკიჩი, ბარახა, ვისენტე, მენდიეტა (პელეგრინო 85), კარეუ, ილიე (ხუან სანჩესი 47; ანგულო 57)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
მალაგა: კონტრერასი, ვალკარსე, როტეტა, ბრავო, როხასი (ზარატე 71), დე ლოს სანტოსი, რუფეტე, მოვილია (ედგარი 73), დელი ვალდესი, აგოსტინიო (კანაბალი 85), დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: დე ლოს სანტოსი, ვისენტე, დარიო სილვა
გაძევება: ანგლომა (65)

**ესპანიოლი 1:2 რეალი**

0:1 მორიენტესი (4), 0:2 ფიგუ (12), 1:2 პოჩეტინო (21)
ესპანიოლი: მორა, პოჩეტინო, სოლდევილა, როხერი, არტეაგა (ტოლედო 75), ნავასი, გალკა, სერხიო, ველამაზანი, ტამუდო (სერანო 80), მარტინ პოსე (ოსკარი 75)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
რეალი: კასილიასი, კარანკა, კამპო, რობერტო კარლოსი, მაკელელე, ჟერემი, ელგერა, მაკმანამანი, ფიგუ, რაული, მორიენტესი (სავიო 46)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: პოჩეტინო, მაკმანამანი, ველამაზანი, სოლდევილა, ფიგუ
31 800 მაყურებელი

**სარაგოსა 3:1 ლას პალმასი**

1:0 ხოსე იგნასიო (66), 1:1 ოლიასი (68პ), 2:1 ესნაიდერი (72), 3:1 იორდი (81)
სარაგოსა: ხუანმი, რებოსიო (კუარტერო 66), პაკო ხემესი, სუნდგრენი, აგუადო, ხოსე იგნასიო, მარტინ ველისკა, არაგონი, ჟამელი (იორდი 66), მონტენეგრო, ესნაიდერი (პეტერნაკი 89)
მწვრთნელი: ლუის კოსტა
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ოლიასი, ალვარო, მოლინა, გიარე, ხორხე (ტოდი 75), მორენო, ედუ ალონსო (ბაიანო 81), სემპისი, ხოსიკო, ანხელი (მორენო 90)
მწვრთნელი: სერჟიო კრესიჩი
გაფრთხილება: პაკო ხემესი, ნაჩო გონსალესი, არაგონი, ანხელი, მოლინა, სემპისი
25 000 მაყურებელი

**სოსიედადი 0:2 ვილიარეალი**

0:1 უნაი (21), 0:2 ხორხე ლოპესი (89)
სოსიედადი: ალბერტო, კორინო, ლოპეს რეკარტე, პიკაბეა, არანსაბალი, ფუენტესი, ტაიფუნი, ხოხლოვი, რუბენ ვეგა (სერხიო 70), დე პაულა, იდიაკესი (დე პედრო 70)
მწვრთნელი: პერიკო ალონსო
ვილიარეალი: უნანუა, კიკე ალვარესი, არუაბარენა, უნაი, ბერუე, ხავი როკა, ამორი, კანია, ხავი გარსია (ხორხე ლოპესი 60), ვიქტორი (კალეხა 89), მარიონი (კრაიოვეანუ 67)
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
გაფრთხილება: ფუენტესი, ვიქტორი, ხავი როკა, რუბენ ვეგა, კორინო, უნაი, დე პაულა
20 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 0:0 ბილბაო**

ვალიადოლიდი: ბიზარი, ტორეს გომესი, სანტამარია, მარკოსი, პაინცე, ფერნანდო სალესი (პაჩონი 67), ხესუსი, ანტონიო ლოპესი (ფერნანდო 85), კამინერო, ეუსებიო, ალბერტო (კავიედესი 67)
მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო
ბილბაო: ლაფუენტე, დელ ჰორნო, რიოსი, ლასა (ხავი გონსალესი 70), ლაკრუსი, ფელიპე, ალკორტა (ორბაისი 22), გერერო (იესტე 12), ურუტია, ოსკარ ვალესი, ურსაისი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო
გაფრთხილება: ურსაისი, ლასა, ორბაისი, ტორეს გომესი, პაინცე, ოსკარ ვალესი, მარკოსი, კამინერო, დელ ჰორნო
გაძევება: ურსაისი (85)
13 000 მაყურებელი

**ალავესი 3:1 დეპორტივო**

0:1 ვიქტორ სანჩესი (17), 1:1, 2:1 ხავი მორენო (21, 25პ), 3:1 ივან ალონსო (74)
ალავესი: ერერა, ჟელი, ტელიესი, კარმონა, კონტრა, ჟ. ტომიჩი (ეგენი 88), ასტუდილიო, დესიო, კრუიფი, მაგნო (ივან ალონსო 52), ხავი მორენო (პაბლო 72)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
დეპორტივო: სონგო, ნაიბეტი, რომერო, მანუელ პაბლო, ვალერონი, ემერსონი (ტურუ ფლორესი 55), ფერნანდო (დიეგო ტრისტანი 63), დონატო, ვიქტორ სანჩესი (ფრანი 81), მაურო სილვა, მაკაი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: კონტრა, რომერო, ჟელი, დიეგო ტრისტანი, ვიქტორ სანჩესი
14 019 მაყურებელი

**ოსასუნა 2:0 ნუმანსია**

1:0 არმენტანო (63), 2:0 საბინო (90)
ოსასუნა: ნუნო, ბიტორ ოკიო, კრუჩაგა, მატეო, ივან პერესი, იანგუსი, ანხელი, ლეკუმბერი (ალფრედო 62), არპონი (პალასიოსი 77), არმენტანო (საბინო 85), ივანო როსადო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ნუმანსია: ნუნიესი, მანელი, გუსტავო, მუნისი, ხაუმე (ინიაკი 66), ნაგორე, პირი, პაკო მორანო, ოქტავიო (ოხედა 76), დელგადო (ბარბუ 66), რუბენ ნავარო
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
გაფრთხილება: ივან როსადო, მანელი, მუნისი
15 936 მაყურებელი

**სელტა 2:2 მალიორკა**

1:0 კატანია (13), 1:1 იბაგასა (24), 2:1 ჟოროვიჩი (77), 2:2 ოლაიზოლა (90)
სელტა: პინტო, ჟოროვიჩი, კოირა (ვაგნერი 59), კასერესი, ველასკო, ედუ, დორივა, კარპინი, ჟოვანელა, კატანია, გუსტავო ლოპესი (იაგო 87)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
მალიორკა: ლეო ფრანკო, ნადალი, ოლაიზოლა, მიგელ სოლერი, არმანდო, ფინიდი (ნოვო 75), მარკოსი, ენგონგა (ჩიჩი სოლერი 80), სტანკოვიჩი (ეტოო 63), იბაგასა, ლუკე
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: გუსტავო ლოპესი, არმანდო, კატანია, მარკოსი, ვაგნერი, ლუკე, ოლაიზოლა, ჟოვანელა
გაძევება: არმანდო (82)
18 000 მაყურებელი

**ოვიედო 1:0 რასინგი**

1:0 ტომიჩი (34)
ოვიედო: ესტებანი, მარტინოვიჩი, ბორისი, დანჟუ ონოპკო, ი. ტომიჩი (ხაიმე 72), კუეტა, ივან ანია (რეიესი 62), ამიევა, ოლი, ლოსადა (ბანგო 80)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
რასინგი: სებალიოსი, ტაისი, სიეტესი, მელბერგი, არსენო, ამავისკა (მორანი 76), ვიგარ დორადო, ესპინია (ისმაელი 65), ხაიმე (ბესჩასტნიხი 65), მანხარინი, რუშფელდტი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: ტომიჩი, ხაიმე, ამიევა, არსენო, დანჟუ
25 000 მაყურებელი



სელტა — მალიორკა 2:2. სამხრეთამერიკული ბრძოლა: სტუმართა არგენტინელი არიელ იბაგასა და მასპინძელთა ბრაზილიელი ევერტონ ჟოვანელა (მარცხნივ)

REUTERS ფოტოები

**დარტყმა,** არის! მაგრამ მსაჯი თვლის, რომ ოფსაიდი იყო.

დარტყმა, არის! მსაჯმა კვლავ წესების დარღვევა შენიშნა.

დარტყმა, არის! რა თქმა უნდა, გოლი ისევ არ ჩაითვალა.

ეს ყველაფერი ვიგოში მოხდა, სადაც „სელტა" „მალიორკას" მასპინძლობდა, ხოლო სამივე გოლის ავტორები სტუმრები იყვნენ. მიუხედავად ამისა, ლუის არაგონესის ბიჭებმა ორი გოლი კიდევ გაიტანეს, მათ შორის მეორე კაცნაკლულებმა და გალისიელები ქულის ამარა დატოვეს. აღსანიშნავია, რომ კუნძულელები გვარიან უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა ორჯერ მოუხდათ მდევრად ყოფნა.

პამპლონაში ნავსი გატყდა. „ოსასუნას" აქამდე ზედიზედ თორმეტი მატჩი არ მოეგო და „ნუმანსია" დაამარცხა. არგენტინელ მარიანო არმენტანოსა და საბინო სანჩესის გოლებმა „ოსასუნა" იმითაც ახეირა, რომ გასავარდნთა ზონას ერთი საფეხურით გასცდა, ხოლო „ნუმანსია" იქ ჩატოვა. როგორც ჩანს, სორიელებს მწვრთნელის პოსტიდან ფრანსისკო ერერას გაშვება და მარიანო გარსია რემონის მოყვანაც არ შველით.

ახლა ვიკითხოთ, რომელი გუნდები თამაშობენ შინ ყველაზე კარგად? „ოვიედო" და „ვალენსია", მათ შვიდ-შვიდი მოგება და თითო ფრე აქვთ. და ყველაზე ცუდად გასვლაზე? ისევ „ოვიედო" — შვიდ მატჩში ერთი გოლიც არ გაუტანია. გასულ უქმეებზე ეს ყველაზე კონტრასტული გუნდი „რასინგს" მასპინძლობდა და ტრადიცია არ დაარღვია. სტუმრებს ურიგოდ არ უთამაშიათ და მხოლოდ მეკარე ხოსე მარია სებალიოსის ერთმა შეცდომამ დაღუპა — მასპინძელთა იუგოსლაველი ივან ტომიჩის დარტყმული კარის ხაზს უკან მოიგერია.

„ვალენსიას" საკმაოდ გაუჭირდა „მალაგასთან" და იონ კარეუს ბრწყინვალე თამაში რომ არა, ეგებ ლიდერობაც დაეკარგა. უკვე მერამდენედ გვიხდება ნორვეგიელის შექება და მის მიერ გუნდისთვის მოპოვებული ქულების დათვლა. ახლაც მალაგელები ჩინებულად იცავდნენ თავს და მხოლოდ კარეუს გოლის მერე გატყდნენ, რასაც რუბენ ბარახამ მეორეც მიამატა — ამადეო კარბონიმ საჯარიმოს დარტყმას ბურთის ბარახასთან გათამაშება ამჯობინა და სანამ სტუმრები ჩანაფიქრს მიუხვდებოდნენ, ვალენსიელი მეკარე პედრო კონტრერასის პირისპირ აღმოჩნდა. მატჩის დასაწყისში კარეუმ ძელსაც გაარტყა.

გათამაშების ცხრილის ფსკერზე ერთ დროს სახელოვანი ბასკური კლუბი მოკალათებულა და ამ ნაკლებ საპატიო უფლების დათმობას არ აპირებს. შუა კვირაში „სოსიედადი" ესპანეთის თასზე მესამედივიზიონელ „ბეასაინთან" დამარცხდა და ახლა ვილიარეალელებს ორი გოლი გაატანინა. ასეთ დროს კლუბის წარუმატებლობას ვინმე უცილობლად უნდა შეეწიროს. როგორც წესი, ეს ვინმე მწვრთნელია, მაგრამ რაკი პერიკო ალონსომ ხავიერ კლემენტე არც ისე დიდი ხნის წინ შეცვალა, მისი გაგდება არასწორი იქნებოდა. ამიტომ პრეზიდენტმა ლუის ურანგამ ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო და თავად გადადგა.

68-ე წუთზე ლასპალმასელმა ტომას ოლიასმა სარაგოსელებს პენალტი გაუტანა და გაათანაბრა, სამი წუთის შემდეგ კი 25 ათასი სარაგოსელი ქომაგი ხუან ედუარდო ესნაიდერის დაბრუნებას და გოლს ზეიმობდა. ორი წლის წინ „იუვენტუსში" გაყიდული ფეხბურთელი ერთი კვირის წინ დაბრუნდა ძველ მეგობრებთან, ხოლო განაცხადში 15 დეკემბერს შეიყვანეს, 24 საათის შემდეგ კი გოლი...

„დეპორტივომ" წინა ტურში „რაიოსთან" ფრედ ითამაშა და ლიდერობა დაკარგა. ახლა „ალავესთან" წაგებამ ჩემპიონი მესამე ადგილზე გადააგდო. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის ბომბარდირმა ხავი მორენომ ათბურთიან მარაგს ორიც მიუმატა და უახლოესი მდევარი რივალდო ოთხი ბურთით ჩამოიტოვა. საერთოდ კი ბასკთა გატანილი გოლების ნახევარზე მეტი მორენოზე მოდის, რაც საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა. ისიც ვთქვათ, რომ „დეპორტივოს" არასდროს მოუგია ვიტორიას „მენდისოროზას" სტადიონზე პრემიერ ლიგის შეხვედრა.

„რეალმა" თორმეტ წუთში გაარკვია „ესპანიოლთან" ურთიერთობა. მე-4 წუთზე [illegible] საჯარიმოს კუთხესთან ფერნანდო მორიენტესი მოძებნა, მანაც მეურვე მოატყუა და გაიტანა. მერე ლუიშ ფიგუს ჯერიც დადგა... აბა, რა დაავიწყებდა პორტუგალიელს ბარსელონაში წინა სტუმრობასა და გადარეულ ფანობას. ჰოდა, შური იძია და მასპინძელთა მეკარე ხუან ლუის მორას აუღებელი საჯარიმო დაურტყა. თუმცა აღვნიშნოთ, რომ შურისძიება არასრულყოფილია, რადგან „ესპანიოლი" „ბარსელონა" არაა, „მონჟუიკიც" განსხვავდება „კამპ ნოუსგან" და ესპანიოლელი ქომაგებიც არ მტრობენ ფიგუს. მასპინძლებმა „რეალის" ორ გოლს მხოლოდ ერთით უპასუხეს — დაცვამ და კასილიასმა ერთმანეთს ვერ გაუგეს და მაურისიო პოჩეტინიო ცარიელი კარის წინ დატოვეს.

„ბარსელონა" მადრიდს ეწვია და სანამ 4 მარტს კვლავაც მოუწევს ამ ქალაქში „რეალთან" სათამაშოდ ჩასვლა, „რაიო ვალეკანოს" შეერკინა.

კარგი თამაში გამოდგა: უკვე მე-4 წუთზე მიგელ ანხელ მიჩელის ჩამოლებულს ელვირ ბოლიჩმა თავი დაუხვედრა და ანგარიში გახსნა. ოთხ წუთში ხერარდმა გაათანაბრა და შემტევი, გახსნილი თამაშიც გაჩაღდა. ბოლიჩმა და მიჩელმა რამდენჯერმე გაარღვიეს სტუმართა დაცვის ხაზი, თუმცა ვერაფერს გამორჩნენ, ხოლო „რაიოს" კართან იგივე კლუივერტმა და ოვერმარსმა გააკეთეს. პირველ ტაიმში სიმაომ და კლუივერტმა ორჯერ გაარტყეს ხარიხას. კარგად ითამაშა ორივე მეკარემ — ხულიენ ლოპეტეგიმ და ხოსე მანუელ რეინამ. შესვენების შემდეგ უკვე „ბარსელონა" დაწინაურდა ფრანკ დე ბურის თავურით, რომელიც გვარდიოლას ჩაწოდებულ საჯარიმოს მოჰყვა, მაგრამ „ბარსა" ისევ დე ბურმა დაღუპა — საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და პაბლო სანსს პენალტი გაატანინა. წამატებულ დროში სტუმრებმა მესამეც შეაგდეს, მაგრამ ვერ გაიხარეს — ლუის ენრიკე მეკარეს ეუხეშა და ისე გაიტანა.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვალენსია | 15 | 9 | 4 | 2 | 27:9 | 18 | 31 | 8 | 7 | 1 | 0 | 19:3 | 16 | 22 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:6 | 2 | 9 |
| 2 | რეალი | 14 | 9 | 2 | 3 | 31:17 | 14 | 29 | 6 | 5 | 0 | 1 | 17:5 | 12 | 15 | 8 | 4 | 2 | 2 | 14:12 | 2 | 14 |
| 3 | დეპორტივო | 15 | 8 | 4 | 3 | 25:14 | 11 | 28 | 7 | 5 | 2 | 0 | 13:2 | 11 | 17 | 8 | 3 | 2 | 3 | 12:12 | 0 | 11 |
| 4 | რაიო ვალეკანო | 15 | 6 | 6 | 3 | 32:22 | 10 | 24 | 8 | 5 | 2 | 1 | 19:8 | 11 | 17 | 7 | 1 | 4 | 2 | 13:14 | -1 | 7 |
| 5 | ალავესი | 15 | 7 | 3 | 5 | 23:15 | 8 | 24 | 8 | 5 | 1 | 2 | 13:5 | 8 | 16 | 7 | 2 | 2 | 3 | 10:10 | 0 | 8 |
| 6 | ბარსელონა | 15 | 7 | 3 | 5 | 29:22 | 7 | 24 | 7 | 5 | 1 | 1 | 15:7 | 8 | 16 | 8 | 2 | 2 | 4 | 14:15 | -1 | 8 |
| 7 | მალიორკა | 15 | 6 | 5 | 4 | 18:17 | 1 | 23 | 7 | 4 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 14 | 8 | 2 | 3 | 3 | 8:11 | -3 | 9 |
| 8 | ოვიედო | 15 | 7 | 2 | 6 | 20:22 | -2 | 23 | 8 | 7 | 1 | 0 | 20:8 | 12 | 22 | 7 | 0 | 1 | 6 | 0:14 | -14 | 1 |
| 9 | ვილიარეალი | 15 | 6 | 4 | 5 | 19:18 | 1 | 22 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:9 | -3 | 9 | 8 | 4 | 1 | 3 | 13:9 | 4 | 13 |
| 10 | ბილბაო | 15 | 5 | 4 | 6 | 20:21 | -1 | 19 | 7 | 5 | 0 | 2 | 16:10 | 6 | 15 | 8 | 0 | 4 | 4 | 4:11 | -7 | 4 |
| 11 | სელტა | 15 | 5 | 4 | 6 | 19:22 | -3 | 19 | 8 | 4 | 4 | 0 | 15:9 | 6 | 16 | 7 | 1 | 0 | 6 | 4:13 | -9 | 3 |
| 12 | სარაგოსა | 14 | 4 | 6 | 4 | 17:15 | 2 | 18 | 8 | 3 | 4 | 1 | 13:8 | 5 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | -3 | 5 |
| 13 | მალაგა | 15 | 5 | 3 | 7 | 23:25 | -2 | 18 | 7 | 4 | 2 | 1 | 15:10 | 5 | 14 | 8 | 1 | 1 | 6 | 8:15 | -7 | 4 |
| 14 | ესპანიოლი | 15 | 5 | 3 | 7 | 15:18 | -3 | 18 | 8 | 3 | 1 | 4 | 8:9 | -1 | 10 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | -2 | 8 |
| 15 | ლას პალმასი | 15 | 5 | 3 | 7 | 17:32 | -15 | 18 | 7 | 3 | 1 | 3 | 7:12 | -5 | 10 | 8 | 2 | 2 | 4 | 10:20 | -10 | 8 |
| 16 | ვალიადოლიდი | 15 | 3 | 8 | 4 | 14:17 | -3 | 17 | 8 | 3 | 5 | 0 | 8:4 | 4 | 14 | 7 | 0 | 3 | 4 | 6:13 | -7 | 3 |
| 17 | ოსასუნა | 15 | 2 | 7 | 6 | 14:21 | -7 | 13 | 8 | 1 | 4 | 3 | 9:11 | -2 | 7 | 7 | 1 | 3 | 3 | 5:10 | -5 | 6 |
| 18 | რასინგი | 15 | 3 | 4 | 8 | 17:26 | -9 | 13 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | 1 | 11 | 8 | 0 | 2 | 6 | 7:17 | -10 | 2 |
| 19 | ნუმანსია | 15 | 3 | 4 | 8 | 14:24 | -10 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:8 | -2 | 8 | 8 | 1 | 2 | 5 | 8:16 | -8 | 5 |
| 20 | სოსიედადი | 15 | 3 | 3 | 9 | 15:32 | -17 | 12 | 8 | 1 | 3 | 4 | 9:18 | -9 | 6 | 7 | 2 | 0 | 5 | 6:14 | -8 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 12 |
| რივალდო (ბარსელონა) | 8 |
| დელი ვალდესი (მალაგა) | 7 |
| ხუან სანჩესი (ვალენსია) | 7 |
| რაული (რეალი) | 7 |
| კატანია (სელტა) | 7 |

**XVI ტური**

დღეს
რეალი — რაიო ვალეკანო
ხვალ
მალაგა — სოსიედადი
ბილბაო — ვალენსია
რასინგი — ვალიადოლიდი
დეპორტივო — ოვიედო
ბარსელონა — ალავესი
მალიორკა — ესპანიოლი
ნუმანსია — სელტა
ლას პალმასი — ოსასუნა
ვილიარეალი — სარაგოსა

## მეორე დივიზიონი

### XVII ტური

**ხაენი 0:1 ლევანტე**

0:1 ლიმა (29)

**უნივერსიდადი 1:3 სალამანკა**

0:1, 0:2 კ. მუნტიანუ (8, 13), 1:2 ჟონათანი (42), 1:3 ტორედლი (88)

**ტენერიფე 1:0 მურსია**

1:0 ლუის მარტი (33)

**კორდობა 0:1 სევილია**

0:1 დიეგო რიბერა (1)

**ელჩე 0:1 უელვა**

0:1 დავიდი (82)

**კომპოსტელა 1:1 ხეტაფე**

1:0 გუდელი (63), 1:1 პარადო (80)

**ბეტისი 1:0 სპორტინგი**

1:0 არზუ (30)

**ბადახოსი 1:0 ლეგანესი**

1:0 პედრო (37)

**ატლეტიკო 3:2 ლეიდა**

0:1 ალვარესი (15), 1:1 აგილერა (29), 2:1 სალვა (36პ), 2:2 ლუსარეტა (48), 3:2 სალვა (50)

**ესტრემადურა 2:0 ეიბარი**

1:0 დურე (62), 2:0 დ. კარანკა (76პ)

**ფეროლი — ალბასეტე**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტენერიფე | 17 | 10 | 4 | 3 | 27:11 | 34 |
| სევილია | 17 | 10 | 3 | 4 | 25:15 | 33 |
| ბეტისი | 17 | 8 | 5 | 4 | 15:11 | 29 |
| უელვა | 17 | 6 | 10 | 1 | 12:6 | 28 |
| ლევანტე | 17 | 6 | 9 | 2 | 24:17 | 27 |
| ალბასეტე | 16 | 7 | 5 | 4 | 16:13 | 26 |
| სალამანკა | 17 | 7 | 5 | 5 | 18:16 | 26 |
| კორდობა | 17 | 7 | 4 | 6 | 15:16 | 25 |
| სპორტინგი | 17 | 6 | 6 | 5 | 25:18 | 24 |
| მურსია | 17 | 6 | 6 | 5 | 25:20 | 24 |
| ბადახოსი | 17 | 5 | 9 | 3 | 15:14 | 24 |
| ხაენი | 17 | 7 | 3 | 7 | 13:16 | 24 |
| ესტრემადურა | 17 | 6 | 5 | 6 | 16:16 | 23 |
| ლეგანესი | 17 | 4 | 9 | 4 | 20:17 | 21 |
| ატლეტიკო | 17 | 5 | 6 | 6 | 20:20 | 21 |
| ეიბარი | 17 | 4 | 8 | 5 | 12:13 | 20 |
| ელჩე | 17 | 5 | 5 | 7 | 20:25 | 20 |
| ხეტაფე | 17 | 4 | 6 | 7 | 17:23 | 18 |
| კომპოსტელა | 17 | 4 | 3 | 10 | 15:31 | 15 |
| ფეროლი | 16 | 3 | 4 | 9 | 16:24 | 13 |
| ლეიდა | 17 | 2 | 5 | 10 | 18:28 | 11 |
| უნივერსიდადი | 17 | 1 | 6 | 10 | 11:25 | 9 |



რაღაც შფოთიანი უქმეები გამოდგა: ჰოლანდიიდან დაწყებული და შორეული განით დამთავრებული, საფეხბურთო ვნებები თავპირისმტვრევასა და აურზაურში გადაიზარდა. სამწუხაროდ, ამ ყველაფერს უმსხვერპლოდ არ ჩაუთვლია



# პოლიციამ მოკლა კაცი
## დიდი აჟანყება ჰოლანდიაში

**შაბათს** ჰოლანდიურ ჰერტოგენბოსხში დიდი აურზაური იყო — პოლიციამ ქალაქის საფეხბურთო გუნდის ერთ-ერთი ცნობილი თავგადაკლული ფანი მოკლა. ამ ფაქტმა უამრავი ხალხი გამოიყვანა ქუჩაში, მოხდა ხელჩართული შეტაკებები მათსა და სამართალდამცავებს შორის. დაიმსხვრა არაერთი ბარისა და მაღაზიის ვიტრინა. გაავებულმა ბრბომ ზოგან ხანძარიც გააჩინა. პოლიცია ამბოხებულთა დაშოშმინებას შეეცადა, გამოიყენა ცრემლსადენი გაზი, ხელკეტები, დააპატიმრა შვიდი ადამიანი. მშენებარე სკოლასაც მოეკიდა ცეცხლი, რომლის ჩასაქრობადაც მისული სახანძრო რაზმის ერთ-ერთი ოფიცერი ჩხუბისა და გაწევ-გამოწევის დროს მსუბუქად დაშავდა. სხეულის მცირე დაზიანებით ჰოსპიტალში სამი პოლიციელიც მოათავსეს.

ინციდენტის გამო ქალაქის მერმა იმ საღამოს დაგეგმილი „დენ ბოსხი" — „ვენლოს" მატჩის გადადება ბრძანა, რათა მოვლენების შემდგომი გართულება თავიდან აეცილებინათ. თავად კლუბის ხელმძღვანელობა დიდ სინანულს გამოთქვამს ტრაგედიის გამო, თუმცა იქვე დასძენს, რომ „დენ ბოსხს" მომხდართან საერთო არაფერი აქვს.

შაბათ დილას 31 წლის ჰერტოგენბოსხელი ფანი მეზობლებს წაჩხუბებია. პოლიცია უმალ გაჩენილა, მაგრამ იმ კაცს სამართალდამცავთათვის წინააღმდეგობა გაუწევია. პოლიცია იუწყება, სხვა აღარაფერი დაგვრჩენოდა, ცეცხლი უნდა გაგვეხსნაო. გარდაცვლილის გვარს ჯერ არ ასახელებენ, მხოლოდ იმას აცხადებენ, დაჭრილი საავადმყოფოში წავიყვანეთ და სული იქ დალიაო.

# ფინალი უჩხუბრად ვის მოუგია
## როგორ ჩავშალოთ მატჩი (აფრიკული ვარიანტი)

**გაისად** ზაფხულში მსოფლიოს მეორე საკლუბო ჩემპიონატი ჩატარდება, რომელსაც ესპანეთი უმასპინძლებს. აფრიკა ტურნირზე ორი გუნდით წარდგება, რომელთა ვინაობაც უკვე ცნობილია: ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, განური „ჰართს ოფ ოუკ" და თასების მფლობელთა თასის მომგები, ეგვიპტური „ზამალეკი". ეს ისე, ცნობისთვის, ქვემოთ კი აფრიკულ ფეხბურთში არსებულ განუკითხაობაზე ვისაუბროთ.

ლიგის საპასუხო ფინალურ მატჩში, რომელიც განის დედაქალაქ აკრაში შედგა, „მუხის გულებმა" (ქართულად ასე ჟღერს განური გუნდის სახელი) 3:1 მოუგეს ტუნისურ „ესპერანსს", მაგრამ მატჩმა ტრადიციულად არეულობების გარეშე არ ჩაიარა.

ყოვლად გაუგებარია, რა რჯიდათ „ჰართსის" ფანებს, მათი გუნდი აშკარად სჯობნიდა მეტოქეს, მაგრამ მოედანზე ათასგვარი უცხო საგნის სროლა დაიწყეს — საგანთა მრავალფეროვნებით და რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, შეხვედრისთვის ჩინებულად იყვნენ მომზადებულნი. მსაჯი იძულებული გახდა, თავშესაფარი მოეძებნა და მატჩი შეეწყვიტა. ამასობაში პოლიციამ ცრემლსადენი გაზის ბალონები მოიმარჯვა და შფოთისთავები დაბომბა. ამ აუცილებელ ოპერაციას 18 წუთი დასჭირდა და თამაშიც განახლდა, თუმცა ერთი ამბავიც მოხდა: ტუნისელმა მეკარე შოქრი ელ უაერმა იგრძნო, ამ მატჩის მომგები არ ვართო და ხერხს მიმართა — მინდორზე ნასროლი ბასრი საგანი აიღო, თავი დაისერა და მსაჯს ასე დასისხლიანებული მიადგა, დახეთ, ამ არამზადებმა რა მიქნეს, თამაში ჩავშალოთო. ოინმა არ გაჭრა. შეშინებული მსაჯი უსაფრთხო ადგილას კი შეყუჟულიყო, მაგრამ მის მახვილ თვალს მეკარის ეშმაკობა არ გამოჰპარვია და იგი ულირს საქციელში ამხილა. დარცხვენილ ელ უაერს ისღა დარჩენოდა, კარში ჩამდგარიყო და თვითნაგვემს შეესრულებინა მოვალეობა.

ზემოთ ტრადიცია ვახსენეთ დჰ განვმარტოთ:

გასულ დეკემბერში ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ესპერანსი" და მაროკოული „რაჯა კასაბლანკა" გავიდნენ და უჩხუბრად არც იმ ფინალმა ჩაიარა. საპასუხო მატჩში ტუნისელებმა ვერაფერი რომ ვერ გააწყვეს, მეტოქე ფეხბურთელებს პროვოკაცია მოუწყვეს, წააქეზეს და ხელჩართულ მუშტი-კრივში გაიწვიეს. მათი დამშვიდება ტუნისურმა პოლიციამ ითავა და მაროკოელებს ხელკეტები დასცხო, აქაოდა, ჩხუბის მოთავენი თქვენ იყავითო. საბოლოოდ „კასაბლანკა" ცხრა კაცის ამარა დარჩა და მაინც მოიგო;

ნოემბერში სამხრეთ აფრიკამ კონტინენტის ქალთა ჩემპიონატს უმასპინძლა, რომლის ფინალშიც იქაური გოგონები ნიგერიელებს შეხვდნენ. ტიტული ნიგერიამ მოიპოვა, თუმცა მატჩი არ დასრულებულა — სტუმართა მეორე გოლს ბოთლების ისეთი სეტყვა მოჰყვა, მოედანზე რომელი ჭკუათმყოფელი გავიდოდა;

ისიც გავიხსენოთ, როგორ დამთავრდა თებერვალში აფრიკის თასის გათამაშება. ნიგერია — კამერუნის ფინალური შეხვედრის ბოლომდე მიყვანა მხოლოდ პოლიციის ჩარევამ გახადა შესაძლებელი. იქამდე ნიგერიელი ქომაგები სენეგალთან მეოთხედფინალური მატჩის დროსაც შეცვივდნენ მოედანზე;

აგერ, გასულ შაბათს, დიდი ჩხუბით ჩატარდა ალჟირის თასის ფინალიც და იქაური ფედერაცია იძულებული გახდა, ორივე გუნდი დაეჯარიმებინა. გამარჯვებული „კაბაილი" არასპორტული საქციელისთვის, ხოლო დამარცხებული „ისმაილია" — ვერცხლის მედლებზე უარის თქმისთვის;

ბარემ გავიხსენოთ, რომ ივლისში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დროს ზიმბაბვესა და სამხრეთ აფრიკას შორის, ჰარარეს პოლიციასთან შეტაკებისას 13 ქომაგი დაიღუპა, ხოლო რამდენიმე წლის წინ ჯორჯ ფინიდის უმცროსი ძმა, ასევე ფეხბურთელი, მავანმა ფანმა პირდაპირ მოედანზე მოკლა.

**გიორგი დარჯანია**

# სამსჯერითანი ამბავი იოანუზე და ანორთოსისის მეკარეზე

**გასულ** უქმეებზე კვიპროსის ჩემპიონატში „ანორთოსისი" — „ომონიას" მატჩი დიდი სკანდალით დასრულდა: მსაჯების გადაწყვეტილებებით აღშფოთებული „ანორთოსისის" ცენტრალური მცველი დემეტრიუს იოანუ არბიტრს, მეტოქეებსა და პოლიციელებს დაერია და... როგორც ვარაუდობენ, კარიერაც დაასრულა — მას სამუდამო დისკვალიფიკაცია ემუქრება.

ყველაფერი თანამსაჯის მოქმედებას მოჰყვა, რომელმაც ერთ-ერთ ეპიზოდში ოფსაიდი არ დააფიქსირა. არადა, როგორც მასმედია იუწყება, სამი ომონიელი იყო თამაშგარეთ. ბედად, ნიქოზიელებმა ამ მომენტით ვერ ისარგებლეს, თუმც აღშფოთებული იოანუ თანამსაჯს მივარდა და პროტესტი გამოთქვა. სულ მალე თანამსაჯს ტრიბუნებიდან პეტარდების წვიმა დაატყდა თავს. არბიტრმაც თამაში დროებით შეაჩერა, რამაც „ანორთოსისის" ფეხბურთელთა წყრომა გამოიწვია. მათ მატჩის განახლება მოითხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს. ის კი არა, მსაჯმა მკაცრი პროტესტისთვის იოანუს და „ანორთოსისის" მეკარეს წითელი ბარათი უჩვენა და მონასტერიც სწორედ მაშინ აირია. იოანუმ ჯერ არბიტრს ჩააზილა წიხლი, მერე გასახდელისკენ გაქცეულ თანამსაჯს დაეწია და გვარიანადაც სცემა — ისე ურტყამდა, გასაშველებლად ომონიელები მივიდნენ. იოანუმ ახლა მათკენ გაიწია და ერთი-ორს მუშტი უთავაზა. ბოლოს, როგორც იქნა, დააკავეს და გასახდელისკენ წაიყვანეს... პირველი სერიის დასასრული.

მეორე სერია:

სტადიონზე მყოფებს რომ ეგონათ, ყველაფერი ამით მორჩაო, მწარედ მოტყუვდნენ. იოანუ თანაგუნდელებს დაუსხლტა და ისევ მინდორზე გამოვარდა. გამოვარდა და უარესი ამბავი ატეხა. ჯერ ბურთი აიღო, გაიქცა და „ომონიის" ქომაგთა მისამართით დაარტყა. მერე ისევ ნიქოზიელებს დაერია, ვეღარც თავისივე გუნდის მწვრთნელი პამბორისი იცნო და მასაც მისდგა. ამასობაში საქმეში პოლიციაც ჩაერია, ფეხბურთელი არც მათ შეეპუა და წინააღმდეგობა გაუწია. ბოლოს, როგორც იქნა, იოანუს კისერი მოუგრიხეს და ძალის გამოყენებით გასახდელში შეათრიეს... მეორე სერიის დასასრული.

მესამე სერია:

ვიდრე იოანუ თანამსაჯს, მწვრთნელს, მეტოქეებსა და პოლიციას უსწორდებოდა, მისგან თავდახსნილი ნაცემი არბიტრი კაპიტანისი გასახდელში შეიპარა, მსაჯთა ოთახში ჩაიკეტა და თავი რომ სამშვიდობოს დაიგულა, „ანორთოსისის" მეკარე სწორედ მაშინ შეუვარდა და რაც იოანუმ დააკლო, დაუმატა... მესამე სერიის დასასრული.

ამ ამბავს ალბათ გაგრძელებაც ექნება. წინასწარი ინფორმაციით კი, იოანუს არათუ ფეხბურთიდან მოკვეთა, სასამართლოს წინაშე წარდგომაც ელის. მისი თანაგუნდელი მეკარეც მკაცრად დაისჯება. სანქციები არც „ანორთოსისს" ასცდება, კლუბს, რომელშიც ერთ დროს თემურ ქეცბაიაც თამაშობდა.

# აბრაკადაბრა გრძელდება



ლანსი — ბორდო 2:2. ბურთისთვის იბრძვიან სტუმართა ბელგიელი მარკ ვილმოტსი (№26) და ლანსელი სირილ რუსო

## საფრანგეთი

### XXI ტური

**გენგამი 1:0 მარსელი**

1:0 კარნო (37)

**ლანსი 2:2 ბორდო**

0:1 პაულეტა (16), 0:2 ვილმოტსი (45), 1:2 სიბიერსკი (79), 2:2 დიუფი (80)

**სედანი 1:0 სტრასბური**

1:0 მიონე (44 პ)

**მეცი 1:1 ლილი**

1:0 ბატიკლი (44), 1:1 ლანდრენი (88)

**ტრუა 1:0 ლიონი**

1:0 ედმილსონი (40 ს.გ.)

**მონაკო 1:2 რენი**

1:0 ელუა (4), 1:1 ეშუაფნი (67), 1:2 ლე რუ (84)

**სენტ ეტიენი 2:0 ოსერი**

1:0 პედრონი (22), 2:0 პოტიონი (27)

**ნანტი 3:2 ტულუზი**

0:1 ბონილა (43), 1:1 ფაბრი (48), 2:1 მონტერუბიო (58), 3:1 მოლდოვანი (68), 3:2 დიეზი (87)

**ბასტია 1:1 პარი სენ ჟერმენი**

0:1 მენდი (23 ს.გ.), 1:1 ნე (57)

**სხვას** ნამდვილად ვერაფერს დავარქმევთ ამ ჩემპიონატს. თავად განსაჯეთ: ლიდერი, ისევე როგორც პირველი სამეული, ლამის ყოველ ტურში იცვლება. ეს ჩემპიონატის სტარტზე კიდევ შეიძლება მოხდეს, მაგრამ აგერ უკვე 21 ტური გაილია, ზედიზედ ორწაგებიანი „ნანტი" გასავარდნად გამზადებულ „ტულუზს" იღებს და მოგების შემდეგ მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩება პირველ ადგილზე მყოფ „სედანს", რომელსაც ერთ-ერთი ყველაზე პატარა ბიუჯეტი აქვს პირველ დივიზიონში. იგივე „ნანტს" იმ თამაშის წინ იმდენივე გოლი აქვს გაშვებული, რამდენიც მის მეტოქეს, გასავარდნთა სიაში მყოფ „მეცს" კი სულაც სამით ნაკლები გაუშვია. მეოთხე ადგილზე მყოფ „ლილს" ოდენ 23 გოლი გაუტანია, მაშინ როცა მე-13 ადგილზე ჩაქვეითებული „მონაკოს" ფეხბურთელებს 29-ჯერ გაუხარიათ.

ამიტომაც ვასკვნით — საფრანგეთის ჩემპიონატი ნამდვილი აბრაკადაბრაა და მასში რომ გაერკვე, ჯადოქარი თუ არა, გულთმისანი მაინც უნდა იყო.

„სედანმა" მაჩანჩალა „სტრასბური" მიიღო და მეტად მოსაწყენ თამაშში მხოლოდ ერთი გოლი აკმარა ჩემპიონატის უცუდესი დაცვის მქონე გუნდს. გაცილებით სანახაობრივი გამოდგა მატჩი ნანტში, სადაც მეორე აუტსაიდერი სტუმრობდა მეორე ლიდერს. მინდორი საკმაოდ დაემძიმებინა წვიმას, მაგრამ მასპინძლებმა თავიდანვე ძლიერად დაიწყეს. მათ რიგებში ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი დაბრუნებულიყო (ზიანი, მოლდოვანი, მონტერუბიო) და შეხვედრაც, ფაქტობრივად, ცალკარას დაემსგავსა. ნანტელები გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ გოლი 43-ე წუთზე სწორედ მათ კარში გავიდა: „ტულუზის" კაპიტანმა ტიერი მორომ გრძელი და ზუსტი პასით ბონილა მიაგნო და [illegible]

[illegible] ლოდით 40 მეტრი გაირბინა. მატჩის მიწურულს კი ერთი ბურთი დეიზმა გაქვითა, ოღონდ ხუზარეს შეგირდებმა მარცხს თავი მაინც ვერ დააღწიეს.

რამდენიმე კვირის წინ „მონაკოს" მთავარმა მწვრთნელმა კლოდ პიუელმა განაცხადა, რომ ზამთრის ბაზარზე მისი გუნდის მთავარი შევსება... მარსელო გალიარდო იქნებოდა. არგენტინელი გამთამაშებელი ტრავმირებული იყო და კარგა ხანს არ ჩანდა სათავადოს გუნდის შემადგენლობაში. ახლა მომჯობინდა და შაბათს „რენსაც" დაუხვდა, მაგრამ...

გალიარდომ კარგად კი ითამაშა და უკვე მე-4 წუთზე ექს-ლანსელ ელუას საგოლე პასიც მისცა, მაგრამ ამან პოლ ლე გუენის გუნდს ხელი ვერ შეუშალა ამ ჩემპიონატში მერვე, ჯუჯა სახელმწიფოში კი 1971 წლიდან მოყოლებული პირველი გამარჯვება ეზეიმა. გალიარდო, რა მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს „მონაკოსთვის", არც მარადონაა და ჯერჯერობით ფორმაშიც არაა. იგი პირველ ტაიმში კიდევ აკეთებდა რაღაცას და თანაგუნდელებიც რამდენჯერმე ხელსაყრელ პოზიციაში დატოვა, მაგრამ შესვენების შემდეგ დაღლა შეეტყო და ჩრდილშიც მოექცა... ანგარიში ლე რუს საჯარიმოდან ჩაწოდების შემდეგ ეშუაფნიმ გაათანაბრა, 84-ე წუთზე კი „რენის" ბრაზილიელმა ლუკაშმა მარჯვენა ფრთაზე თავგზა აუბნია მცველებს და ლე რუს გამოზომილი პასი მისცა. ამ უკანასკნელმაც აულებელი დაურტყა პორატოს შემცვლელ ობრის.

„ლიონს" ტრუაში ჩასვლამდე მხოლოდ ერთი საგარეო მარცხი ეწვნია. სამაგიეროდ, „ტრუაც" ძალიან ძლიერად ირჯება შინ და ფრანგული მასშტაბით დიდ გუნდებსაც კი ამწარებს (ვსჯ „მონაკო"...). ასე მოხდა ამჯერადაც. სტუმრები თითქმის 90 წუთის მანძილზე უტევდნენ, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. არა, გოლი კი გაიტანეს, მაგრამ ედმილსონმა საკუთარ მეკარე კუპეს აჯობა და „ლიონი" შინ ხელცარიელი გაბრუნდა.

იგივე ბედი ეწეოდა დედაქალაქურ „პარი სენ ჟერმენსაც", მაგრამ ლუის ფერნანდესის გუნდს ქულა „ბასტიის" ავტოგოლმა მოაპოვებინა — ანელკასგან „შეწუხებულმა" მენდიმ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. ორივე გუნდი საზიზღრად თამაშობდა და წესით, როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება ხოლმე, ანგარიშიც აღარ უნდა შეცვლილიყო, მაგრამ 57-ე წუთზე კორსიკელთა გოლეადორმა ფრედერიკ ნემ სუმას კარგი პასის შემდეგ ლეტიზის ბურთი თავზე გადაუგდო და გაათანაბრა.

**გაიოლ ტაილე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 21 | 10 | 6 | 5 | 31:21 | 36 |
| ნანტი | 21 | 11 | 3 | 7 | 36:28 | 36 |
| ბორდო | 21 | 9 | 8 | 4 | 29:18 | 35 |
| ლილი | 21 | 9 | 7 | 5 | 23:15 | 34 |
| ბასტია | 21 | 9 | 5 | 7 | 25:21 | 32 |
| გენგამი | 21 | 9 | 5 | 7 | 24:24 | 32 |
| ლიონი | 21 | 7 | 10 | 4 | 27:18 | 31 |
| ლანსი | 21 | 8 | 7 | 6 | 25:21 | 31 |
| ტრუა | 21 | 8 | 6 | 7 | 25:28 | 30 |
| რენი | 21 | 8 | 5 | 8 | 22:20 | 29 |
| პარი სენ ჟერმენი | 21 | 8 | 5 | 8 | 31:31 | 29 |
| სენტ ეტიენი | 21 | 7 | 6 | 8 | 29:29 | 27 |
| მონაკო | 21 | 7 | 5 | 9 | 29:30 | 26 |
| ოსერი | 21 | 7 | 5 | 9 | 21:26 | 26 |
| მარსელი | 21 | 7 | 3 | 11 | 21:26 | 24 |
| მეცი | 21 | 5 | 7 | 9 | 16:25 | 22 |
| ტულუზი | 21 | 4 | 6 | 11 | 20:29 | 18 |
| სტრასბური | 21 | 4 | 5 | 12 | 16:40 | 17 |



სელტიკი — აბერდინი 6:0. ჰენრიკ ლარსონმა სამი გოლი „იკმარა“

# სანამ კანიჯა დაფრინავდა

## შოტლანდია

XXI ტური

**კილმარნოკი 2:3 დანდი**

1:0 კოკარი (3), 2:0 ბაკერი (46), 2:1 ბონეტი (53), 2:2, 2:3 მილნი (76, 79)

დანდი: როკატი, სმიტი, კოინი, ტვიდი, მაროკო, კარანსა, ბონეტი (არტერო 74), ნემსაძე, რაე, მილნი, სარა (ფალკონერი 75)

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

6 573 მაყურებელი

**დანდი იუნ. 1:1 რეინჯერსი**

0:1 რეინა (18), 1:1 ლილეი (33)

**სელტიკი 6:0 აბერდინი**

1:0 ლარსონი (4), 2:0 ვეგა (17), 3:0, 4:0 ლარსონი (76, 78), 5:0 ვეგა (81), 6:0 ჯ. სმიტი (89)

**დანფერმლაინი 2:0 სენტ მირენი**

1:0 ტომსონი (37), 2:0 მაკგორტი (73)

**ჰიბერნიანი 2:0 სენტ ჯონსტონი**

1:0 ლოველი (41), 2:0 პაატელაინენი (74)

**მოზერუელი 2:0 ჰართსი**

1:0 ტოუნსლი (56), 2:0 დ. ადამსი (87)

**კილმარნოკის** „რაგბი პარკზე“, ერთი შეხედვით, ყველაფერი მეორე ტაიმის დასაწყისშივე გადაწყდა — მასპინძლები 2:0 დაწინაურდნენ. რა უნდა ექნა „დანდის“? ტრიბუნებზე მყოფ რვაასამდე სტუმარ გულშემატკივარს ჯერ კიდევ ჰქონდა კლაუდიო კანიჯას იმედი, მაგრამ არგენტინელი არსად ჩანდა: „დანდის“ ლიდერი ამ დროს თვითმფრინავში იჯდა და ბუენოს აირესიდან გლაზგოში 16 საათიან მომქანცველ მგზავრობას წყვეტდა.

იმედი შვიდ წუთში ჩაისახა, როცა სტუმართა მოთამაშე-მწვრთნელმა ივანო ბონეტიმ ერთი საპასუხო გოლი გაიტანა. თამაშიც დაიძაბა, მაგრამ კლაუდიო რომ არ ჩანს? დამთავრებას 16 წუთი უკლდა, როცა ბონეტიმ თვითშეცვლა განახორციელა და მოედანზე ხავიერ არტერო გამოუშვა.

ხუთ წუთში ტაბლოზე უკვე 2:3 ეწერა. ყველაფერი სამ წუთში გადაწყდა — არტერომ ორჯერ ჩააწოდა და ორჯერვე 20 წლის შოტლანდიელმა სტივენ მილნმა შეძლო მასპინძელთა მეკარის გორდონ მარშალის დამწუხრება. მალე თამაშიც დამთავრდა და მეოთხეადგილოსანი „კილმარნოკი“ ხახამშრალი დარჩა, უკანიჯო „დანდიმ“ კი ერთობ მოულოდნელი სამი ქულა მოიპოვა.

მილნისა არ იყოს, წყვილი გოლით თავი აწ უკვე სელტიკელმა შვეიცარიელმა რამონ ვეგამაც გამოიჩინა. არადა, ეს მცველი ლონდონური „ტოტენჰემიდან“ გლაზგოს პარასკევს დილით გადაბარგდა, იმავე საღამოს ახალი თანაკლუბელები გაიცნო, შაბათს კი... „ორი გოლი ერთ თამაშში აქამდე არასდროს გამეტანა, მაგრამ მაყურებელმა ისეთი დახვედრა მომიწყო, ძალები გამიორმაგდა“ — აღიარა ვეგამ. მის გარდა გოლი თინეიჯერმა შემცვლელმა ჯეიმი სმიტმაც შეაგდო და ცხადია, წინა ტურში უგოლოდ დარჩენილმა ჰენრიკ ლარსონმაც: შვედმა ამჯერად სამი „იკმარა“. მოკლედ, საწყალი „აბერდინის“ კარში ჯამში ბურთი ექვსჯერ შევარდა.

ტურის გმირი კი მთლად წყალწაღებული „დანდი იუნაიტედი“ შეიქნა — შინ „რეინჯერსს“ ორი ქულა დააკარგვინა და დიკ ადვოკაატის გუნდს „სელტიკის“ დაწევის შანსი ალბათ საბოლოოდ გადაუწურა.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 21 | 17 | 3 | 1 | 54:21 | 54 |
| ჰიბერნიანი | 21 | 14 | 5 | 2 | 39:13 | 47 |
| რეინჯერსი | 20 | 13 | 3 | 4 | 43:23 | 42 |
| კილმარნოკი | 21 | 11 | 3 | 7 | 27:24 | 36 |
| ჰართსი | 21 | 8 | 4 | 9 | 31:32 | 28 |
| სენტ ჯონსტონი | 21 | 7 | 7 | 7 | 21:27 | 28 |
| დანდი | 20 | 7 | 5 | 8 | 29:23 | 26 |
| მოზერუელი | 21 | 7 | 4 | 10 | 27:31 | 25 |
| დანფერმლაინი | 21 | 6 | 5 | 10 | 18:28 | 23 |
| აბერდინი | 20 | 3 | 8 | 9 | 19:34 | 17 |
| სენტ მირენი | 21 | 3 | 3 | 15 | 13:40 | 12 |
| დანდი იუნ. | 20 | 1 | 4 | 15 | 13:38 | 7 |

## საბერძნეთი

მე-11 ტური: ეთნიკოსი — პანათინაიკოსი 0:3; პანიონიოსი — კალამატა 1:1; იონიკოსი — პანილიაკოსი 3:1; ოლიმპიაკოსი — იანინა 3:1; ათინაიკოსი — პაოკ 3:4; არისი — პანაჰაიკი 0:0; ირაკლისი — ქსანტი 1:0; ოფი — აეკ 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 11 | 9 | 2 | 0 | 37:10 | 29 |
| პანათინაიკოსი | 11 | 7 | 4 | 0 | 18:5 | 25 |
| აეკ | 11 | 6 | 2 | 3 | 23:18 | 20 |
| ირაკლისი | 11 | 6 | 2 | 3 | 15:10 | 20 |
| იონიკოსი | 11 | 5 | 4 | 2 | 18:13 | 19 |
| პაოკ | 11 | 5 | 4 | 2 | 23:19 | 19 |
| ეთნიკოსი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:20 | 17 |
| არისი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:11 | 15 |
| ქსანტი | 11 | 4 | 3 | 4 | 8:12 | 15 |
| პანიონიოსი | 11 | 2 | 7 | 2 | 13:14 | 13 |
| პანაჰაიკი | 11 | 2 | 4 | 5 | 13:19 | 10 |
| იანინა | 11 | 2 | 3 | 6 | 17:23 | 9 |
| კალამატა | 11 | 1 | 4 | 6 | 17:25 | 7 |
| ათინაიკოსი | 11 | 2 | 1 | 8 | 14:25 | 7 |
| პანილიაკოსი | 11 | 1 | 4 | 6 | 6:17 | 7 |
| ოფი | 11 | 1 | 3 | 7 | 12:21 | 6 |

## თურქეთი

მე-17 ტური: ტრაბზონი — გალათასარაი 1:1; ანთალია — გენჩლერბირლიგი 4:2; ადანა — ქოჯაელი 4:4; ანკარაგიუჯიუ — ბურსა 1:1; ბეშიქთაში — დენიზლი 1:1; იოზგათი — იეთფა 2:1; რიზე — ისთანბული 2:1; ფენერბაჰჩე — სამსუნი 2:1; გაზიანთეფი — ერზურუმი 6:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 16 | 11 | 3 | 2 | 38:12 | 36 |
| ფენერბაჰჩე | 17 | 11 | 3 | 3 | 41:22 | 36 |
| ბეშიქთაში | 17 | 11 | 3 | 3 | 37:24 | 36 |
| გაზიანთეფი | 17 | 9 | 5 | 3 | 36:21 | 32 |
| გენჩლერბირ. | 17 | 9 | 3 | 5 | 24:19 | 30 |
| ტრაბზონი | 17 | 8 | 5 | 4 | 33:22 | 29 |
| სამსუნი | 17 | 8 | 4 | 5 | 28:22 | 28 |
| ისთანბული | 17 | 7 | 4 | 6 | 23:23 | 25 |
| იოზგათი | 17 | 6 | 5 | 6 | 25:21 | 23 |
| ანთალია | 16 | 6 | 5 | 5 | 24:25 | 23 |
| ანკარაგიუჯიუ | 17 | 5 | 7 | 5 | 24:28 | 22 |
| დენიზლი | 17 | 5 | 6 | 6 | 21:28 | 21 |
| რიზე | 17 | 4 | 4 | 9 | 17:21 | 16 |
| ბურსა | 17 | 3 | 6 | 8 | 19:35 | 15 |
| ადანა | 17 | 2 | 7 | 8 | 25:34 | 13 |
| ერზურუმი | 17 | 3 | 3 | 11 | 20:42 | 12 |
| ქოჯაელი | 17 | 1 | 7 | 9 | 18:33 | 10 |
| იეთფა | 17 | 0 | 6 | 11 | 18:39 | 6 |

## პორტუგალია

XV ტური

**მარიტიმუ 1:1 ფარენსე**

1:0 ლაგორიუ (17პ), 1:1 ნადერი (60)

**ამადორა 0:0 ავეში**

**ბენფიკა 0:0 ჟილ ვისენტე**

**ბრაგა 3:3 ბეირა მარი**

1:0, 2:0 ედმილსონ ლუჩენა (21, 44), 2:1 პელატსი (74პ), 3:1 ჟოზე ბაროსო (77პ), 3:2 აგიარი (82), 3:3 ფეიე (90)

**ბოავიშტა 5:0 სალგეირუში**

1:0 ლიტუში (15), 2:0 ველიტონ სილვა (20), 3:0 არმანდო (50პ), 4:0 ველიტონ სილვა (58), 5:0 მარტელინიუ (74)

**ბელენენსეში 1:0 ალვერკა**

1:0 გონსალვეში (76)

**ლეირია 3:1 პორტუ**

1:0 დერლეი სილვა (5), 2:0 კრპანი (14), 2:1 პენა (63), 3:1 კრპანი (77)

**კამპომაიორენსე 0:1 გიმარაეში**

0:1 ანდრადე (42)

**ფერეირა 0:0 სპორტინგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 15 | 11 | 1 | 3 | 34:12 | 34 |
| ბოავიშტა | 15 | 9 | 5 | 1 | 34:11 | 32 |
| სპორტინგი | 15 | 9 | 3 | 3 | 25:14 | 30 |
| ბრაგა | 15 | 8 | 4 | 3 | 26:20 | 28 |
| ბელენენსეში | 15 | 8 | 4 | 3 | 18:12 | 28 |
| ბენფიკა | 15 | 7 | 4 | 4 | 22:14 | 25 |
| სალგეირუში | 15 | 8 | 0 | 7 | 17:23 | 24 |
| ფერეირა | 15 | 6 | 5 | 4 | 21:13 | 23 |
| მარიტიმუ | 15 | 6 | 4 | 5 | 17:13 | 22 |
| ლეირია | 15 | 5 | 6 | 4 | 17:22 | 21 |
| ფარენსე | 15 | 5 | 5 | 5 | 19:19 | 20 |
| ბეირა მარი | 15 | 4 | 4 | 7 | 16:24 | 16 |
| გიმარაეში | 15 | 4 | 3 | 8 | 18:25 | 15 |
| ალვერკა | 15 | 4 | 3 | 8 | 17:28 | 15 |
| კამპომაიორენსე | 15 | 2 | 7 | 6 | 13:24 | 13 |
| ავეში | 15 | 2 | 4 | 9 | 15:26 | 10 |
| ამადორა | 15 | 2 | 2 | 11 | 11:26 | 8 |
| ჟილ ვისენტე | 15 | 1 | 4 | 10 | 8:22 | 7 |

## ჰოლანდია

XVIII ტური

**აიაქსი 5:1 ტვენტე**

1:0 მახლასი (14), 2:0 ვან დერ ვაარტი (21), 3:0 კოვუ (29პ), 4:0 მახლასი (45), 5:0 გალაშეკი (58), 5:1 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (72)

აიაქსი: გრიმი, ბერგდოლმო (პერსი 69), პასანენი, კოვუ დე კლერი, გალაშეკი, ვან დერ გუნი, ვან დერ ვაარტი, ვან დერ მეიდე (იკედია 69), მახლასი, ვამბერტო

მწვრთნელი: კო ადრიანსე

36 123 მაყურებელი

**ალკმარი 0:5 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 კეჟმანი (8), 0:2 ოიერი (21), 0:3 ვან ბომელი (40), 0:4 კეჟმანი (54), 0:5 კოლკა (68)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, დირქსი, ნიკოფოროვი, ჰოფლანდი, ფოგელი (ვან დერ დუელენი 58), ვან ბომელი, რომედალი, დე იონგი (ლუსიუსი 81), კეჟმანი (კლაუდიო 76), კოლკა

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

7 940 მაყურებელი

**გრონინგენი 1:0 ფეიენოორდი**

1:0 იოჰანსონი (80)

**გრააფსხაპი 0:3 უტრეხტი**

0:1 გლუშკევიჩი (29), 0:2 რედეკერი (30ს.კ.), 0:3 კუიტი (65)

**ვალვაიკი 2:0 სპარტა**

1:0 გუდიონსონი (73), 2:0 პუგენდორპი (85)

**ნაიმეგენი 0:2 როდა**

0:1 ვან დესელი (10), 0:2 სოტერსი (65)

**როზენდალი 0:3 ჰერენვენი**

0:1 დენებუმი (42), 0:2 ტალანი (75), 0:3 კოლკი (86)

**ტილბურგი 3:1 სიტარდი**

1:0 კალუვე (36), 1:1 კრიიგსმანი (51), 2:1, 3:1 მარიანა (70, 83)

**ბრედა 1:1 ვიტესი**

1:0 კრისტიანო (50), 1:1 ვ. სიკორა (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 16 | 13 | 1 | 2 | 39:16 | 40 |
| პსვ ეინდჰოვენი | 16 | 11 | 4 | 1 | 31:11 | 37 |
| ვიტესი | 17 | 11 | 4 | 2 | 36:23 | 37 |
| აიაქსი | 18 | 10 | 3 | 5 | 45:24 | 33 |
| როდა | 18 | 9 | 3 | 6 | 35:25 | 30 |
| ნაიმეგენი | 17 | 6 | 9 | 2 | 24:17 | 27 |
| ვალვაიკი | 17 | 7 | 6 | 4 | 18:14 | 27 |
| უტრეხტი | 17 | 7 | 3 | 7 | 32:29 | 24 |
| ტილბურგი | 17 | 6 | 6 | 5 | 25:22 | 24 |
| ბრედა | 17 | 7 | 3 | 7 | 24:28 | 24 |
| ალკმარი | 18 | 6 | 5 | 7 | 28:32 | 23 |
| ტვენტე | 17 | 5 | 5 | 7 | 26:31 | 20 |
| გრონინგენი | 17 | 5 | 4 | 8 | 23:28 | 19 |
| ჰერენვენი | 17 | 4 | 7 | 6 | 19:26 | 19 |
| გრააფსხაპი | 18 | 4 | 1 | 13 | 24:38 | 13 |
| სპარტა | 18 | 3 | 4 | 11 | 23:37 | 13 |
| როზენდალი | 16 | 3 | 0 | 13 | 21:43 | 9 |
| სიტარდი | 17 | 1 | 4 | 12 | 12:41 | 7 |

## ბელგია

XVII ტური

**გენკი 0:1 ბრიუგე**

0:1 დე ბრული (13)

**ბევერენი 2:1 ჰარელბეკე**

0:1 კლომპი (53), 1:1 დე ვრე (70), 2:1 ტორკენი (80)

**ანტვერპენი 2:0 სენტ ტრუიდენი**

1:0 სეული (53), 2:0 გოოტსი (77პ)

**ანდერლეხტი 3:0 აალსტი**

1:0 კოლერი (7), 2:0 რაძინსკი (42), 3:0 არუნა (48)

აალსტი: კუიოვიჩი, ვან პეუველენი, ობენი, დე კისერი, ფილიპოვიჩი, რეიჯელი, ვან დენ ბოში, აელბრეხტი, ტიბო, იაკობსი (ქესტენსი 67), როჟერიო

მწვრთნელი: ვიმ დე კონინკი

23 835 მაყურებელი

**ლიერსი 1:1 მეხელენი**

1:0 სომერსი (21), 1:1 დიალო (45)

ლიერსი: დემანი, ლაერემანსი, ვან მეირი, დაემსი, შაშიაშვილი, ლეენი, სომერსი (ვერეტენნიკოვი 77), კლაესი, პეპა (ვან დოორენი 67), კავენსი, ვერლინდენი

მწვრთნელი: ვალტერ მეეუსი

9 500 მაყურებელი

**გენტი 3:1 ბეერსხოტი**

1:0 პოსამი (16), 1:1 დონდტი (35), 2:1 კაკლამანოსი (45), 3:1 პოსამი (57)

**მუსკრონი 0:0 ლუვიე**

**ლოკერენი 2:1 სტანდარდი**

0:1 ერნსტი (39), 1:1 [illegible] (60), 2:1 [illegible] (80)

**შარლერუა 2:2 ვესტერლო**

0:1 ზელენკა (10), 0:2 [illegible] (53), 1:2 [illegible] (54), 2:2 როხასი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 17 | 16 | 0 | 1 | 55:10 | 48 |
| ანდერლეხტი | 17 | 14 | 3 | 0 | 50:13 | 45 |
| სტანდარდი | 17 | 9 | 4 | 4 | 42:23 | 31 |
| გენტი | 17 | 9 | 4 | 4 | 34:26 | 31 |
| მუსკრონი | 17 | 9 | 3 | 5 | 37:21 | 30 |
| შარლერუა | 17 | 9 | 2 | 6 | 30:32 | 29 |
| ვესტერლო | 17 | 8 | 4 | 5 | 30:26 | 28 |
| ლიერსი | 17 | 7 | 4 | 6 | 27:24 | 25 |
| ლოკერენი | 17 | 6 | 6 | 5 | 23:25 | 24 |
| ბევერენი | 17 | 6 | 5 | 6 | 16:29 | 23 |
| ბეერსხოტი | 17 | 7 | 1 | 9 | 28:27 | 22 |
| ანტვერპენი | 17 | 7 | 1 | 9 | 22:24 | 22 |
| გენკი | 17 | 4 | 6 | 7 | 18:22 | 18 |
| სენტ ტრუიდენი | 17 | 3 | 4 | 10 | 17:31 | 13 |
| აალსტი | 17 | 3 | 4 | 10 | 17:41 | 13 |
| მეხელენი | 17 | 2 | 4 | 11 | 21:38 | 10 |
| ლუვიე | 17 | 1 | 6 | 10 | 12:31 | 9 |
| ჰარელბეკე | 17 | 2 | 1 | 14 | 21:57 | 7 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისურმა** „არსენალმა“ თავდამსხმელი კრისტოფერ ვრე საუდის არაბეთის კლუბ „ალ აჰლიში“ გაყიდა. ფრანგი „მეთოფეთა“ რიგებში 1997 წელს „მონაკოდან“ ჩაირიცხა და მას მერე არსენ ვენგერმა თანამემამულე 46-ჯერ ათამაშა. ვრემ არსენალურ კარიერაში სულ 5 გოლი გაიტანა, ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ბურთი „ვულვერჰემპტონის“ კარში შეაგდო, როცა 1998 წელს თასის ნახევარფინალში ლონდონელებმა „მგლები“ 1:0 დაამარცხეს. „არსენალი“ კიდევ ერთმა მოთამაშემ, გრემ ბარეტმა დატოვა, თუმც დროებით — 19 წლის ფორვარდი „ბრისტოლ სიტიში“ გაანათხოვრეს.

**ბერძნული** პაოკ-ი უეფამ 95 ათასი შვეიცარიული ფრანკით (56 ათასი დოლარი) დააჯარიმა იმას გამო, რომ უეფას თასზე „უდინეზესა“ და „პსვ ეინდჰოვენთან“ შეხვედრებში სალონიკელი ფანები უმსგავსოდ მოიქცნენ. 15-15 ათას ფრანკს გადაიხდიან „პანათინაიკოსი“ და „ოლიმპიაკოსიც“ — დამნაშავე აქაც ხულიგან გულშემატკივართა ჯგუფია. რომის „ლაციოს“ ქომაგებს კი ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ლიდს იუნაიტედის“ მოთამაშე ლუკას რადებე რასისტული შეძახილებით შეურაცხყვიათ, რისთვისაც რომაულ კლუბს 30 ათასი ფრანკით შეუთხელდება ჯიბე. ასევე ჩემპიონთა ლიგაში, ოღონდ „ანდერლეხტთან“ მატჩში „ლაციოს“ იუგოსლავიელი ნახევარმცველი დეიან სტანკოვიჩი გაუძევეს, რაც იტალიის ჩემპიონს კიდევ 14 ათასი ფრანკის დაკარგვად დაუჯდა, თავად ფეხბურთელს კი სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის. უეფას სალაროში 9 ათას დოლარს „დეპორტივოც“ შეიტანს: „მილანის“ წინააღმდეგ შეხვედრაში გალისიელმა ქომაგებმა სტადიონზე დროშის ტარი ისროლეს და იტალიელთა მეკარე კრისტიან აბიატის კეფაში მოარტყეს.

**გერმანულმა** „კაიზერსლაუტერნმა“ ხორვატული „ოსიეკის“ ნახევარმცველი ნენად ბიელიცა შეიძინა და მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელი ახალ კლუბში ახალი წლიდან ითამაშებს. ისიც აღსანიშნავია, რომ „კაიზერსლაუტერნმა“ და „ოსიეკმა“ იანვრის მიწურულს გერმანელთა მოედანზე ამხანაგური მატჩის ჩატარება დაგეგმეს.

**ინგლისელი** მეკარე დევიდ ჯეიმსი „ასტონ ვილადან“ გათავისუფლებას ითხოვს. „მისმა გადაწყვეტილებამ ბევრი გაგვკვირვა. ამის თაობაზე უახლოეს მომავალში ვიმსჯელებთ, ჯერჯერობით კი კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვით“ — იუწყება ბირმინგემული კლუბი. 30 წლის ჯეიმსს ხანდახან ინგლისის ნაკრებშიც იწვევენ, „ასტონ ვილაში“ კი წელიწადნახევარია თამაშობს. ბირმინგემელებმა იგი „ლივერპულისგან“ 1,8 მილიონ გირვანქად შეიძინეს. ისიც გავიხსენოთ, რომ „ასტონ ვილადან“ წასვლის თაობაზე ამას წინათ მცველი გარეთ საუთგეიტიც ალაპარაკდა.

**ხორვატიის** ჩემპიონ ზაგრების „დინამოს“ მენეჯერთა და მოთამაშეთა ჯგუფმა მწვრთნელად ჰრვოიე ბრაოვიჩი დანიშნა. იგი აქამდე ყოველთვის თავკაცის ასისტენტად მუშაობდა და თავად კლუბი არასდროს გაუწვრთნია. შეგახსენებთ, რომ გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იგორ ბისკანი ცოტა ხნის წინ „ლივერპულში“ გადავიდა, კიდევ ერთი ნახევარმცველი, ზორან პავლოვიჩი კი მალე, ალბათ, ესპანეთს მიაშურებს. ბრაოვიჩს ძალიან აწუხებს ამ ორი ფეხბურთელის არყოფნა და ამბობს, ეს გუნდს ერთობ დაასუსტებსო. აქვე ვთქვათ, რომ „დინამომ“ ჩემპიონატის პირველი ეტაპი მეორე ადგილზე დაასრულა, ლიდერ „ოსიეკს“ ოთხი ქულით ჩამორჩება და თან ამ უკანასკნელმა შეხვედრით ნაკლები ჩაატარა. ჩემპიონობის მოპოვება ძალგვიძსო, იმედი აქვს ახალ მწვრთნელს, რომლის წინამორბედი მარიან ვლაკი ჯერ კიდევ ნოემბერში დაითხოვეს.

**რუსული** „სატურნიდან“ ნოემბერში გათავისუფლებულმა სერგეი პავლოვმა ახლა ელისტის „ურალანი“ ჩაიბარა. ამ კლუბის წინა მწვრთნელი, იუგოსლავიელი ბორის ბუნიაკი ნოემბერში მოხსნეს. ამრიგად, წლეულს „ურალანმა“ უკვე ოთხი თავკაცი გამოიცვალა, თუმც უმაღლესი ლიგიდან გავარდნას მაინც ვერ გადაურჩა. ისიც ვთქვათ, რომ ელისტელთა ახალი დამრიგებელი რუსეთის ნაკრებში ოლეგ რომანცევის თანაშემწეცაა.

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. ბუნდესლიგა | | | |
| | | 20 დეკემბერი | | | |
| 21.15 | 001 | უნტერჰახინგი-ვერდერი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი. 21-ე ტური | | | |
| | | 20 დეკემბერი | | | |
| 23.45 | 002 | მარსელი-მონაკო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | 21 დეკემბერი | | | |
| 21.00 | 003 | ბორდო-ნანტი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.30 | 004 | ოსერი-ლანსი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.30 | 005 | ლილი-ბასტია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.30 | 006 | ლიონი-სენტ ეტიენი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.30 | 007 | პსჟ-ტრუა | 1,55 | 3,1 | 6,0 |
| 23.30 | 008 | რენი-სედანი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.30 | 009 | სტრასბური-მეცი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.30 | 010 | ტულუზი-გენგამი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი. 24-ე ტური | | | |
| | | 20 დეკემბერი | | | |
| 21.30 | 011 | ლე მანი-სოშო | 2,8 | 2,6 | 2,6 |
| | | 21 დეკემბერი | | | |
| 23.30 | 012 | აიაჩო-ლე ავრი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 013 | ანჟე-კანი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 23.30 | 014 | ბოვუა-ლორიანი | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 23.30 | 015 | კაენი-გენიონი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.30 | 016 | შატორუ-კრეტეი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.30 | 017 | მარტიგი-მონპელიე | 3,3 | 2,8 | 2,2 |
| 23.30 | 018 | ნიცა-ლავალი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 019 | ნიორი-ვასკალი | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| 23.30 | 020 | ნიმი-ნანსი | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი. მე-16 ტური | | | |
| | | 19 დეკემბერი | | | |
| 00.30 | 021 | რეალი-რაიო ვალეკანო | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| | | 20 დეკემბერი | | | |
| 23.00 | 022 | ბილბაო-ვალენსია | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.30 | 023 | რასინგი-ვალიადოლიდი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.30 | 024 | ბარსელონა-ალავესი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| | 025 | ბარსელონა-ალავესი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.30 | 026 | ნუმანსია-სელტა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.45 | 027 | დეპორტივო-ოვიედო | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 028 | დეპორტივო-ოვიედო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.45 | 029 | მალიორკა-ესპანიოლი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.45 | 030 | ვილიარეალი-სარაგოსა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 24.00 | 031 | მალაგა-სოსიედადი | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 01.00 | 032 | ლას პალმასი-ოსასუნა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი. მე-18 ტური | | | |
| | | 20 დეკემბერი | | | |
| 23.30 | 033 | ეიბარი-ელჩე | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.30 | 034 | ლეიდა-კორდობა | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.45 | 035 | მურსია-ესტრემადურა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.45 | 036 | სალამანკა-ტენერიფე | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.45 | 037 | სპორტინგი-ფეროლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 038 | სპორტინგი-ფეროლი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.45 | 039 | ლევანტე-კომპოსტელა | 1,65 | 2,9 | 6,0 |
| 24.00 | 040 | სევილია-უნივერსიდადი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 041 | სევილია-უნივერსიდადი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 24.00 | 042 | ხეტაფე-ბეტისი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 24.00 | 043 | უელვა-ხაენი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 00.30 | 044 | ალბასეტე-ბადახოსი | 1,65 | 2,8 | 6,5 |
| | | 21 დეკემბერი | | | |
| 00.30 | 045 | ლეგანესი-ატლეტიკო | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | |
| | | 20 დეკემბერი | | | |
| 23.00 | 046 | უტრეხტი-ვალვაიკი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 047 | ტილბურგი-ნაიმეგენი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 048 | ფეიენოორდი-ვიტესი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | | 21 დეკემბერი | | | |
| 23.00 | 049 | პსვ-სიტარდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 050 | პსვ-სიტარდი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 23.00 | 051 | გრონინგენი-ჰერენვენი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 23.00 | 052 | როზენდალი-ტვენტე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | |
| | | 20 დეკემბერი | | | |
| 23.00 | 053 | შარლერუა-ბევერენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 054 | ლოკერენი-ლუვიე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 055 | ბეერსხოტი-მუსკრონი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 056 | გენკი-მეხელენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 057 | გენკი-მეხელენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 058 | ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 059 | ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 23.00 | 060 | ანტვერპენი-ვესტერლო | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 061 | გენტი-ბრიუგე | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 23.00 | 062 | ლიერსი-აალსტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 063 | ლიერსი-აალსტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 064 | სტანდარდი-ჰარელბეკე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 065 | სტანდარდი-ჰარელბეკე 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | თურქეთი | | | |
| | | 20 დეკემბერი | | | |
| 22.00 | 066 | ანთალია-გალათასარაი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| | | 21 დეკემბერი | | | |
| 22.00 | 067 | ტრაბზონი-ერზურუმი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 068 | ტრაბზონი-ერზურუმი 0:1 | 1,5 | 3,8 | 3,5 |
| | | გერმანია. თასის 1/4 ფინალი | | | |
| | | 20 დეკემბერი | | | |
| 22.00 | 069 | უნიონი-ბოხუმი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 070 | შტუტგარტი-ფრაიბურგი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 22.00 | 071 | დუისბურგი-მიონხენგლადბახი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.30 | 072 | მაგდებურგი-შალკე | 6,5 | 4,0 | 1,4 |
| | | ინგლისი. თასის II ეტაპი. გადათამაშება | | | |
| | | 19 დეკემბერი | | | |
| 23.45 | 073 | ლუტონი-დარლინგტონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 23.45 | 074 | ნოტსი-უიგანი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 23.45 | 075 | ოლდემი-პიტერბრო | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.45 | 076 | რედინგი-იორკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 077 | უიკომბი-მილუოლი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| | | ინგლისი. ლიგის თასის 1/2 ფინალი | | | |
| | | 19 დეკემბერი | | | |
| 23.45 | 078 | კრ.პალასი-სანდერლენდი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 23.45 | 079 | სიტი-იფსვიჩი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | კალათბურთი | | | |
| | | 19 დეკემბერი | | | |
| 04.00 | 801 | ტორონტო-იუტა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 04.30 | 802 | ატლანტა-ნიუ იორკი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 05.00 | 803 | მაიამი-ლეიკერსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.30 | 804 | ჩიკაგო-ინდიანა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.30 | 805 | ჰიუსტონი-სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 06.00 | 806 | ფინიქსი-დეტროიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.30 | 807 | გოლდენ სტეიტი-მინესოტა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 07.30 | 808 | საკრამენტო-ვაშინგტონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | | 20 დეკემბერი | | | |
| 04.00 | 809 | ბოსტონი-ნიუ ჯერსი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 04.00 | 810 | ინდიანა-ტორონტო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 04.30 | 811 | შარლოტი-მაიამი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 812 | დალასი-პორტლენდი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.00 | 813 | ფილადელფია-იუტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 05.30 | 814 | სან ანტონიო-კლივლენდი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 06.00 | 815 | დენვერი-დეტროიტი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 07.00 | 816 | სიეტლი-საკრამენტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.00 | 817 | ვანკუვერი-ვაშინგტონი | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 07.30 | 818 | კლიპერსი-მინესოტა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| | | 21 დეკემბერი | | | |
| 04.30 | 819 | ორლანდო-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 820 | მილუოკი-ნიუ ჯერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.00 | 821 | ნიუ იორკი-ბოსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.30 | 822 | ჰიუსტონი-ლეიკერსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| | | კალათბურთი. სუპროლიგა | | | |
| | | 20 დეკემბერი | | | |
| 22.30 | 823 | რაანანა-პანათინაიკოსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 824 | სკავოლინი-ეფესი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 | 825 | ვილერბანი-ცსკა | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | | 21 დეკემბერი | | | |
| 21.00 | 826 | ულქერი-სიენა | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 21.00 | 827 | პლანია-ოსტენდე | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 23.30 | 828 | სპლიტი-ლიეტუვოს რიტასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 829 | კრკა-პო ორტეზი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 830 | ირაკლისი-მაკაბი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 23.30 | 831 | ალბა-ცეპტერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 832 | პარტიზანი-ბაიერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | |
| | | 20 დეკემბერი | | | |
| 19.00 | 833 | ფორტიტუდო-ლუგანო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 19.00 | 834 | ზადარი-ესტუდიანტესი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 19.00 | 835 | ჟალგირისი-პერისტერი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 19.00 | 836 | აეკ შარლერუა | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 19.00 | 837 | კინდერი-ტაუ | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 19.00 | 838 | პეტერბურგი-ციბონა | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 19.00 | 839 | რეალი-ოვარენსე | 1,02 | 12,0 | 10,0 |
| 19.00 | 840 | ოლიმპიაკოსი-ოლიმპია | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 19.00 | 841 | ჰაპოელი-ბენეტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 19.00 | 842 | ბუდუჩნოსტი-ლონდონი | 1,02 | 12,0 | 7,5 |
| 19.00 | 843 | სკაილაინერსი-პაოკ | 3,5 | 12,0 | 1,15 |
| 19.00 | 844 | ბარსელონა-მიულერი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| | | ჰოკეი | | | |
| | | 19 დეკემბერი | | | |
| 04.00 | 901 | ბოსტონი-ფილადელფია | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 04.30 | 902 | აილენდერსი-კაროლინა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.00 | 903 | კოლორადო-კალგარი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 07.30 | 904 | ლოს ანჯელესი-ატლანტა | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| | | 20 დეკემბერი | | | |
| 04.00 | 905 | რეინჯერსი-სენტ ლუისი | 2,5 | 12,0 | 1,8 |
| 04.00 | 906 | ბუფალო-ფილადელფია | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.00 | 907 | ვაშინგტონი-ბუფალო | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 908 | ტორონტო-ნეშვილი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 04.30 | 909 | ფლორიდა-პიტსბურგი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 910 | დეტროიტი-სან ხოსე | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 05.00 | 911 | ნიუ ჯერსი-დალასი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 05.00 | 912 | მინესოტა-ოტავა | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 06.00 | 913 | ედმონტონი-ვანკუვერი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 06.00 | 914 | ფინიქსი-კალგარი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 07.30 | 915 | ანაჰაიმი-ატლანტა | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| | | 21 დეკემბერი | | | |
| 04.00 | 916 | ბოსტონი-ტორონტო | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 04.00 | 917 | ბუფალო-ვაშინგტონი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 04.00 | 918 | ფილადელფია-სან ხოსე | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 919 | კოლუმბუსი-ოტავა | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 920 | მონრეალი-ნეშვილი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.30 | 921 | აილენდერსი-დალასი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 922 | ტამპა ბეი-პიტსბურგი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 05.30 | 923 | ჩიკაგო-ვანკუვერი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 06.00 | 924 | კოლორადო-ლოს ანჯელესი | 1,4 | 4,0 | 4,2 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

## 14 დეკემბრის საუკეთესო მოთამაშე

### გიორგი მარხვაშვილი

ვითა-სტუ 2

სსუ-სა და „დინამოს" დამარცხების შემდეგ „ვითას", რომელსაც თითქმის არავინ მიიჩნევდა სერიოზულ მეტოქედ, ექვსეულში შეღწევის შანსი გაუჩნდა. გელა წულაძის გუნდი წინა კვირას უმთავარმწვრთნელოდ დარჩენილი თსუ-ს ძლევით ერთიორად გაიუმჯობესებდა სატურნირო მდგომარეობას, თუმც ბოლო წამს იღბალმა ზურგი აქცია და შედეგად უმნიშვნელოვანესი ქულა მეტოქეს დაუთმო.

იმ მატჩს თავისი გმირი ჰყავდა, დამარცხებული „ვითას" გამთამაშებელი გიორგი მარხვაშვილი შეუდარებელი იყო მოედანზე, თავისი საქმე უნაკლოდ აკეთა და მეათე ჩემპიონატში მეორედ შეიქნა „სარბიელის" რჩეული.

მარხვაშვილმა თსუ-სთან მატჩში 46 ქულას მოუყარა თავი, რაც მიმდინარე ჩემპიონატში კიდევ ერთმა კალათბურთელმა, დინამოელმა დავით თორთლაძემ შეძლო. მთლიანობაში „მარხვამ" თავისი გუნდის მონაგარის თითქმის ნახევარი მარტომ მოაგროვა, ეს კი სავსებით საკმარისი მიზეზია, რათა 14 დეკემბერის მოთამაშედ მიგვეჩნია — იმ დღეს მას კონკურენტი არ ჰყოლია.

შეხვედრის დებიუტში ერთგვარად ჩრდილში მდგომი მარხვაშვილი შესვენების შემდეგ გაცილებით კარგად ამოქმედდა, პირველი ტაიმის შემდეგ 10 ქულით ჩამორჩენილი „ვითა" სწორედ გიორგის ზუსტმა სამქულიანმა გამოარკვია და ამის მერე ჩამორჩენის აღმოფხვრა იწყო. მეოთხე ათწუთეულის დასაწყისში გელა წულაძის გუნდმა შედეგიც მოიმკო: მას შემდეგ, რაც მარხვაშვილმა ზედიზედ ცხრა ქულა მიითვალა, ერთხანს უიმედოდ ჩამორჩენილი „ვითა" მინიმალურადღა აგებდა — 70:71.

უკანასკნელ წუთებზე სურათი რადიკალურად შეიცვალა. „ვითამ" ჯერ გაათანაბრა ანგარიში, მერე კი ლიდერობაც იგდო ხელთ, რაც უდავოდ გიორგი მარხვაშვილისა და მისი სეხნია მდივნის ძალისხმევით მოახერხა, რომელიც თავისი გუნდის გამთამაშებელს კარგ პარტნიორობას უწევდა და ფარქვეშ გააზრებულად მოქმედებდა.

საბოლოოდ თსუ-მ იღბლისა და მოწინააღმდეგე გუნდის გამოუცდელობის წყალობით შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანა შეძლო და სულ ბოლო წამზე გიორგი მარკოიშვილის ჩაგდებულით 2 ქულით მოიგო მატჩი. მარხვაშვილი დამატებით ხუთწუთეულშიც გამოირჩა სხვათაგან, საკუთარი გუნდისთვის ყველაზე კრიტიკულ მომენტებში ნერვებმა არ უმტყუნა, ორჯერ სამქულიანით დალაშქრა მეტოქის კალათი და თსუ ბოლომდე დაძაბული ამყოფა. ის, რომ „ვითამ" მაინც ვერ შეძლო ამ მატჩის მოგება, ოდნავადაც ვერ აკნინებს მარხვაშვილის გარჯას. გიორგიმ კარგი თამაშით იმ დღეს მოედანზე მყოფი უკვებლივ ყველა კალათბურთელი დაჩრდილა.





თსუ-ელ გიორგი მარკოიშვილს ზურაბ ჩუბინიძე (№15) და ვახტანგ მინაშვილი გადაეღობნენ

# ბნელში ხუთით, ნათელში ოთხით

16 დეკემბერი. ვერის ბაღი

**სტუ 95:80 თსუ**

24:12, 19:15, 25:16, 27:37

სტუ: ხოშტარია (28), დავითულიანი (29), ლოსაბერიძე (11), ოთიურიძე, მინაშვილი (15); ბ. ბერიშვილი (3), კორძაძე, მიქაძე, ჩუბინიძე (9)

თსუ: ვეფხვაძე (8), მაისურაძე, გ. მარკოიშვილი (23), მაჭარაძე (9), ახალკაცი (23); არსიაშვილი (10), ხეცურიანი (7), ზანგურაშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

როლანდ ლაზურიძე

**მატჩის** დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ვერის ბაღში დენი გამოირთო. გუნდებს სრული უფლება ჰქონდათ, თამაშზე უარი ეთქვათ, მაგრამ მატჩი მაინც შედგა.

მართალია, სტუ-ს ექვსეულში მოხვედრა გარანტირებული აქვს, მაგრამ მესამე ადგილისთვის ბრძოლაში სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა „მაკაბის" სახით, რომელსაც წინა ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსნისგან სულ რაღაც ერთი ქულა აშორებდა. ქულებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სტუ-ს პირველ წრეში დამარცხების გამო რევანშისთვისაც უნდა ეზრუნა: მაშინ თსუ-მ ცხრა ქულით — 94:85 შეძლო მეტოქის დამარცხება.

სტუ-სგან განსხვავებით, ურთულესი პრობლემების წინაშე დგას მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩენილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, რომლის ექვსეულში მოხვედრა ჯერ კიდევ სათუოა. სტუდენტურ დერბიში თსუ-ს შანსები კიდევ უფრო შემცირდა, როცა გუნდმა ტრავმებისა და ოჯახური პირობების გამო დავით და ირაკლი ბერიშვილები, ზურაბ სანიკიძე, ბადრი ნათობაძე და ლაშა ზამთარაძე მოისაკლისა.

სანახაობრივ მხარეზე რა მოგახსენოთ, მაგრამ შეხვედრა დაძაბული კი გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ იყო მომენტები, როცა სტუ 20-22 ქულითაც კი იგებდა. სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა მესამე მეოთხედში, როდესაც ირაკლი მაისურაძემ მეხუთე ჯარიმის შემდეგ, მოედნიდან გასვლისას, ბილწსიტყვაობისთვის ტექნიკური ჯარიმა დასტყუა მთავარ მსაჯ ზაზა მაჩალაძეს. თსუ-ს სათადარიგო სკამიდან კვლავ გრძელდებოდა გინება და მაჩალაძეც დაუზარებლად არიგებდა ტექნიკურებს. ბილწსიტყვაობა მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი გია ჯავახიშვილს სკამი დაატოვებინეს. მესამე მეოთხედის დამთავრებამდე დაახლოებით ორი წუთი რჩებოდა, როდესაც კიდევ ერთხელ ახმაურდა დარბაზი, ამჯერად შუქის მოსვლის გამო.

შეხვედრის პირველ წუთებში თსუ 6:2 უგებდა მეტოქეს, მაგრამ მისი სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ირაკლი ხოშტარიას ოსტატური თამაშის შედეგად სტუ-მ მალე გაათანაბრა და წინ გასვლაც შეძლო, პირველ მიკროშესვენებაზე კი 12-ქულიანი მარაგით წავიდა — 24:12. სტუ-ს არც მეორე მეოთხედში გასჭირვებია უპირატესობის შენარჩუნება. 68:43 — ასეთი იყო ანგარიში მესამე მეოთხედის შემდეგ სტუ-ს სასარგებლოდ.

იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული სტუ დასკვნით მეოთხედში ცოტა მოეშვა, თსუ კი მოულოდნელად გააქტიურდა. ვეფხვაძემ თამაში დაალაგა, არსიაშვილს და მარკოიშვილს შორიდან სროლები წაუვიდათ, მაჭარაძე და განსაკუთრებით კი ახალკაცი მეტ მონდომებას იჩენდნენ ფარზე ბრძოლის დროს. შედეგად, მეოთხე წუთის ბოლოს 25-ქულიანი უპირატესობიდან სტუ-ს თოთხმეტიღა შერჩა — 74:60. თსუ-ს მატჩის გადარჩენის შანსიც კი მიეცა, მაგრამ ნერვები ვერ მოთოკეს კალათბურთელებმა, უამრავი საჯარიმო სროლა გააფუჭეს და ჯარიმებით თამაშსაც მოუხშირეს. ჯერ გოჩა არსიაშვილმა მიიღო მარტივ სიტუაციაში მეხუთე ჯარიმა, შემდეგ კი გულივერ ახალკაცს უმტყუნა ნერვებმა. ამის შემდეგ გამოუცდელ დავით ზანგურაშვილსღა ჰქონდა მოედანზე შესვლის უფლება.

თსუ-ს მიერ მატჩის ხსნის ილუზიები საბოლოოდ მაშინ დასამარდა, როცა საფინალო სირენამდე 1,21 წუთით ადრე შოთა მაჭარაძე მეხუთე ჯარიმის გამო იძულებული გახდა, მოედანი დაეტოვებინა, თსუ-ს კი მისი შემცვლელი კალათბურთელი აღარ აღმოაჩნდა. აშკარა იყო, სტუ უპირატესობას ოთხი სპორტსმენით დარჩენილი მეტოქესთან აღარ გაფლანგავდა. მატჩმა ფორმალური სახე მიიღო და ლოგიკური შედეგითაც დასრულდა.

ცნობისთვის: მიმდინარე ჩემპიონატში თსუ პირველი გუნდი აღმოჩნდა, რომელმაც კაცნაკლულმა, ოთხი მოთამაშით დაასრულა შეხვედრა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 16 | 16 | 0 | 1656:1174 | 32 |
| აზოტი | 14 | 11 | 3 | 1161:981 | 25 |
| სტუ-ჯეოსელი | 15 | 10 | 5 | 1405:1307 | 25 |
| მაკაბი | 14 | 8 | 6 | 1247:1162 | 22 |
| დინამო | 15 | 5 | 10 | 1257:1356 | 20 |
| თსუ | 14 | 6 | 8 | 1189:1288 | 20 |
| შევარდენი | 14 | 5 | 9 | 1066:1157 | 18 |
| ვითა-სტუ 2 | 14 | 4 | 10 | 1173:1344 | 18 |
| სსუ | 14 | 0 | 14 | 946:1331 | 14 |

შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა



თსუ-ელი შოთა მაჭარაძე (ბურთით) მეტოქის ფარქვეშ

## ბრკიჩი მაფიოზის მსხვერპლია



ბელგრადის „პარტიზანის" 26 წლის უკანახაზელი ჰარის ბრკიჩი თავდასხმიდან სამი დღის შემდეგ, გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. შეგახსენებთ, რომ კალათბურთელს ორმა უცნობმა თავში ორი ტყვია დაახალა. ეს ამბავი ბელგრადის დარბაზ „პიონირის" წინ მოხდა — ვარჯიშის შემდეგ ბრკიჩი საკუთარ ავტომანქანაში ჯდებოდა.

მკვლელობის მიზეზზე ვერაფერს ამბობენ. ბრკიჩი წესიერი კაცი ყოფილა, არც ბნელი წარსული ჰქონია და არც საეჭვო ხალხთან ურთიერთობაში შეუმჩნევიათ. ყველაზე რეალური ეს ვერსია ჩანს: იმ ორ უცნობს ბრკიჩის ავტომანქანის მოპარვა სურდათ, კალათბურთელმა წაასწრო და ატეხილი ჩხუბი ორი გასროლით დასრულდა. თავდამსხმელები მიიმალნენ და მათ ასავალ-დასავალს დღესაც ეძებენ.

ჰარის ბრკიჩი ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში დაიბადა და 1992 წლამდე, ერთიანი იუგოსლავიის დაშლამდე, იქაურ „ბოსნაში" თამაშობდა. შემდეგ ბელგრადში გადავიდა და „პარტიზანში" ჩაირიცხა. ამ გუნდის შემადგენლობაში სამჯერ გახდა იუგოსლავიის ჩემპიონი და ერთხელაც თასი მოიპოვა, 1998 წელს კი ევროლიგის „ოთხთა ფინალში" ითამაშა.

1999 წელს ბრკიჩი პოდგორიცას „ბუდუჩნოსტში" გადაბარგდა და გუნდს ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში დაეხმარა. დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე კი „პარტიზანს" დაუბრუნდა და ერთხელ სუპერლიგაში თამაშიც მოასწრო.

„ბუდუჩნოსტმა" პატივი მიაგო გარდაცვლილს და გადაწყვიტა, რომ ამ სეზონში ბრკიჩის ნომერი ხუთი მაისურით არავინ ითამაშებს. იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაციამ გადადო უქმეებზე დანიშნული ქვეყნის ჩემპიონატის ტური. 28 დეკემბრისთვის გადაიდო „პარტიზანის" და სტამბოლის „ეფესის" სასუპერლიგო მატჩი, რომელიც, წესით, 14 დეკემბერს უნდა გამართულიყო.

ჰარის ბრკიჩი გუშინ დაკრძალეს ბელგრადის ცენტრალურ სასაფლაოზე

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჯორჯია ჩემს ხსოვნაში

## სტეფანია ლიგას ატლანტაში დაუბრუნდა

16 დეკემბერი

**ატლანტა 83:89 ნიუ ჯერსი**

ატლანტა: ტერი (13), მელონი (12), მაკლეოდი (15), რაიტი (14 ქულა, 13 მოხსნა), მუტომბო (15 ქულა, 12 მოხსნა); რობინსონი (10), მოტოლა (2), დ. ჯონსონი (2), ა. ჯონსონი, გლოვერი

ნიუ ჯერსი: მარბერი (23), ჰარისი (6), ჯეკსონი (2), მარტინი (12), ვილიამსი (12); გილი (19), ნიუმენი (6), დუგლასი (5), სტეფანია (3 ქულა, 2 მოხსნა), სამაკე (1), ემმეიერი

17 დეკემბერი

**ნიუ ჯერსი 79:95 საკრამენტო**

ნიუ ჯერსი: მარბერი (17), ჰარისი (6), ს. ჯეკსონი (10), კ. მარტინი (5), ა. ვილიამსი (13); გილი (10), დუგლასი (9), სტეფანია (4 ქულა, 5 მოხსნა), ნიუმენი (3), სამაკე (2), ემმეიერი

საკრამენტო: ჯ. ვილიამსი (5), კრისტი (18), თურქოღლუ (5), ვებერი (33 ქულა, 12 მოხსნა), დივაცი (12); ბ. ჯეკსონი (8), პოლარდი (7), ბერი (5), დ. მარტინი

„ნიუ ჯერსი ნეთსი" ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კვალობაზე ბევრი ვერაფერი გუნდია, ვერც წარსულის წარმატებებით დაიკვეხნის და დღესდღეობითაც მისი სახელი არ ჟუხს. მიუხედავად ამისა, ამ გუნდის ყოველი შეხვედრა კალათბურთის ქართველ ქომაგთათვის განსაკუთრებულ ინტერესს შეიძენს, რადგან აქ თამაშობს პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში მოხვედრილი პირველი ქართველი, ვლადიმერ სტეფანია. „ნიუ ჯერსიმ" ქართველი ცენტრი პარასკევს დილით აიყვანა, 50-ნომრიანი მაისურა უბოძა და იმდღესვე „ატლანტა ჰოქსთან" სათამაშოდ ჯორჯიაში იახლა. ასე დასრულდა ვოვას თვენახევრიანი უქმობა. მოგეხსენებათ, „ტორონტოდან" წამოსვლის შემდეგ იგი უგუნდოდ იყო.

„ნიუ ჯერსი" „სიეტლის" შემდეგ მეორე გუნდია, რომლის რიგებშიც სტეფანიამ ოფიციალურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. იმაზეც ვთქვათ, რა შანსები აქვს ქართველს ამ გუნდში. ტყუილი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ბადეებს" მთელს ლიგაში ერთ-ერთი უსუსტესი წინა ხაზი ჰყავთ. მას შემდეგ, რაც ჯეისონ ვილიამსმა კალათბურთს თავი დაანება, „ნეთსი" ხეირიანი ცენტრის მწვავე უკმარისობას განიცდის. ტრავმირებულია ერთ-ერთი ლიდერი, თავდამსხმელი კეიტ ვან ჰორნი და ფარქვეშეთის მთელი სიმძიმე ახალბედა კენიონ მარტინს და არაფრით გამორჩეულ აარონ ვილიამსს აწვებათ. არა, გუნდში კი არიან ცენტრები, თან არაერთი — ევან ემმეიერი, ჯიმ მაკლვეინი და 218-სანტიმეტრიანი აფრიკელი აყლაყუდა (ტომით მალიდან) სუმაილა სამაკე, მაგრამ ისინი იმდენად უხეიროდ ირჯებიან, რომ მწვრთნელი ბაირონ სკოტი მათ სასტარტო ხუთეულში დაყენებას, საერთოდ უცენტროდ თამაშს არჩევს, რაც, ცხადია, ისევ და ისევ სტეფანიას წისქვილზე ასხამს წყალს. თუ ვოვამ სკოტს თავი მოაწონა, სავსებით შესაძლებელია, სასტარტო ხუთეულში ამოყოს თავი, ყოველ შემთხვევაში, ვან ჰორნის გამოჯანმრთელებამდე მაინც.

ამ უქმეებზე სტეფანიამ „ნიუ ჯერსის" ორივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მართალია, შეცვლებზე შევიდა, მაგრამ ამდენი ხნის უთამაშებლობის გათვალისწინებით, ურიგოდ არ გარჯილა, ამასთან კონკურენტთა ტრიოზე დიდხანს დაჰყო მოედანზე (მაკლვეინს საერთოდ არ უთამაშია) და მათზე მეტი სარგებელიც მოუტანა ახალ გუნდს.

„ატლანტასთან" სტუმრად სადებიუტო მატჩში სტეფანიამ ერთ დროს „სიეტლში" მისი თანაგუნდელი აარონ ვილიამსი შეცვალა და 13 წუთი ითამაშა. ვოვა კარგადაც ეჭიდავა მასპინძელთა ზაირელ ცენტრს, სახელოვან დიკემბე მუტომბოს და ამ დევკაცთან ორთაბრძოლაში სამი ქულა და ორი მოხსნაც მოიპოვა. მან თამაშში ოთხი სროლიდან ერთი ჩააგდო, ორი საჯარიმოდან ერთი გამოიყენა. ვოვამ შეცდომებიც დაუშვა (ნუ დავივიწყებთ, ვის წინააღმდეგ უწევდა თამაში, მუტომბო ნბა-ს სამგზის სეზონის საუკეთესო დამცველია), ერთხელ ბურთი დაკარგა და ორჯერაც მუტომბოზე დაჯარიმდა. თვითონ თამაში თანაბარ ბრძოლაში დაიწყო და გაილია. მწვრთნელი ბაირონ სკოტი არ მოერიდა უთამაშებელი ქართველის მოედანზე შეშვებას და ალბათ არც წააგო, ვოვას თავი ნამდვილად არ შეურცხვენია. მისმა გუნდმა კი დიდ ბრძოლაში მოიგო. „ატლანტა" უხეირო გუნდი კია, მაგრამ მასზე არცთუ ბევრად ძლიერ მეტოქეს ტოლ-სწორად შეება და შეხვედრის დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე 83:82 უგებდა, თუმც შეხვედრის დასკვნით ეტაპზე სტუმრებმა იყოჩაღეს — ჯერ მარტინმა გაიყვანა თავისიანები წინ ორქულიანით, ამას გუნდის ლიდერმა სტივენ მარბერიმ სამქულიანი დაურთო და შეხვედრას წერტილი მარტინმავე დაუსვა.

რაც შეეხება მეორე შეხვედრას, აქ „ნიუ ჯერსიმ" შინ პირწმინდად წააგო გაცილებით ღონიერ „საკრამენტოსთან". სტუმართა თავდამსხმელმა კრის ვებერმა აშკარად დაჩაგრა მასპინძელთა მაღლები და საშინლად მოაოხრა მათი კალათი. ექვსი წლის წინ კრის ვებერი სეზონის ახალბედა გახლდათ. ახლა ამ ტიტულს ალბათ არავის დაანებებს კენიონ მარტინი, თუმც ამ მატჩმა მათ შორის სხვაობა ნათლად წარმოაჩინა. ჩვენებურს ამ შეხვედრაში ორი წუთით მეტხანს მოუწია თამაშმა. ვოვას შედეგიანობაც ოდნავ გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მუტომბოზე არანაკლებ მძლავრ ცენტრს, იუგოსლაველ ვლადე დივაცს პერსონალურად ებრძოდა. ვოვამ თამაშიდან შვიდი სროლიდან ერთი ჩააგდო და ოთხიდან ორი საჯარიმო გამოიყენა. შეეძლო, მეტიც მოეგროვებინა, თუმც სროლა არ წაუვიდა. სამაგიეროდ, ვოვამ ფარქვეშ რიგიანად იჯაჯგურა და „ბადეებს" ხუთი მოხსნა (აქედან ერთი მეტოქის ფარზე) გაუხერხა.

მომდევნო შეხვედრას „ბადეები" 20 დეკემბერს ბოსტონში გამართავენ დაახლოებით მათ ტოლძალოვან „სელტიქსთან". აქ სტეფანიას უკრაინელ ვიტალი პოტაპენკოსთან მოუწევს დაპირისპირება.

15 დეკემბერი

**ნიუ იორკი 58:89 იუტა**

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (14)

იუტა: მელოუნი (18), სტარქსი (18)

**პორტლენდი 106:96 ორლანდო**

პორტლენდი: ვოლესი (22 ქულა, 10 მოხსნა), საბონისი (18)

ორლანდო: მაკგრეიდი (39), არმსტრონგი (17 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი, 5 ჩაჭრა)

**ფინიქსი 88:98 კლიპერსი**

ფინიქსი: როჯერსი (25), დელკი (20)

კლიპერსი: მაკინისი (24), ოდომი (23), რიჩარდსონი (21)

**მილუოკი 104:97 ტორონტო**

მილუოკი: რობინსონი (31)

ტორონტო: დევისი (25 ქულა, 12 მოხსნა)

**ჩიკაგო 74:85 ატლანტა**

ჩიკაგო: მერსერი (22), ბრენდი (19 ქულა, 12 მოხსნა)

ატლანტა: ტერი (17 ქულა, 13 პასი, 8 მოხსნა), მუტომბო (12 ქულა, 18 მოხსნა)

**დეტროიტი 90:99 მინესოტა**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (29), სმიტი (16)

მინესოტა: გარნეტი (26 ქულა, 13 მოხსნა, 10 პასი), ბრენდონი (19)

**ფილადელფია 94:112 დალასი**

ფილადელფია: აივერსონი (26), მაკკი (19)

დალასი: ნოვიცკი (36), ფინლი (25), ნეში (18 ქულა, 13 პასი, 7 მოხსნა)

**ინდიანა 95:103 კლივლენდი**

ინდიანა: როუზი (24), მილერი (20), კროშერი (16)

კლივლენდი: ილგაუსკასი (24), მილერი (17 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)

**ბოსტონი 81:104 საკრამენტო**

ბოსტონი: უოლკერი (15 ქულა, 11 მოხსნა)

საკრამენტო: ვებერი (30 ქულა, 13 მოხსნა), კრისტი (19)

**ლეიკერსი 98:76 ვანკუვერი**

ლეიკერსი: გრანტი (19 ქულა, 13 მოხსნა), ბრაიანტი (17)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (18 ქულა, 10 მოხსნა)

**ვაშინგტონი 89:103 შარლოტი**

ვაშინგტონი: კინი (17)

შარლოტი: ვესლი (25), მაშბურნი (21), დევისი (19)

**სიეტლი 99:81 მაიამი**

სიეტლი: პეიტონი (25 ქულა, 13 პასი), იუინგი (16 ქულა, 10 მოხსნა)

მაიამი: მეისონი (16 ქულა, 10 მოხსნა)



ნიუ ჯერსი — საკრამენტო. აარონ ვილიამსს (მარჯვნივ) საკრამენტოელი სკოტ პოლარდი უფარებს

არა აქვს მნიშვნელობა, გრანტ ჰილი თამაშობს თუ არა, „ორლანდო მეჯიქს" მაინც არაფერი შველის. სეზონის დაწყებამდე ლამის აღმოსავლეთის უძლიერეს გუნდად შერაცხულმა „ორლანდომ" პარასკევს მორიგი შეხვედრა დათმო. ჰილს ამჯერად არ უთამაშია, ქუსლმა იგი სკამს მიაჯაჭვა. სამაგიეროდ, იფრინა 22 წლის ტრეისი მაკგრედიმ, თუმც მისი 39 ქულა „პორტლენდის" საძლევად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ვერც მეორე ფლორიდულ გუნდ „მაიამის" წაუვიდა საქმე კარგად. „მაიამი" უფრო ადვილად შეეგუა ლიდერის, ალონზო მურნინგის არყოფნას, ვიდრე „ორლანდო", თუმც ბოლო ხანს მოღონიერებულ „სიეტლთან" ვერაფერი გააწყო. „სიეტლის" ახალწვეულს, ბებერ პატრიკ იუინგს „ჰითის" ჯინი სჭირს, ამიტომ ტრავმებით გატანჯული სხეული არ დაზოგა და 16 ქულა და 10 მოხსნა გააკეთა. იუინგი დაცვაშიც რიგიანად გაისარჯა, მეტოქის ცენტრ ბრაიან გრანტს თამაშიდან ბურთი არ ჩააგდებინა. სტუმრები უკვე მესამე მეოთხედში გატყდნენ, როცა ეს მონაკვეთი 15:31 წააგეს.

საერთოდ, 15 დეკემბერი ერთობ ნავსიანი გამოდგა ატლანტიკის დივიზიონელთათვის, ამ დღეს ვერც ერთმა მათგანმა ვერ იმარჯვა. ცნობილ „მედისონ სკვერ გარდენში" 20 ათასი ქომაგის გულის გასახეთქად საშინლად შერცხვა „ნიუ იორკი". „ნიქსი" 54 წელია, ანუ ნბა-ს დაარსების დღიდან არსებობს და წარმატებებთან ერთად, ბუნებრივია, ჩავარდნებიც ჰქონია, თუმც ერთ თამაშში არასდროს დაუგროვებია ასე ცოტა ქულა, რამდენიც „იუტასთან" პარასკევ საღამოს. მატჩის დაწყებამდე, სავსე დარბაზი თბილად შეხვდა ძველ ნიუიორკელს, აწ კი იუტელ ჯონ სტარქსს. ამან კი ყოფილ გუნდს 18 ქულა ჩაუგდო და ახალ კლუბს ძველი გაანადგურებინა. „არ ვიცი, რა დაგვემართა. თითქოს ისე ვთამაშობდით, როგორც სხვა დროს, ბურთი კი ჯიუტად არ ჩადიოდა კალათში" — ამბობდა ნამატჩევს ნიუიორკელთა ცენტრი მარკუს კემბი. მასპინძლებმა იმ დღეს 65 სროლიდან 25 ჩააგდეს და მეტოქეს საქმე გაუადვილეს.

კარგი დღე არც აღმოსავლეთში უძლიერეს „ფილადელფიას" დაადგა. მიუხედავად იმისა, რომ „დალასი" გრანდებს არ განეკუთვნება, „სიქსერზმა" მაინც პირწმინდად წააგო მასთან შეხვედრა. ერთკვირიანი წინასწარი სამკურნალო კურსის გავლის შემდეგ „დალასს" დაუბრუნდა მწვრთნელი დონ ნელსონი, რომელსაც ორი კვირის წინ პროსტატის კიბო აღმოაჩნდა. როგორც ჩანს, ტეხასელები დამრიგებლის დაბრუნებამ აღაფრთოვანა და სასწაული ჩაადენინა. „დალასის" გერმანელმა თავდამსხმელმა დირკ ნოვიცკიმ ყველა დაჩაგრა, ვინც კი მისი მეურვეობა სცადა და საყვარელი მწვრთნელის დაბრუნება კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 36 ქულით აღნიშნა.

16 დეკემბერი

**გოლდენ სტეიტი 85:93 მაიამი**

გოლდენ სტეიტი: ჯეკსონი (26 ქულა, 10 მოხსნა), ჯემისონი (18)

მაიამი: გრანტი (23 ქულა, 14 მოხსნა)

**მინესოტა 113:110 ინდიანა**

(ძირითადი დრო 101:101)

მინესოტა: გარნეტი (34 ქულა, 20 მოხსნა)

ინდიანა: როუზი (31), ონილი (30), მილერი (20)

**სან ანტონიო 90:82 ფინიქსი**

სან ანტონიო: რობინსონი (18), დანკანი (17), დანიელსი (17)

ფინიქსი: როჯერსი (16)

**ჩიკაგო [illegible]:99 ფილადელფია**

ჩიკაგო: [illegible] (27), ბრენდი (20 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი), მერსერი (20)

ფილადელფია: აივერსონი (33), მაკკი (18)

**ჰიუსტონი 100:102 დენვერი**

ჰიუსტონი: ფრენსისი (26), მობლი (20)

დენვერი: ვან ექსელი (26), ლენარდი (19), მაკდაიესი (17 ქულა, 20 მოხსნა)

**შარლოტი 99:87 ბოსტონი**

შარლოტი: მაშბურნი (20 ქულა, 12 მოხსნა), ვესლი (19), დევისი (18 ქულა, 14 პასი, 8 მოხსნა)

ბოსტონი: უოლკერი (20 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), პირსი (19)

**კლივლენდი 99:92 იუტა**

კლივლენდი: მილერი (22), ილგაუსკასი (17)

იუტა: სტოქტონი (16)

ამ უქმეებზე ლიგაში საუკეთესო შედეგის მქონე „ფილადელფიამ" ჩვეულად ღონივრად ვერ ითამაშა. პარასკევს ღამით „სიქსერზმა" შინ უსახელო „დალასთან" წააგო, მეორე დღეს კი დაბოღმილი ჩიკაგოს გაემგზავრა და იქაურ „ბულზთან" მაგრად გაწვალდა. თამაშის მხილველი ნამდვილად ვერ იტყოდა, ეს ლიგის უძლიერესი და უსუსტესი გუნდების შეხვედრააო. „ხარები" თავს არ ზოგავდნენ და წააგეს იმის გამო, რომ მეტოქეს ალენ აივერსონი ჰყავდა, მათ კი ასეთი არავინ გააჩნდათ. აივერსონმა შეხვედრის მიწურულს ერთ მონაკვეთში ზედიზედ რვა ქულა მიითვალა, ეს ეპიზოდი „სიქსერზს" 14:0 მოაგებინა და გუნდს ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოუპოვა სტუმრად.

როგორც იქნა, „ფინიქსის" ჯავრი იყარა „სან ანტონიომ", თუმც ეს ხომ რეგულარული ჩემპიონატის რიგითი შეხვედრაა. „ფინიქსს" კი „სპურზი" პლეი ოფიდან გამოუგდია, ამასთან მიმდინარე სეზონშიც ორჯერ დაუჩაგრია ექსჩემპიონი. რომ არა გამოცდილი დევიდ რობინსონი, „სანზი ამ შეხვედრასაც ალბათ მოიგებდა. „ადმირალი" ბოლო მეოთხედში თავისიანთა შეტევებსაც გაუძღვა, საკუთარ ფარსაც, როგორც კრუხი წიწილებს, ისე გადაეფოფრა და დასკვნით თორმეტწუთეულში ხუთჯერ (!) დაუფარა მის სივრცეში შემოჭრილ „მტერს". „ფინიქსი" მეოთხე მეოთხედში ოდენ 13 ქულას დასჯერდა და ბოლო ოთხ შეხვედრაში პირველად დაუთმო „სან ანტონიოს".

17 დეკემბერი

**ტორონტო 101:104 ლეიკერსი**

(ძირითადი დრო 91:91)

ტორონტო: კარტერი (31 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), ოკლი (12 ქულა, 18 მოხსნა)

ლეიკერსი: ბრაიანტი (40), ონილი (28)

**ვანკუვერი 91:101 ორლანდო**

ვანკუვერი: ბიბი (19)

ორლანდო: მაკგრეიდი (27 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), ამაეჩი (18)

**დეტროიტი 90:99 დალასი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (24), სმიტი (20 ქულა, 13 მოხსნა)

დალასი: ნოვიცკი (25)

**კლიპერსი 94:103 ვაშინგტონი**

კლიპერსი: ოდომი (20)

ვაშინგტონი: ჰოვარდი (31), ჰამილტონი (30)

**ნიუ იორკი 100:97 მილუოკი**

(ძირითადი დრო 95:95)

ნიუ იორკი: რაისი (32 ქულა, 14 მოხსნა), ჰიუსტონი (29)

მილუოკი: რობინსონი (23 ქულა, 11 მოხსნა), ალენი (18)

ორი დღის წინ „იუტასთან" ისტორიული მარცხის შემდეგ „ნიუ იორკი" ზედიზედ მეორედ შერცხვებოდა საკუთარ გულშემატკივრების თვალწინ, ვინმე ერიკ სტრიკლენდს რომ არ ევაჟკაცა. მასპინძლები „მილუოკისთან" მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ათ ქულას აგებდნენ, მაგრამ მობილიზება მოახერხეს, სირენამდე ერთი წამით ადრე კი სტრიკლენდმა ავანტიურისტული სამიანი ჩააგდო და შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა. მართალია, ოვერტაიმში „ნიუ იორკმა" სულ ხუთი ქულა მიითვალა, მაგრამ მეტოქეს მხოლოდ ორი ჩააგდებინა.

ასევე დამატებით დროში გადაწყდა „ლეიკერსსა" და „ტორონტოს" შორის შეხვედრის ბედი. ლიგის პირველმა და მეორე მექულემ კობი ბრაიანტმა და ვინს კარტერმა ერთმანეთს დუელი გაუმართეს. ისევ პირველმა, ბრაიანტმა იმარჯვა და „ლეიკერსს" ზედიზედ მეორე გამარჯვება გაუხერხა.

**ირაკლი ფირცხალავა**

ცურვა



ტერეზა ალსამარი

# როსოლინომ სალნიკოვი გააუმჯობესა

**ვალენსიაში** „მოკლე წყლის" ევროპირველობა დასრულდა და მისი მთავარი გმირები გახდნენ უკრაინელი იანა კლოჩკოვა და იტალიელი მასიმილიანო როსოლინო. პირველმა 100 ათასი გერმანული მარკა (45 ათასი დოლარი) რომ მოიპოვა და „სუპერვარსკვლავი 2000" გახდა, შაბათს მოგახსენეთ, ხოლო როსოლინომ თავი იმით გამოიჩინა, რომ 4 ოქროს მედლით დატოვა ვალენსია. იტალიელმა მოიგო 200, 400 და 1500 მეტრებზე თავისუფალი სტილით და 200 მეტრზე შერეული გაცურვა. ამ ოთხეულიდან 1500 მეტრი ყველაზე გამოსარჩევია: როსოლინომ ვლადიმირ სალნიკოვის 18-წლიანი მსოფლიოს რეკორდი დაამხო. რუსმა რეკორდი 1982 წელს, შვედურ გიოტებორგში დაამყარა, ხოლო აწ უკვე ექსრეკორდსმენი კვირას პირველ რიგებში იჯდა და თავისი რეკორდის ალსასრულს უჭვრეტდა.

მეორე რიგის გმირები ვალენსიაში იყვნენ: ტერეზა ალსამარი, სტეფან პერო, მარტინა მორავცოვა და ორნ არნარსონი. ალსამარმა სიდნეის ოლიმპიადაზე აღებული ორი ვერცხლის მედალი ევროოქროთი გაალამაზა, ფრანგი პერო კი გახლდათ ის პირველი კაცი, რომელმაც 200 მეტრზე ბრასში ოლიმპიურ ჩემპიონ დომენიკო ფიორავანტის გაუსწრო და რომან სლუდნოვის ევროპის რეკორდი (რუსმა იგი ათენში 19 მარტს დაამყარა) 0,01 წამით გააუმჯობესა. ფიორავანტის სანუგეშოდ ის ექნება, რომ პარასკევს იმავე სტილით 100 მეტრი მოიგო.

არნასონი ისლანდიიდან ჩამოვიდა და დაადასტურა, რომ ცურვის სიყვარული და კარგი შედეგების ჩვენება ისეთ არასაცურაო ქვეყანაშიც შეიძლება, როგორიც მისი სამშობლოა. მან ვალენსიიდან ორი ოქროს მედალი წაიღო: 100 და 200 მეტრებზე გულაღმა ბეჯითად ცურვისთვის.

მორავცოვას გმირობა კი კვირას გამოჩნდა, როცა სლოვაკმა 40 წუთში ორი შეჯიბრი მოიგო, ხოლო გერმანელი თომას რაპრათის გამორჩევა ცალკე ღირს, რადგან მან 100 მეტრზე ბატერფლაი ლარს ფროლანდერს მოუგო და ის 100 ათას მარკიანი პრემია დააკარგვინა, რომელიც ოლიმპიურ ჩემპიონს (შვედეთიდან) კლოჩკოვას დარად „სუპერვარსკვლავი 2000" ტიტულისთვის უნდა მიეღო. შვედი გაწბილდა, მისმა თვისტომებმა კი გაიხარეს: ნახსენებმა ტანადმა ალსამარმა და მისმა ამხანაგებმა, ემა იგელსტრომმა, ანა-კარინ კამერლინგმა და ჯოანა სიობერგმა შაბათს 4X50 შერეული ცურვა მსოფლიოს რეკორდით დაასრულეს, ხოლო თითქმის ამავე შემადგენლობამ (იგელსტრომის ნაცვლად ანიკა ლოფშტედტი ცურავდა) 4X50-მეტრიან თავისუფალ სტილში მსოფლიო შედეგი უჩვენა. ესეც ვალენსიის ევროპირველობის ნათელი წერტილთაგანი გახლდათ.

**დავით გულუა**

### ევროპის ჩემპიონატი „მოკლე წყალში"

ვალენსია. ესპანეთი

**15 დეკემბერი**

ქალები. *800 მ. თავისუფალი.* ჩანტალ შტრასერი (შვეიცარია) 8:27,23; *200 მ. ბრასი.* ემა იგელსტრომი (შვედეთი) 2:24,05; *100 მ. თავისუფალი.* ტერეზა ალსამარი (შვედეთი) 53,13; *100 მ. გულაღმა.* ილონა ჰლავაკოვა (ჩეხეთი) 58,82; *50 მ. ბატერფლაი.* ანა-კარინ კამერლინგი (შვედეთი) 25,60; *4X50 თავისუფალი. ესტაფეტა.* შვედეთი (ანიკა ლოფშტედტი, ალსამარი, იოჰანა სიობერგი, კამერლინგი) 1:38,21.

კაცები. *400 მ. ინდივიდუალური, შერეული.* ალეზიო ბოჯიატო (იტალია) 4:10,61; *100 მ. ბრასი.* დომენიკო ფიორავანტი (იტალია) 58,89; *100 მ. ბატერფლაი.* თომას რუპრათი (გერმანია) 51,31; *50 მ. გულაღმა.* ანტე მაშკოვიჩი (ხორვატია) 24,60.

**16 დეკემბერი**

ქალები. *400 მ. თავისუფალი.* ირინა უფიმცევა (რუსეთი) 4:06,71; *100 მ. ინდივიდუალური შერეული.* მარტინა მორავცოვა (სლოვაკეთი) 1:00,58; *50 მ. გულაღმა.* ილონა ჰლავაკოვა (ჩეხეთი) 27,84; *4X50 შერეული ესტაფეტა.* შვედეთი (ალსამარი, იგელსტრომი, კამერლინგი, სიობერგი) 1:4,31.

კაცები. *1500 მ. თავისუფალი.* მასიმილიანო როსოლინო (იტალია) 14:36,93; *100 მ. თავისუფალი.* სტეფან ნისტრანდი (შვედეთი) 47,56; *200 მ. ბატერფლაიო.* რუპრათი 1:53,28; *50 მ. ბრასი.* მარკ ვარნეკი (გერმანია), დანიელ მალეკი (ჩეხეთი), ფიორავანტი 27,11.

**17 დეკემბერი**

ქალები. *50 მ. თავისუფალი.* ალსამარი 24,09; *200 მ. გულაღმა.* იოანა ფარგუსი (დიდი ბრიტანეთი) 2:08,19; *100 მ. ბატერფლაი.* მორავცოვა (57,54; *100 მ. ბრასი.* ალისია პეჩაკი (პოლონეთი) 1:06,95; *200 მ. თავისუფალი.* მორავცოვა 1:56,51; *400 მ. ინდივიდუალური შერეული.* იანა კლოჩკოვა (უკრაინა) 4:35,11.

კაცები. *4X50 ესტაფეტა, თავისუფალი.* შვედეთი (იოაკიმ დალი, ნისტრანდი, ლარს ფროლანდერი, კლაუს ანდერსონი) 1:27,52; *50 მ. ბატერფლაი.* მარკ ფოსტერი (დიდი ბრიატანეთი) 22,31; *100 მ. გულაღმა.* ორნ არნასონი (ისლანდია) 52,28; *200 მ. თავისუფალი.* როსოლინო 1:44,63; *100 მ. ინდივიდუალური. შერეული.* პეტერ მანკოცი (სლოვენია) 54,14; *200 მ. ბრასი.* სტეფან პერო (საფრანგეთი) 2:07,58



მარტინა მორავცოვა

ჩოგბურთი

# ათი პროცენტი მოგვაკლდა

ბანგალორი. ინდოეთი. ATP ტურის მსოფლიოს ჩემპიონატი წყვილებში საპრიზო 750 ათასი $

**III ტური**

**წითელი ჯგუფი**

**ელის ფერერა (სამხრეთ აფრიკა) და რიკ ლიჩი (აშშ) (1)** — ჯოშ იგლი და ენდრიუ ფლორენტი (4 ავსტრალია) 4:6, 6:3, 7:6 (7:2); **იოჰან ლანდსბერგი და საიმონ ასპელინი (7 შვედეთი)** — ჟაიმე ონსინსი (ბრაზილია) და დანიელ ორსანიჩი (არგენტინა) (6) 6:2, 6:4

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ლინდსბერგი — ასპელინი | 3 | 3 | 0 |
| 2. ლიჩი — ფერერა | 3 | 1 | 2 |
| 3. იგლი — ფლორენტი | 3 | 1 | 2 |
| 4. ორსანიჩი — ონსინსი | 3 | 1 | 2 |

**ლურჯი ჯგუფი**

**ალექს ობრაიენი და ჯარედ პალმერი (3, აშშ)** — მაჰეშ ბჰუპატი და ლეანდერ პაესი (ინდოეთი) 2:6, 6:4, 7:6 (7:5); **დონ ჯონსონი (აშშ) და პიტ ნორვალი (სამხრეთ აფრიკა) (5)** — პოლ ჰაარჰიუსი (ჰოლანდია) და სენდონ სტოლი (ავსტრალია) (2) 6:2, 7:6 (8:6)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ბჰუპატი — პაესი | 3 | 2 | 1 |
| 2. ნორვალი — ჯონსონი | 3 | 2 | 1 |
| 3. ჰაარჰიუსი — სტოლი | 3 | 1 | 2 |
| 4. ობრაიენი — პალმერი | 3 | 1 | 2 |

**ნახევარფინალი: ჯონსონი და ნორვალი** — ლანდსბერგი და ასპელინი 6:4, 5:7, 6:3; **ბჰუპატი და პაესი** — ლიჩი და ფერერა 6:3, 7:5

35 წლის ამერიკელი რიკ ლიჩისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი კარიერის უკანასკნელი მატჩი გახლდათ. ხანგრძლივი და საკმაოდ წარმატებული კარიერის განმავლობაში ვეტერანმა იანკიმ წყვილების 40 ტიტული მოიგო (მათ შორის 2 მსოფლიოს ჩემპიონატი და წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობა), საბანკო ანგარიში რამდენიმე მილიონით გაამდიდრა და საკუთარ ძმას ლინდსი დევენპორტთანაც უმაჭანკლა. პენსიაზე გასული ლიჩი სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში ჩოგბურთის მწვრთნელის მოადგილე იქნება.

**ფინალი: ჯონსონი და ნორვალი** — ბჰუპატი და პაესი 7:6 (10:8), 6:3, 6:4

ბანგალორელ მაჰეშ ბჰუპატის და მის მეწყვილე ლეანდერ პაესს თანამემამულეთა თვალწინ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება და მთავარი ჯილდოს ხელში შეთამაშება იქნებ ძალიანაც უნდოდათ, მაგრამ დონალდ ჯონსონისა და პიტ ნორვალის ინტერნაციონალურ დუეტს ამაზე საკუთარი, მეტად განსხვავებული აზრი ჰქონდათ.

ჯონსონი და ნორვალი სულ რაღაც სამი დღით ადრე, ჯგუფური ტურნირის დროს მასპინძელთა კერპებთან უიმედოდ დამარცხდნენ, მაგრამ იმ წაგებიდან, ეტყობა, სწორი დასკვნები გამოიტანეს და ამჯერად მტრულად განწყობილ ქომაგებსაც ნაკლები ყურადღება მიაქციეს.

მას შემდეგ, რაც პირველ სეტში ბეწვზე გადაურჩნენ ჩამორჩენას, მომხდურები უკეთ ათამაშდნენ და უპირატესობა მყარად ჩაიგდეს ხელში აი, ბჰუპატის კი გუნება წაუხდა და პირიქით, შეცდომებს უხშირა. პაესი ბევრს ეცადა მეწყვილის ხარვეზების გამოსწორებას, მაგრამ ერთი კაცი ორთან, აბა, რას გახდებოდა და საბოლოოდ 2 საათზე ოდნავ მეტში ჯონსონმა და ნორვალმა გაიხარეს.

„იმედია, გაისადაც ასეთ ფორმაში ვიქნებით და დიდი სლემის ტურნირსაც მოვიგებთ. საბედნიეროდ, ისე აეწყო, რომ ბოლო კვირეებში კარგად ავთამაშდით, სხვების დონე კი პირიქით, დაეცა" — განაცხადა ნორვალმა, რომელიც ჯონსონს მხოლოდ ექვსი თვის წინ „დაუძმობილდა". გამარჯვებულებს 150 ათასი დოლარი ერგოთ.

„მთელი ტურნირის განმავლობაში კარგად გამოვიყურებოდით, მაგრამ დღეს როგორღაც სასურველად ვერ ვითამაშეთ, მეტოქეები გვჯობდნენ, განსაკუთრებით მოწოდების მიღებაში. ჩვენს საუკეთესო ფორმას, ალბათ, 10 პროცენტი გვაშორებდა" — თავი იმართლა პაესმა, თუმცა ეგზომ ზუსტი მათემატიკური გამოთვლის საფუძველი არ დაუკონკრეტებია.

**ავთანდილ სვანიძე**



წყვილი ჩემპიონები: პიტ ნორვალი (მარჯვნივ) და დონალდ ჯონსონი

რაგბი

# ექვს ერს შვიდი კვირაც ეყოფაო

**ინგლისის** რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა ორიოდ დღის წინ განაცხადეს, რომ ექვსი ერის პირველობის კალენდრის შემჭიდროვება და მისთვის დღემდე განკუთვნილი 10 კვირის ნაცვლად შვიდის დათმობა სურთ.

ამასთანავე რაგბის ალბიონელმა მამებმა თქვეს: 2003 წლიდან მოყოლებული, ჩრდილოეთ ნახევარსფეროს უმთავრესი სანაკრებო ტურნირი შესაძლოა შუა თებერვალში დაიწყოს, რათა აპრილის დადგომასთან ერთად გასრულდესო.

„ჩვენი იდეაა ექვსი ერის პირველობაზე საწყისი და ბოლო ორ-ორი ტური მიყოლებით ჩავატაროთ. მესამე ტურის წინ და შემდეგ კი თითო უქმეები დასვენებად დავტოვოთ. ასე ტურნირს ჯამში 7 კვირა დასჭირდება" — განაცხადა ინგლისის რაგბის კავშირის ერთ-ერთმა ჩინოსანმა ტერი ბერუელმა.

ამ პროექტს იანვრის დასაწყისში განიხილავენ ექვსი ერის პირველობის კომიტეტის შეკრებაზე. ხოლო თუ დამტკიცდა, მას 2003 წლიდან განახორციელებენ, რადგან მანამდე უკვე აღებული სარეკლამო ვალდებულებები არ იძლევა ამის გაკეთების საშუალებას.

ინგლისელთა იდეას ფრანგები და შოტლანდიელებიც უჭერენ მხარს, ოღონდ „მამლებს" ტურნირის დაწყება შედარებით მოგვიანებით სურთ, ვიდრე შუა თებერვალია. სკოტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იან მაკგიჩენმა კი განაცხადა, რომ ტურნირის კალენდრის შემჭიდროვება გუნდებს საშუალებას მისცემს უფრო ხანგრძლივი შეკრებები მოაწყონ და უკეთ მოემზადონო. დღევანდელი მდგომარეობით ტურნირის მატჩებს შორის ნაკრების წევრები თავიანთ კლუბებს უბრუნდებიან და შიდა ჩემპიონატების შეხვედრებს თამაშობენ.

# სისხლის ყივილი

**მომავალ** ექვსი ერის პირველობაზე იტალიის ნაკრებში შესაძლოა ერთმა სამხრეთაფრიკელმა მორაგბემაც ითამაშოს. ლუკა ფიასკონარო სამხრეთ აფრიკაში დაიბადა, დავაჟკაცდა და რაგბის თამაშიც იქვე ისწავლა. იგი სტელენბოხის უნივერსიტეტში სწავლობდა და მისი სარაგბო გუნდის ღირსებას იცავდა მინდორზე. წლეულს კი სისხლმა უყივლა, აპენინების ნახევარკუნძულს მიაშურა და „პარმას" რიგებში ჩაირიცხა.

ფიასკონაროს რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში. მისი გამოყენება მწვრთნელებს შერკინების მესამე ხაზშიც შეუძლიათ, სამმეოთხედელთა ცენტრში და ფრთაზეც. ეს კი ძალიან ხიბლავს „სკუადრა აძურას" ახალზელანდიელ თავკაც ბრედ ჯონსტონს. თანაც ფიასკონაროსთვის იტალიის მოქალაქეობის მიღებაზე იოლი არაფერია — მამამისი ხომ იტალიელია და ქვეყანაშიც საკმაოდ ცნობილია — მას 1973 წელს 800 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდიც დაუმყარებია (1 წუთი და 43,7 წამი). ასე რომ, მომავალ ექვსი ერის პირველობაზე ლუკა ფიასკონარო შეიძლება უკვე „სკუადრა აძურაში" ვიხილოთ.

**ბაჩი ბურული**

სამთო თხილამურობა

# ორი წუთის ფათაბალა

ფრანგული ვალ დიზერი [illegible] მაიერისთვის [illegible] სიმბოლო იქნება. სამი წლის [illegible] სპორტული [illegible] მეორე და, [illegible] სერიად კვირადღის ამბავი [illegible] „ტერმინატორი" [illegible] ბრალდებულის სკამზე [illegible]. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოს თასის ვალ დიზერის ეტაპის [illegible] კომიტეტმა უკვე [illegible] და თუ სასამართლომ [illegible], მოთხილამურეს [illegible] დისკვალიფიკაცია და 300 ათასი [illegible] ფრანკის ტოლა ჯარიმა [illegible] ზემორე თანხა ამერიკულ დოლარებში 180 ათასამდე [illegible].

[illegible] ფრანკი „ტერმინატორს" უკვე შეეწერა. ამ თანხას [illegible] საერთაშორისო [illegible] და [illegible] იტალიურ [illegible] გამოაცხადებინებს, ხოლო თავად [illegible] კომენტარი ამგვარია: „[illegible] ჩემს წინააღმდეგ ბრძოლის [illegible] ხერხია. მტრები [illegible]."

[illegible], ბოლოს და ბოლოს? [illegible] სლალომის ეტაპის წინ [illegible] ტრასაზე ვარჯიშობდნენ. [illegible] 8:45-საათისთვის ტრა[illegible] ყველა უნდა გასულიყო, [illegible] მასზე ტექნიკური [illegible] და თავის საქმეს [illegible] დათვალიერება) [illegible] მაიერი ორი წუთით გვიან [illegible] დიდი სიჩქარით, თუმცა, [illegible] დაუკავებია. იგი უწესობაში [illegible] მაგრამ მონანიების ნაცვლად [illegible] საბაგიროთი ერთხელაც [illegible] უწინდელი სიჩქარით [illegible] სლალომის კარებიც [illegible]. სამწუხარო [illegible] უკანასკნელი ქმედების [illegible] „მაიერი პარკ [illegible] — თქვა ფის-ის რბოლის [illegible] გიუნტერ [illegible] გავაფრთხილეთ, ხოლო [illegible] მხოლოდ [illegible] ახლა მაიერმა რვა დღეში [illegible] 25 ათასი უნდა გადაიხადოს, [illegible] ავსტრიის სათხილამურო ნა[illegible]კრების პაელაციისათვის 24 საათი აქვს, მანამდე კი მაიერის არყოფნით ისარგებლა გიგანტური სლალომის სპეციალისტმა, შვეიცარიელმა მიხაელ ფონ გრუნინგენმა, ეტაპი მოიგო და გიგანტურ სლალომში საერთო ჩათვლის თავსაც დაეპატრონა. „მაიერის არყოფნას იმდენი არაფერი გადაუწყვეტია — ამბობს მორიდებული შვეიცარიელი თავისი გამარჯვების კომენტირებისას — მე მაიერის დროსაც ბევრჯერ მომიგია. ესაა ჩემი საქმე." მართლაც, ფონ გრუნინგენის სათხილამურო დოსიე სხვა ტიპის რბოლებში წარმატებებს პრაქტიკულად არ შეიცავს: მსოფლიოს თასის 19 ეტაპი და სამჯერ თასი, მსოფლიოს ჩემპიონობა და მესამეობა, ნაგანოს ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალი უკლებლივ გიგანტურ სლალომში მოუპოვებია, მხოლოდ [illegible] წლის წინა მსოფლიოს პირველობაზე ერთადერთი ბრინჯაო სლალომშიც რგებია. ასე ერთ სახეობაზე მიმართული მოთხილამურე სამთოთხილამურობაში ძნელად რომ მოიძებნოს.

მაიერის სკანდალის წინადღეს კი აქამდე სრულიად უჩინო იტალიელმა ალესანდრო ფატორიმ სწრაფდაშვება მოიგო. პოდიუმიც, გასაკვირად სულ იტალიელებმა შეავსეს. კაცებზე საუბარიც ამით დავასრულოთ.

ქალები შვეიცარიულ სანქტა კატარინაში სრიალებდნენ. ამ გვარიანი კურორტის მახლობელ კორვიგლიას ფერდობზე უქმეებზე ავსტრიელები წარმოჩნდნენ. ამერიკის კონტინენტზე წარუმატებლობისთვის მშობლიურმა პრესამ ავსტრიელი მოთხილამურეები კარგად გაკიცხა, მაგრამ ბრიგიტე ობერმოზერმა შაბათს და რენატე გოეჩლმა კვირას ორი სწრაფდაშვება მოიგეს და კვირასვე გოეჩლმა ავსტრიის პრესას ნიშნი მოუგო. „კრიტიკა უსაფუძვლო იყო — თქვა მსოფლიოს თასის პატრონმა, — სხვათა შორის ჩრდილოეთ ამერიკაში ჩვენ ორი ეტაპი მოვიგეთ და ეს ურიგო შედეგი როდია." „არ ვიცი რა მოგვივიდა — თქვა ახლა ობერმოზერმა ჩრდილოეთ ამერიკის თემის ირგვლივ — წარუმატებლად კი გამოვედით, მაგრამ ამის ერთ კონკრეტულ მიზეზსაც ვერ დავასახელებ."

სამწუხარო კი სანქტა კატარინაში ის იყო, რომ სტარტზე მე-11, ფრანგი მელანი სუშე ფინიშთან ერთობ ცუდად წაიქცა და მუხლის მყესები დაიწყვიტა.

**დავით გულუა**



მელანი სუშეს ვარდნა-დაშვება მუხლის მყესების დაწყვეტად დაუჯდა

### მსოფლიოს თასი

სანქტა კატარინა. შვეიცარია

ქალები

16 დეკემბერი. სწრაფდაშვება

1. [illegible] ობერმოზერი (ავსტრია) 1:38,68
2. [illegible] გოეჩლი (ავსტრია) 1:39,03
3. [illegible] ბრაიდონი (კანადა) 1:39,11
4. [illegible] დორფმაისტერი (ავსტრია) 1:39,15
5. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) 1:39,16

17 დეკემბერი. სწრაფდაშვება

1. გოეჩლი 1:36,49
2. [illegible] კოსტნერი (იტალია) 1:36,59
3. [illegible] (საფრანგეთი) 1:37,13
4. ობერმოზერი 1:37,27
5. [illegible] (საფრანგეთი) 1:37,32

### საერთო ჩათვლა

1. [illegible] ერტლი (გერმანია) 560 ქულა
2. [illegible] 509
3. დორფმაისტერი 478
4. [illegible] 439
5. [illegible] 410

ვალ დიზერი. საფრანგეთი

კაცები

17 დეკემბერი. სწრაფდაშვება

1. ალესანდრო ფატორი (იტალია) 1:52,25
2. [illegible] (იტალია) 1:52,57
3. [illegible] (იტალია) 1:52,66
4. [illegible] (შვეიცარია) 1:52,72
5. [illegible] ფრანცი (ავსტრია) 1:52,81

17 დეკემბერი. გიგანტური სლალომი

1. მიხაელ ფონ გრუნინგენი (შვეიცარია) [illegible]
2. [illegible] (ავსტრია) 2:31,92
3. [illegible] (აშშ) 2:31,98
4. [illegible] (საფრანგეთი) 2:32,35
5. [illegible] შიფერერი (ავსტრია) 2:32,37

### საერთო ჩათვლა

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 631
2. [illegible] ებერჰარტერი (ავსტრია) 439
3. [illegible] (ნორვეგია) 409
4. ფონ გრუნინგენი 342
5. [illegible] შიფერერი 333

ხელბურთი

# ვარშავის ხელშეკრულება აღდგა?

## უნგრეთი, უკრაინა, რუსეთი, რუმინეთი

**უნგრელ** ხელბურთელთა გამარჯვებით დასრულდა რუმინეთში ქალთა მორიგი ევროპული პირველობა. სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსნებმა ბებერ კონტინენტზეც ჩინებულად ითამაშეს, დაუმარცხებლად განვლეს შვიდმატჩიანი ტურნირი და უძლიერესის ტიტულს დამსახურებულადაც დაეუფლნენ.

ეს მოხდა კვირას, წინა დღეს კი ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. მომავალმა ჩემპიონებმა მხოლოდ ბოლო წამებზე შეძლეს მასპინძელთა უძლავრესი წინააღმდეგობის დაძლევა — ტაიმი და მთელი მატჩიც ერთბურთიანი სხვაობით მოიგეს. რუსეთ — უკრაინის სლავურ დერბიში ერთ დროს უძლეველ საბჭოთა კავშირის მემკვიდრეები მხოლოდ შესვენებამდე გაუძალიანდნენ ღირსეულად (12:12) კიევის „სპარტაკის" ბაზაზე შექმნილ გუნდს, მერე კი უკრაინელთა უპირატესობა აშკარა გახდა.

სამაგიეროდ, რუსებმა სამესამეადგილო მატჩში იყოჩაღეს და საკმაოზე უფრო დამაჯერებლად სძლიეს წინა დღის მარცხით ნირწამხდარ მასპინძლებს. რაც შეეხება ჩემპიონატის დამაგვირგვინებელ ფინალურ შეხვედრას, უნგრელებმა თავიდანვე ენერგიულად შეუტიეს მეტოქის კარს და შესვენებაზე ოთხბურთიანი მარაგით წავიდნენ — 17:13. უკრაინელებმა მეორე ტაიმში მხოლოდ სხვაობის შემცირება მოახერხეს.

უნგრეთის ნაკრებმა შვიდიდან ექვსი მოწინააღმდეგე დაამარცხა — გერმანია (33:22), ავსტრია (35:12), საფრანგეთი (32:29), რუსეთი (26:19), რუმინეთი (25:24), უკრაინა (32:30), იუგოსლავიელებთან კი ფრეს (33:33) დასჯერდა. ჩემპიონებმა ყველაზე მეტი — 216 გოლი გაიტანეს, საუკეთესო დაცვა კი რუსებს ჰყავდათ, მათ სულ 148 ბურთი გაუშვეს.

**გია ახალაძე**

**ნახევარფინალი**

**უნგრეთი 25:24 რუმინეთი**

**უკრაინა 28:24 რუსეთი**

**ფინალი**

**უნგრეთი 32:30 უკრაინა**

მესამე ადგილისთვის

**რუსეთი 21:16 რუმინეთი**

მეხუთე ადგილისთვის

**საფრანგეთი 23:19 ნორვეგია**

მეშვიდე ადგილისთვის

**იუგოსლავია 39:38 მაკედონია**

მეცხრე ადგილისთვის

**გერმანია 22:21 დანია**

მეთერთმეტე ადგილისთვის

**ბელარუსი 27:22 ავსტრია**

ჰოკეი

NHL

15 დეკემბერი

**ანაჰაიმი — რეინჯერსი 6:4**
2:1 3:2 1:1

**დალასი — ჩიკაგო 4:1**
0:0 3:0 1:1

**კოლორადო — დეტროიტი 3:5**
2:2 1:0 0:3

**ატლანტა — სენტ ლუისი 3:6**
0:1 3:4 0:1

**პიტსბურგი — ფლორიდა 1:4**
1:2 0:1 0:1

**ნიუ ჯერსი — მონრეალი 2:1**
1:1 0:0 1:0

**აილენდერსი — ტორონტო 3:2**
0:0 2:1 1:1

**კაროლინა — ბუფალო 5:3**
1:1 2:1 2:1

16 დეკემბერი

**ლოს ანჯელესი — ტამპა 3:4**
0:1 1:3 2:0

**ვანკუვერი — კოლუმბუსი 4:3**
3:2 1:1 0:0

**ფინიქსი — სან ხოსე 1:2**
0:1 1:0 0:0 0:1

**ნეშვილი — ჩიკაგო 0:3**
0:1 0:0 0:2

**სენტ ლუისი — დეტროიტი 2:2**
0:0 1:1 1:1 0:0

**მონრეალი — პიტსბურგი 4:4**
2:0 1:3 1:1 0:0

**ტორონტო — კალგარი 5:6**
2:3 1:2 2:0 0:1

**ფილადელფია — ნიუ ჯერსი 6:3**
3:1 1:2 2:0

**ოტავა — აილენდერსი 6:0**
3:0 2:0 1:0

**ბოსტონი — კაროლინა 4:1**
1:1 3:0 0:0

**ვაშინგტონი — ედმონტონი 4:0**
1:0 3:0 0:0

**ბუფალო — ფლორიდა 3:2**
1:0 2:1 0:1

17 დეკემბერი

**მინესოტა — დალასი 6:0**
2:0 2:0 2:0

**ანაჰაიმი — ტამპა 3:1**
0:1 2:0 1:0

### სატურნირო ვითარება

**ჩრდილო - აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 31 | 19 | 4 | 0 | 8 | 101:69 | 42 |
| ტორონტო | 32 | 17 | 4 | 3 | 8 | 110:77 | 41 |
| ბუფალო | 30 | 17 | 2 | 1 | 10 | 86:77 | 37 |
| ბოსტონი | 32 | 11 | 3 | 3 | 15 | 80:108 | 28 |
| მონრეალი | 33 | 9 | 4 | 0 | 20 | 79:99 | 22 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 29 | 21 | 4 | 0 | 4 | 103:56 | 46 |
| დეტროიტი | 34 | 18 | 3 | 2 | 11 | 104:91 | 41 |
| ნეშვილი | 33 | 11 | 6 | 1 | 15 | 71:88 | 29 |
| ჩიკაგო | 33 | 11 | 2 | 2 | 18 | 81:101 | 26 |
| კოლუმბუსი | 33 | 9 | 2 | 2 | 20 | 67:104 | 22 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 31 | 15 | 5 | 0 | 11 | 102:79 | 35 |
| ფილადელფია | 32 | 14 | 6 | 0 | 12 | 87:89 | 34 |
| პიტსბურგი | 32 | 14 | 4 | 1 | 13 | 93:96 | 33 |
| რეინჯერსი | 33 | 15 | 1 | 0 | 17 | 113:120 | 31 |
| აილენდერსი | 31 | 9 | 4 | 2 | 16 | 70:93 | 24 |

**ჩრდილო - დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 32 | 21 | 5 | 0 | 6 | 100:72 | 47 |
| ვანკუვერი | 32 | 17 | 4 | 2 | 9 | 111:85 | 40 |
| ედმონტონი | 34 | 16 | 4 | 0 | 14 | 97:93 | 36 |
| კალგარი | 34 | 10 | 6 | 4 | 14 | 79:99 | 30 |
| მინესოტა | 33 | 9 | 5 | 2 | 17 | 67:79 | 25 |

**სამხრეთ - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი | 31 | 13 | 6 | 1 | 11 | 76:77 | 33 |
| კაროლინა | 30 | 12 | 4 | 1 | 13 | 72:87 | 29 |
| ატლანტა | 31 | 11 | 6 | 1 | 13 | 86:101 | 29 |
| ტამპა | 31 | 10 | 3 | 2 | 16 | 86:109 | 25 |
| ფლორიდა | 31 | 6 | 6 | 5 | 14 | 68:89 | 23 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 29 | 19 | 4 | 0 | 6 | 86:61 | 42 |
| დალასი | 31 | 17 | 4 | 1 | 9 | 84:68 | 39 |
| ლოს ანჯელესი | 32 | 15 | 7 | 0 | 10 | 110:95 | 37 |
| ფინიქსი | 31 | 14 | 8 | 1 | 8 | 78:69 | 37 |
| ანაჰაიმი | 35 | 13 | 4 | 3 | 15 | 89:105 | 33 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*





# შირაკის მუზეუმი

ფრანგთა პრეზიდენტ ჟაკ შირაკს მისთვის ნაჩუქარი რამეების მუზეუმი გაუხსნია. სტუმარი ბევრი მისვლია ბატონ შირაკს, მათ შორის კი განთქმული ველომრბოლი ჟანი ლონგო და ძიუდოსვარსკვლავი დავიდ დუიე. სპორტის მინისტრ მარი-ჟორჟ ბუფეს გარეშე ეს საქმე ვერ ჩაივლიდა და არც ჩაუვლია.



# ბაკალავრი

შაკილ ონილს ხელოვნების საპატიო ბაკალავრობა მიულია ლუიზიანის სახელმწიფო უნივერსიტეტ ბატონ რუჟში. გამოსაშვებ სალამოზე შაკილს სიტყვაც კი წარმოუთქვამს. ამ საპატიო მიზეზით „ბაკალავრს“ „ლეიკერსის“ თამაშიც კი გაუცდენია ვანკუვერელთა წინააღმდეგ. ლუიზიანელი სწავლულნი დიახაც აფასებენ თავიანთ ყოფილ სტუდენტებს — შაკს ხომ პოლიტიკურ მეცნიერებათა სამი კურსი დაუხურავს ამ ქალაქში. არცთუ ფრიადზე, მაგრამ მაინც.




# მორიგი ჩინური სიახლე

ჩინეთი რომ წინ დგამს ნაბიჯებს, ცნობილი ამბავია. აგერ, სერიოზული მოტოციკლეტიც გამოუშვიათ. „ჟონგშენის“ საწარმოო ჯგუფს პირველი ჩინური 750 კუბურსანტიმეტრიანი მოტო აუწყვია და თავსაც იწონებს. რაღა თქმა უნდა, უცხოელთა ჩარევის გარეშე არც ეს საქმე გამოვიდოდა, ჩინელებს ფრანგები დახმარებიან.



# ბადენ-ბადენში

გერმანულ ქალაქ ბადენ-ბადენში წლის მძლეოსნის დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. სიგრძეზე მხტომელი ქალი ჰაიკე დრექსლერიც გერმანელთა რჩეული გახდა. ამ ფოტოზე მას გვერდს ფრანგი ათჭიდელი ალენ ბლონდელი უმშვენებს.

# სამხრეთიდან

სოუეტოში ხარობენ. სამხრეთ აფრიკის ფეხბურთელთა ნაკრებს აფრიკის თასის შესარჩევი მატჩი 2:1 მოუგია ლიბერიელთათვის. „ბაფანა-ბაფანა“ ნაცნობი ჰანგია. ზეიმის ფორმაც არ არის ახალი — აქ ფეხბურთი უკვე თითქმის ისე უყვართ, როგორც რაგბი. თუმცა, ფეხბურთი უფრო საწყალი ხალხის სიხარულია, რაგბი კი...




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge